


ს. ავალიანი

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი



# კოოპერაცია

(პირველ-დაწყებითი სახელმძღვანელო)



(პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი დებულებების განმარტებით  
და კოოპერაციის შესახებ წიგნების სიის დამატებით).



ტფილისი

სტამბა საქართ. ცენტრ. კოოპერატ. კავშირისა, პლახან. პრ. 71.

1920 წ.



ს. ავალიანი

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი



# კოლხეკისა

(ზირველ-დაწეებიანი სახელმძღვანელა)

36083

(პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი დებულებების განმარტებით და კოლხეკის შესახებ წიგნების სიის დამატებით).



ტფილისი

სტამბა საქ. ცენტრ. კოლხ. კავშირისა. პლენ. პრ., 71.

1920 წ.

## წინასწარმეტყველება.

კოოპერაციამ ხალხის მეურნეობაში დიდი ნიადაგი იშოვა. კოოპერაცია არის უკვე მძლავრი მოძრაობა, რომელიც დღითი დღე იზრდება და ფართოვდება.

კოოპერაციას ძლიერ საპატიო ადგილი უჭირავს სახელმწიფოს და ერის მეურნეობაში.

უნივერსიტეტში და უმაღლეს სამეურნეო სასწავლებლებში სხვა საგნებთან შორის კოოპერაციაც არის მოქცეული. სახალხო უნივერსიტეტში კოოპერაციას აქვს საპატიო ადგილი. კოოპერატიული კურსები ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა. კოოპერაციის შესწავლას ბევრი ეწაფება. მხოლოდ დღემდე სახელმძღვანელო არ მოიპოვება ქართულ ენაზედ. ამ ნაკლის შევსება ითავა ავტორმა. ეს არის პირველი ცდა და როგორც ასეთს, უეჭველია, ამ სახელმძღვანელოს არ ასცილდა შეცთომები.

კოოპერაცია არის ერთი დარგი ერის ეკონომიური ცხოვრებისა. მაშასადამე ვისაც

სურს შეისწავლოს კოოპერაცია, როგორც  
ნაწილი ეკონომიური მოძღვრებისა, იგი იძუ-  
ლებული არის პოლიტიკურ ეკონომიის ძი-  
რითად დებულებებს გაეცნოს. ამიტომ სა-  
ხელმძღვანელოს დართული აქვს მოკლე გან-  
ხილვა პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი  
დებულებებისა.

ეს სახელმძღვანელო არის პირველ-დაწ-  
ყებითი და, იმისთვის არის დაწერილი, ვინც  
იწყებს კოოპერაციის შესწავლას.

წიგნს დართული აქვს სია წიგნებისა  
კოოპერაციის შესახებ, იმათ სახელმძღვა-  
ნელოთ, ვინც მოისურვებს უფრო ღრმად  
შეისწავლოს კოოპერაცია. ვიმეორებ—ეს  
არის პირველი სახელმძღვანელო კოოპერაცი-  
ისა ქართულ ენაზე და არც სხვა ენაზედ მოი-  
პოვება ამგვარი სახელმძღვანელო. ავტორს  
წინამორბედი არ ყავდა ამ დარგში და იმე-  
დოვენბს, რომ მკითხველი და კოოპერაციაში  
მომუშავენი, აღნიშნავენ შეცდომებს, რათა  
ავტორს საშუალება ექნეს მათი შესწორები-  
სა და სახელმძღვანელოს გაუმჯობესებისა.

## ნ ა წ ი ლ ი I

### ძირითადი დებულებანი კოლბიკურ ეკონომიისა.

თანამედროვე ეკონომიური წეს-წყობილების თვისებანი.

1. ადამიანის სულიერი და ხორციელი მოთხოვნილებანი. თითოეულ ადამიანს მრავალგვარი მოთხოვნილება აქვს. მათი დაკმაყოფილება აუცილებელია, რათა შესაძლებელი იქმნეს ადამიანის მოდგმის შენარჩუნება. ეს არის—**მატერიალური მოთხოვნილებანი**. ადამიანს აქვს მეორე რიგის მოთხოვნილებანიც. მათი მნიშვნელობა ისე დიდია, როგორც პირველი რიგის მოთხოვნილებათა. ეს არის **სულიერი მოთხოვნილებანი**: წერა-კითხვა, განათლება და მრავალი სხვა. ძველათ ადამიანი ზრუნავდა განსაკუთრებით იმისათვის, რომ თავისი მატერიალური მოთხოვნილება დაეკმაყოფილებია. ჩვენ დროში კი სულიერ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას თითქმის უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ, უფრო მეტს ზრუნავენ მასზე, ვიდრე მატერიალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ.

ჩვენ შევეხებით განსაკუთრებით იმ რიგს, რომელიც შეიცავს მატერიალურ მოთხოვნილებებს.

## **2. რა არის სამეურნეო ღირებულებანი.**

ვიდრე ადამიანი დააკმაყოფილებს თავის სხეულის მოთხოვნილებას, მან წინასწარ უნდა შექმნას ღირებულებანი, განსაზღვრული ნივთები ანუ საგნები. ადამიანი უნდა ააშენოს თავშესაფარი, იქონიოს სახლ-კარი, იპოვოს პური, ტანთსაცმელი, ფეხთ-საცმელი და სხვა. აი ეს ნივთები, რომლებიც აკმაყოფილებენ ადამიანის სხეულის, მისი ბუნების მოთხოვნილებას **წარმოადგენენ სამეურნეო ღირებულებას.**

**3. მეურნეობა.** დაწესებულებას, ან ორგანოებს, ანუ კავშირს (ოჯახი, ამხანაგობა), რომლებიც ამ სამეურნეო ღირებულებას ქმნიან, ეწოდება—**მეურნეობა.**

**4. ოჯახური მეურნეობა.** ძველის ძველათ ოჯახი, ან ოჯახების კრებული, საზოგადოება თავისი შემადგენლობით, თავისი წევრების მეოხებით—თითონ ჰქმნიდა იმ ღირებულებას, იმ ნივთებს, რომლებიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდნენ, რათა მათ თავი შეენახათ. თითონ აშენებდნენ სახლ-კარს, ამზადებდნენ ქსოვილებს და ტანისამოსს, იწევდნენ პურს, აშენებდნენ საქონელს. ძველის ძველათ ადამიანის მოთხოვნილებანი ძლიერ მარტივი იყო. თითოეული ოჯახი ცხოვრობდა დამოუკიდებლათ,

თავის მეურნეობას განცალკევებული აწარმოებდა და ყველაფერს რაც მისთვის საჭირო იყო თითონვე ამზადებდა. ასეთი წესი მეურნეობისა შემდეგში შეირყა და კიდევ დაინგრა.

ცხოვრების პირობები გართულდა, დადგა ისეთი უამში, როდესაც ოჯახს თავის საკუთარი ძალით აღარ შეეძლო დაეკმაყოფილებინა ყველა მოთხოვნილებანი. ოჯახი იძულებული შეიქმნა სხვისთვის მიემართა. დამოუკიდებელი ოჯახების შორის შეიკრა კავშირი. კავშირი იმაში გამოიხატა, რომ ერთი მეორეს აწვდიდა თავის ნაწარმოებს. შეიქმნა გაცვლა-გამოცვლა იმ ნივთებისა, იმ ღირებულებებისა, რომელიც შექმნა ერთმა ოჯახმა და არ ქონდა მეორეს.

ერთი მეურნეობა, ერთი ოჯახი, ვთქვათ, ბევრ პურს იწევდა, მხოლოდ მას არ ქონდა საკმარისი მატყლი ტანთსაცმელის დასამზადებლათ, ან მეორეს ზედმეტი მატყლი ქონდა, მხოლოდ არ მოეპოებოდა პური. ეს ორი ოჯახი უახლოვდებოდნენ ერთმანეთს. ერთი მეურნეობა მიაწოდებდა მეორეს იმას, რაც მას ზედმეტი ქონდა. ამ დაახლოვებამ გამოიწვია მრავალ ოჯახებს შორის საქონლის, ოჯახების ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლა.

ერთი ოჯახი უთმობს, უცვლის მეორეს იმ ნაწილს ნივთებისას, რომელიც გადარჩება საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ. პირველ-ყოფილი დამოუკიდებელი ბუნებრივი, მარტივი ოჯახური მეურ-

ნეობა დაირღვა და აღმოცენდა ახალი, უფრო რთული მეურნეობა. ამ ახალი მეურნეობის ძირითადი თვისებანი გამოიხატება კავშირში, ურთი-ერთ შორის დამოკიდებულებაში. დამოკიდებულება კი აგებული არის **ნაწარმოების გაცვლაზე**. როდესაც წვრილი, პატარა ოჯახების მეურნეობაში შეიქმნა კავშირი, დამოკიდებულება, ნაწარმოებების გაცვლა-გამოცვლა — ცხოვრებაც გართულდა, მას ახალი შინაარსი შეემატა. ოჯახებ შორის კავშირის გაჩაღება, ოჯახების მეურნეობის დაახლოება, გაცვლა-გამოცვლის მოწყობა შესაძლებელი შეიქმნა იქ, სადაც შესაფერისი პირობები იყო. გაცვლა-გამოცვლის მოწყობისათვის საჭირო იყო მოკლე და ადვილი გზების გამოჩენა, მიმოსვლის გაადვილება და შესაძლებლობა. ოჯახებს შორის ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლამ ერთმანეთს დაუახლოვა დაშორებული მცხოვრებლები. ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლამ გააცნო ერთი მეორეს ეს დაშორებული მცხოვრებლები. ისინი ეცნობოდნენ ერთმანეთის ზნე-ჩვეულებას, წეს-წყობილებას.

საზოგადოების განვითარების იმ ხანაში, როდესაც მეურნეობა დამყარებული იყო საქონლის გაცვლა-გამოცვლაზე, ხშირათ ძნელი იყო პირდაპირ საქონლის საქონელზედ გადაცვლა. ანგარიშის გასწორებაც ძნელი იყო, მაგალითად: ერთ ოჯახს სჭირდებოდა 3 ფუთი პური, მეორეს ერთი ფუთი მატყლი.

რანაირად უნდა გადაეცვალათ ეს ორი რიგის საქონელი, რომ საზარალო არ ყოფილიყო, ან რანაირად უნდა გასწორებულიყო ანგარიშები. გაცვლა-გამოცვლის გასაადვილებლათ, ანგარიშების გასასწორებლათ მოიგონეს ნიშნები. ნიშნებს აკეთებდენ უმეტეს შემთხვევაში ლითონიდან. ლითონის ნიშნები უშუამდგომლობას სწევდენ გაცვლა-გამოცვლის საქმეში.

5. **ფული.** ნიშნებს აკეთებდენ რკინისას, სპილენძისას, ვერცხლისას, ან ოქროსას. ამ ლითონის ნიშნებს ეწოდება **ფული.**

შემდგომ ფულის ნიშნებს განსაკუთრებული სახე და გარეგნობა მისცეს, უმთავრესათ რგვალი. რგვალი სახე არის უმაღლესი ხარისხის სახე. ფულის ნიშნებს მისცეს არა მარტო განსაკუთრებული სახე, გარეგნობა, არამედ განსაკუთრებული წონით ჩამოსჭრიდენ. ნიშნები დაასურათეს კიდევ, ზედ წარწერაც გაჩნდა. წარწერაში აღნიშნული იყო ფულის ნიშნის ღირებულება.

ფულის ნიშნების შემოღებამ ძლიერ გაადვილა გაცვლა-გამოცვლა საქონლისა. მან ძირიანად შესცვალა გაცვლა-გამოცვლის წარმოება. აი მაგალითი: ერთ ოჯახს სჭირია ფური ან მატყლი. ოჯახის მთავარი არ წაიყვანს ძროხას, რომ ის ფურზედ გადასცვალოს. ის აიღებს ფულის ნიშნებს და გადასცემს იმას, ვისაც ოჯახში ყავს ფური. მატყლის პატრონს არა ყავს ძროხა. ძროხა კი მას სჭირდება. მატყლის

პატრონი აიღებს ფულის ნიშნებს მატყლის მაგიერ. აღებულ ფულს გადასცემს ძროხის პატრონს და მისგან მიიღებს ძროხას. ფულის ნიშნების შემწეობით შესაძლებელი შეიქმნა ერთი ღირებულების მეორეზედ გადაცვლა. ეს არის ახალი, უფრო რთული მეურნეობა. იგი აგებულია ფულის ნიშნების ტრიალზედ, იწვევს საქონლის ტრიალს და გაცვლა-გამოცვლას. ეს ახალი მეურნეობა უფრო თრუღია, ვიდრე ის, რომელიც დამყარებული არის საქონლის პირდაპირ გაცვლა-გამოცვლაზედ. ფულის შემოღების შემდეგ დამოკიდებულება მეურნეთა და მეურნეობის შორის კიდევ უფრო გართულდა. ფულის შემოღების შემდეგ შესაძლებელი შეიქნა სხვა ქვეყნებში გადასვლა საქონლის შესაძენათ. შორეული მცხოვრებლები დაუახლოვდნენ ერთმანეთს, გაეცნენ ისეთ ხალხებს, რომლებიც ძლიერ დაშორებით ცხოვრობდნენ. შორეულ მცხოვრებლებთან აღებ-მიცემობის გასამართათ საჭირო შეიქნა გზების გაყვანა, ხომალდების აშენება. როდესაც ფულის ნიშნები შემოიღეს და ფულის ტრიალით შესცვალეს საქონლის გაცვლა-გამოცვლა, შეიცვალა წარმოების ხასიათიც. წინეთ დამოუკიდებელი ოჯახური მეურნეობა იმდენს ამზადებდა, რამდენიც საჭირო იყო მისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ. ფულის ნიშნების შემოღების შემდეგ თითოეული მეურნეობა აწარმოებს მეტ საქონელს, ვიდრე მისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელათ საჭირო

არის. ზედმეტი საქონელი მეურნეს **გასასყიდათ** გააქვს. ვისაც ეს საქონელი არა აქვს იგი **ყიდულობს**, იძენს საჭირო ნივთებს. გაიმართა **ვაჭრობა**. არის საქონლის **გამყიდველი** და საქონლის **მყიდველი**. ყიდვა-გაყიდვის შემოღებამ—ვაჭრობამ შექმნა ახალი, კიდევ უფრო რთული ურთი-ერთობა. დაიბადა ახალი ჯგუფი—ვაჭრები; ესენი აწარმოებენ ვაჭრობას. საქონლის მწარმოებელი და საქონლის გამყიდველი—ვაჭარი ხშირათ ერთი და იგივე არ არის. ხშირათ ის მეორე პირია, რომელიც იძენს საქონელს მწარმოებელისაგან და შემდეგ თითონ ასაღებს შეძენილს. **საქონელი** ანუ ღირებულებანი წინასწარ დამზადებული გასასყიდლათ, გროვდება მოხდენილს, ყველასათვის მისაღვამ ადგილებზედ: მდინარის ნაპირზედ, ზღვის პირზედ—სადაც ადვილი მისავალი არის—ასეთი ადგილები უფრო ხელმისაწვდომი იყო მთის ძირში—მთა კარგი თავშესაფარი იყო. საქონლის საწყობ ადგილებს ხელოვნურათ ზღუდეს არტყამდენ, ამაგრებდენ, რომ საქონელი დაეცვათ გატაცებისაგან, ყაჩაღ-ქურდებისაგან. საქონლის საწყობებს ხშირათ მიწის, ან ქვითკირის გალავანს შემოარტყამდენ ხოლმე, ასეთ გამაგრებულ საქონლის საწყობებს უწოდებდენ **ქალაქებს**. ვაჭრობა, საქონლის გაცვლა-გამოცვლა, ფულების ნიშნების დახმარებით ქალაქებში სწარმოებდა.

საქონლის წარმოებამ შექმნა კიდევ ერთი ახალი

ჯგუფი—**მუშები**. ესენი თავისი შრომით და ჯაფით აწარმოებდენ საქონელს.

ვაჭრობის განვითარება და გაძლიერება შესაძლებელი შეიქმნა მას შემდეგ, რაც ფულის ნიშნები შემოიღეს. ფულის ნიშნებს კი ამზადებდენ ლითონისაგან (რკინიდან, განსაკუთრებით ძვირფასი ლითონისაგან—ვერცხლი და ოქროსაგან). ძვირფასი ლითონის შეძენას დიდი ცოდნა და ჯაფა სჭირდებოდა. ის მასალა, რომლიდანაც ფულის ნიშნები მზადდებოდა, თავის თავათ ღირებულებას წარმოადგენდა. ღირებულებას კი იმიტომ წარმოადგენდა, რომ მის შესაძენათ საჭირო იყო შრომა. ვინაიდან ფულის ნიშნები ღირებულებას წარმოადგენდენ, ამიტომ, მათი შემწეობით შესაძლებელი შეიქმნა საქონლის გაცვლა-გამოცვლის დროს საქონლის ღირებულების გამოხატვა.

**6. შრომა.** ვიდრე ადამიანი თავის ნივთიერ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდეს, უნდა შექმნას ნივთები. იმისთვის, რომ ადამიანმა თავისი სახლი ააშენოს, ან ტანისამოსი შეიკეროს, საჭირო არის **შრომის**, ჯაფის გაწევა. დამზადებული ნივთები არ არის. ადამიანისათვის საჭირო ნივთები უნდა დამზადებული იქნეს. დამზადება კი შესაძლებელია მას შემდეგ, რაც შრომა დახარჯულია. ადამიანს საჭმელი პური სჭირია; ამისათვის კი წინასწარი მუშაობა და შრომა არის საჭირო. იგი უნდა სახლიდან მინდვრად გავი-

დეს, დახნას მიწა, ჩაყაროს თესლი. როდესაც პური დამწიფდება, უნდა მოიმკას, ერთ ადგილს დააგროვოს, გალენოს, წისკვილში ჩაიტანოს, დაფქვას და სხვა. ყველა ამისათვის ადამიანის ძალა და შრომა უნდა დაიხარჯოს და მხოლოდ შემდეგ შესაძლებელია მოთხოვნის დაკმაყოფილება. ვიდრე პური დათესილი გექნება, წინასწარ უნდა გქონდეს დამზადებული გუთანნი, სამეურნეო იარაღი. სამეურნეო იარაღს კი თითონ გლეხი არ ამზადებს. ამ იარაღებს ამზადებს სხვა ვინმე და სხვა ადგილზედ, არა იქ, სადაც დასახლებულია გლეხი, რომელსაც აუცილებლათ სჭირია სამეურნეო იარაღი. წისკვილი, სადაც გლეხი თავის პურს ფქვავს — რთული მოწყობილობისაა და სხვისი შრომით არის აგებული. გუთნის დამზადებას, წისკვილის აშენებას სჭირია შრომა და, მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ეს შრომა გაწეული იქმნება, ნივთებიც იქნება დამზადებული.

გლეხს სჭირია არა მარტო საკვები, პური, სიმინდი. მას შვილები ყავს, ბავშვებს უნდა ტანისამოსი ჩააცვას, თითონაც ჩაიცვას; მას ცხენი ყავს, ცხენი დაჭედილი უნდა იყოს, თორემ დავარდება და ვერ იმუშავებს; მას ცული და დანაც სჭირია, ლურსმანი სახლის სახურავისათვის. ასეთი ნივთები უეჭველათ უნდა შეიძინოს გლეხმა, თორემ ის ვერ იცხოვრებს, თავს ვერ დაირჩენს. ნივთების შესაძენათ

კი საჭიროა საშვალეობაც, საჭიროა ფული. გლებმა მოიწია პური, მას სჭირდება ოჯახისათვის ფართალი, სჭირდება თოხი, ცული, ნალი და სხვა. ვინც ცულსა და თოხს, ან ფართალს ამზადებს იმას სჭირდება პური. გლები, რომელსაც აქვს თავის შრომით მოწეული პური, და ის, ვისაც ნალი აქვს დამზადებული, ან ფართალი აქვს, ერთი მეორესაგან დაშორებულნი არიან. შესაძლებელია მათი დაახლოვება და ნივთების გადაცვლა. გლები წაიღებს პურს და გაყიდის. გლები გაყიდის მოწეულ პურიდან მხოლოდ ნაწილს, რომელიც მისი გამოანგარიშებით ზედმეტია ოჯახის მოთხოვნილებებისათვის. გლები გაყიდის პურს ანუ გარდაცვლის ფულზედ, პურის მაგივრათ ფულს აიღებს. ამ ფულით კი იყიდის ფართალს, ცულს და საჭირო ნივთებს.

**7. ფასი და ღირებულება ნივთისა.** გლებმა, ვსთქვათ, გასასყიდლათ გაიტანა 15 ფუთი ხორბალი და აიღო ფული; აღებული ფულით იყიდა 20 არშინი ფართალი. რა ქნა ამ გლებმა? შრომით მოწეული პური გლებმა ფულზედ გაცვალა; ფული გაცვალა ფართალზედ. ფართალი კი არის შექმნილი ვილაცის შრომით. ერთი საქონელი, ნივთი გაიცვალა ფულზედ, ფული გაიცვალა მეორე საქონელზედ— ფართალზედ. გლებმა, როდესაც 15 ფუთი ხორბალი გაყიდა, სამაგიეროთ იმდენი ფული მიიღო, რომ 20 არშინი ფართალი შეეძინა. ფული ამ მოქმედე-

ბაში მხოლოდ შუამდგომელი არის. გლახმა 15 ფუთი ჰურის მაგივრად მიიღო 20 არშინი ფართალი. რა მოხდა ამ გაცვლა-გამოცვლის დროს? რა გაიცვალა, რა შეიქმნა გაცვლის საგნათ? -ის შრომა, რომელიც გლახმა დახარჯა 15 ფუთი ჰურის მოსაწევათ უდრის იმ შრომას, რომელიც დახარჯული იყო 20 არშინი ფართალის დასამზადებლათ. მაშასადამე ერთი საქონლის გაცვლა მეორეზედ შესაძლებელი შეიქმნა იმიტომ, რომ შრომა, გაწეული ერთი გარდაცვლილი საქონლის დასამზადებლათ, უდრის შრომას, დახარჯულს მეორე საქონლის დასამზადებლათ. 15 მანეთი, რომელიც გლახმა აიღო ჰურის სამაგიეროთ, არის მხოლოდ შუამდგომი, შუამავალი ამ გარდაცვლაში.

ერთი საქონლის მეორეზედ გარდაცვლა შესაძლებელია, ვინაიდან თითოეულ საქონელს აქვს განსაზღვრული **ღირებულება**. საქონლის ღირებულების შემქმნელი არის ის **შრომა**, რომლის გაწევა საჭირო იყო ნივთის დამზადებისათვის. ფულის ნიშნების რაოდენობა, რომელიც იყო მიცემული საქონელში, არის საქონლის **ფასი**. ფასი არის მხოლოდ ნივთიერი ნიშანი, ანუ ნივთიერი აღნიშვნა იმისა, თუ რამდენი შრომა იყო გაწეული ნივთის დამზადების დროს.

აი კიდევ ერთი მაგალითი: ამერიკაში ერთი გირვანქა ბამბა ღირდა 10 კაპეიკი, ერთი გირვანქა ბამბა გადამუშავებული ძაფათ—40 კაპეიკი, ერთი

გირვანქა ბამბა გადამუშავებული ჩითად—4 მანეთი. ერთსა და იმავე გირვანქა ბამბას აქვს სულ სხვა და სხვა ფასი, იმის მიხედვით, თუ რა სახე მიიღო მან. ერთი გირვანქა ბამბა რომ ჩითათ ვაქციოთ, საჭიროა მეტი შრომა, ვიდრე ერთი გირვანქა ბამბის ძაფათ გარდასაქცევად. რაც უფრო მეტი შრომა არის გაწეული ნედლი. მასალის გადასამუშავებლათ, იმდენათ მეტი ღირებულება აქვს ნივთს, რომელიც არის შედეგი გაწეული შრომისა. რაც მეტია ღირებულება, იმდენათ მეტია ნივთის ფასი.

**8. საზოგადოებრივი მეურნეობა.** ადამიანი მხოლოდ მაშინ დააკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას, როდესაც იგი შექმნის საჭირო ნივთებს. საჭირო ნივთების შექმნისათვის აუცილებელია შრომის გაწევა. მხოლოდ შრომა გარდაქმნის ნივთებს და აძლევს მათ ისეთ ხასიათს და სახეს, რომ ისინი გამოიყენოს ადამიანმა თავისი მოთხოვნილებისათვის. მხოლოდ შრომა ქმნის ნივთიერებას. ეხლანდელ პირობებში ადამიანს არ შეუძლია თავისი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს მხოლოდ თავისი საშუალებით, მხოლოდ იმ ნივთებით, რომელსაც თითონ შექმნის. მეწუღე ამზადებს წულებს, წულების დასამზადებლათ მას სჭირდება ტყავი, ძაფი, მახათი. მეწუღეს უნდა პური, მარილი, უნდა ფართალი ტანისამოსისათვის. ნივთებს, რომელიც მეწუღეს სჭირდება სულ სხვა პირები ამზადებენ. პური სოფლიდან ჩამოაქვს ქა-

ლაქში სოფლის მეურნეს, შაქარი მზადდება უკრაინაში, ამერიკაში, მარილი შემოაქვთ ერევნიდან ან ბაქოდან, მეწულე კი მუშაობს ტფილისში. ჩითი რომლიდანაც ის იკერავს ახალუხს მზადდებოდა მოსკოვის გუბერნიაში, ტყავი—ყაზანში. მეწულე მხოლოდ მაშინ შეკერავს შეკვეთილ წულებს, თუ საჭირო ნივთებს იგი ტფილისში იშოვის, თორემ შაქრისთვის ის ხომ უკრაინაში ან ამერიკაში ვერ გაემგზავრება, ტყავისათვის ვერ წავა ყაზანში, ჩითისათვის მოსკოვში. მეწულესათვის საჭიროც არ არის, რომ ის დასახელებულ ქვეყნებში და ქალაქებში გაემგზავროს. რაც მას სჭირდება თავისი ხელობისათვის, თავის ცხოვრებისათვის, ის ყველაფერს ტფილისში იშოვის და სრულებით არ არის საჭირო, რომ ის ტფილისიდან დაიძრას.

რა ნაირად ხდება, რომ მეწულე ტფილისში ყველაფერს იშოვის თავის ხელობისათვის? დღევანდელი წესწყობილება ისეთი არის, რომ განუწყვეტელი კავშირი არსებობს სხვა და სხვა გაფანტულ და გაბნეულ მეურნეობათა შორის. ვინც წულებს ამზადებს, მას სჭირია შაქარი, ვინც ჩაის ამზადებს მას ფეხსაცმელი უნდა. შაქრის მწარმოებელი ვერ იცნობს მეჩექმეს, ისინი დაშორებულნი არიან ერთი მეორესგან, ხშირად დედამიწის სხვა და სხვა კუთხეში მომწყვდეულნი, მიუხედავად დაშორებისა, ისინი დაახლოვებულნი არიან. რკინის გზები, გემები, ტელეგრაფი აქარწყლენ-

ბენ მანძილის მნიშვნელობას და გაფანტულ, გაბნეულ ქვეყნებს აახლოვებენ და უპირდაპირებენ ერთი მეორეს. რკინის გზაზედ, თუ ზღვაზე დიდის სისწრაფით გადააქვთ და გადმოაქვთ საქონელი ერთი ადგილიდან მეორეზედ. მეურნეობა წვრილმანი მეწულისა და კავშირებული არის ათასნაირათ სხვა და სხვა ადგილას გაბნეულ დიდ და პატარა მეურნეობასთან. დღეს მეურნეობა თითოეული პირისა და სახელმწიფოების გადაბმული და გადახლართულია. ერთი მეცნიერი ამბობს: „დილას საუზმეზედ ჩვენ მივირთმევთ ჩაის, რომელიც ჩამოტანილი არის აღმოსავლეთ აზიიდან, ყავას ბრაზილიიდან, რძეს შვეიცარიის ზემო ალპებიდან, ხიზილას ასტრახნიდან, კვერცხს ნორმანდიიდან, ყველს ჰოლანდიიდან, პურს ამერიკიდან; სადილათ მივირთმევთ თევზს, რომელიც ჩრდილო ზღვაში არის დაჭერილი, ცხვრის ხორცს, რომელიც ავსტრალიიდან არის მოტანილი, ანანასებს დასავლეთ ინდოეთიდან; ვსვამთ ღვინოს, რომელიც დამზადებულია კუნძულ მადეირაზედ, ყავას მოკკოდან; ვწევთ ღვინის სიგარას, მუშტუკი კი არის გაკეთებული სადაფიდან, რომელიც ბალტიის ზღვიდან არის ამოღებული. სტუმარი არც კი გაკვირდება და არც შეკითხვით მოგვემართავს, არაჲინ თავს არ შეიწუხებს, საიდან და ვინ მოიტანა ყველა ეს, უინაიდან ყველაფერი ეს ძლიერ ჩვეულებრივი მოვლენაა, ყველა ამეებს თითოეული ჩვენგანი სულ ადვილათ იპოვის ყოველქალაქში“.

ბაზარზედ ყველაფერს ვიპოვით. ფულის შემწეობით, ანუ ფულის საქონელზედ გადაცვლით ყველაფერი მოიპოვება ბაზარზედ. ჩვენ ყოველთვის ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენთვის საჭირო ნივთებს აუცილებლათ ვიპოვით ბაზარზედ. ჩვენ უტყუარი რწმენა გვაქვს, რომ ვილაც, ჩვენთვის სრულიად უცნობი პირი, სხვა და სხვა, ჩვენგან დაშორებულ ადგილებში, სხვა და სხვა ქვეყნებში, ოკეანეს იქით და აქეთ, ზრუნავს, ამზადებს ჩვენთვის საჭირო ნივთებს და ბაზარზედ შემოიტანს. ეს რწმენა გვაერთიანებს ყველას, გაბნეულ და გაფანტულ ადამიანთა შორის ბადებს კავშირს, განუწყვეტელ დამოკიდებულებას.

თითვეული ნივთის დამზადება, მაგალითად, მკერვალის სახელოსნოში მაუდის ტანისამოსისა, არის მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი იმ მოქმედებათა, რომელიც საჭირო იყო ამ ნივთის დასამზადებლათ. ტანისამოსის დამზადება არის შედეგი მუშაობისა არა ერთი პირის ან მეურნეობის (მაგალითად, მატყლს ამზადებენ დუშეთში, თიანეთში, სომხეთში, სადაც მეცხვარეობას მისდევს მცხოვრებლები, ქსოვილს ამზადებენ ხონში, ან მოსკოვის გუბერნიაში), არამედ მთელი წყების, რამოდენიმე მეურნეობის. თითვეული მეურნეობა გადაბმული და დაკავშირებული არის მეორე მეურნეობასთან, თურქესტანში აწარმოებენ ბამბას, მოსკოვის გუბერნიაში ამ ბამბიდან

ამზადებენ ქსოვილებს. სადმე მიყრუებულ სოფელში ამ ქსოვილებიდან კერავენ ტანისამოსს. აი ეს არის საზოგადოებრივი მეურნეობა. საზოგადოებრივი მეურნეობა აკავშირებს მთელს მსოფლიოს. საზოგადოებრივი მეურნეობა ძლიერ რთული რამ არის. ამ რთულ მეურნეობაში არის დანაწილება მუშაობისა: ერთი აწარმოებს ბამბას, მეორე ბამბისაგან ქსოვილებს ამზადებს, მესამე ამ ქსოვილებიდან ტანისამოსს კერავს, მეოთხე ყიდის დამზადებულ ტანისამოსს. დანაწილებას მუშაობისას თან მოსდევს თანამშრომლობა. საზოგადოებრივი მეურნეობა ჰბადებს მუშაობის დანაწილებას, მუშაობის დანაწილებას კი იწვევს თანამშრომლობას. გამოდის, რომ საზოგადოება დაქსაქსულიც არის და შეერთებული და შეკავშირებული.

**9. წარმოების იარაღი.** მხოლოდ შრომა ქმნის ნივთს, ღირებულებას. ღირებულება არის შედეგი გაწეული შრომისა. შრომა უნდა იყოს რამეზედ დახარჯული. ვიდრე რაიმე ღირებულებას შეექმნიდეთ, წინასწარ უნდა ვიქონიოთ ისეთი რამ, რომლის შემწეობით ამ ღირებულების შექმნა შეიძლება. ბამბის დათესვა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ გვაქვს ისეთი იარაღები, რომლის შემწეობით შეიძლება მიწის დამუშავება. მოწეული ბამბის გადამუშავება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ არის მანქანები. საშუალებანი, რომლის შემწეობით შეიძ-

ლება მასალის გარდაქმნა, რათა მან ივარგოს ადამიანის სახმარებლათ, მისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ, არის—**წარმოების იარაღი**.

**10. კაპიტალი.** ადამიანი ამზადებს საქონელს თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ (გლენი, სოფლის მეურნე სთესავს პურს, სიმინდს), რომლიდგანაც აგრეთვე მზადდება ახალი ნივთები (ბამბა—ქსოვილების დასამზადებლათ). საქონლის დასამზადებლათ საჭიროა შესაფერი შენობები. შენობებში საჭიროა მანქანები, რათა მუშებმა შესძლონ ისე გადაამუშაონ ნედლი მასალა (ბამბა, ტყავი), რომლის მოხმარება შესაძლებელი იქნება მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ (დამუშავებული ბამბიდან—ქსოვილებიდან შეიძლება ტანისამოსის შეკერვა). ყველა ის ნივთები, მოწყობილებანი, რომელიც შექმნილი არის ადამიანის შრომით და რომლის დანიშნულება არის არა პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, არამედ მომარაგებულია იმისათვის, რომ დაქირავებული მუშების შრომით მოგება მოიტანოს—არის **კაპიტალი**. კაპიტალის წარმოება ამნაირად ხდება: მუშა თავისი შრომით და ჯაფით ამზადებს მეტ ღირებულებას, ვიდრე საჭირო არის მისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ. ეს იმისათვის ხდება, რომ მუშა ზედმეტს მუშაობს, მეტ მუშაობის ნაყოფიერებას იჩენს.

**11. დამატებითი ღირებულება.** კაპიტალი დაგ-

როგებულო არის მცირეოდენ პირთა ხელში. ძველათ, ომიანობის დროს გამარჯვებული, მონათ ხთიდა დაპყრობილ სახელმწიფოების მცხოვრებლებს. მონები თავისი შრომით მეტ საქონელს ამზადებდენ ვიდრე ეს საჭირო იყო მათი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ. ამ ზედმეტ ნაწარმოებს ოთვისებდა მონების პატრონი. მაშასადამე, კაპიტალი თავდაპირველათ იყო შედეგი დამონებისა და ძალდატანებისა. კაპიტალი ყოველთვის ცდილობს გააძლიეროს შრომის ნაყოფიერება. ის ცდილობს შექმნას რაც შეიძლება უფრო მეტი ნივთები. კაპიტალის ბატონ-პატრონი ძლევა-მოსილია, მის ხელში ისეთი ძალა არის, რომლის მეოხებით ის შრომის ნაყოფიერებას აძლიერებს.

**12. მანქანები.** შრომის ნაყოფიერებას აძლიერებს მანქანების ხმარება. მანქანის შემწეობით იზრდება ნაწარმოების რაოდენობა. მანქანა ასრულებს ისეთ მუშაობას, რომელიც აუტანელი და შეუძლებელი არის ადამიანისათვის. მანქანა აჩქარებს წარმოებას, მეტის სისწრაფით ასრულებს მუშაობას, მანქანის სისწრაფე ამცირებს დროს და ვადას ნივთების წარმოებაში. მანქანების გამოგონებამ ძირიანათ შესცვალა წარმოება და მისი ნაყოფიერება. ერთმა მეცნიერმა—ბესემერმა—ისეთი მანქანა გამოიგონა, რომ რკინის ფოლადათ გარდაქცევა 20 წუთის განმავლობაში ხდება. მანქანის გამოგონებამდე საჭირო იყო

1<sup>1</sup>/<sub>2</sub> დღე. ამერიკაში სასაკლაოზედ მანქანებით მუშაობენ. ძლიერ ნაკლები დრო მიდის მუშაობაზედ და ხორციცბევრი მზადდება. დამწყვედელი ღორი ათი წუთის შემდეგ დაკლული, დანაწილებული და დალაგებულია ყინულიან საწყობებში. ამერიკაში ქარხანა, რომელიც 8 საათს მუშაობს დღეში, ერთ კვირაში ამზადებს 10,000 ტანისამოსს. ამერიკაში ტიპოგრაფიის მანქანა ბორბლის ერთი გადაბრუნებით ბეჭდავს 144 გვერდს გაზეთისას; ერთ საათში იძლევა 70.000 ნაბეჭდს. მანქანის გამოგონებამდე ამ სამუშაოსათვის საჭირო იყო სამი კვირა გულმოდგინე მუშაობისა. ერთი წყვილი მამაკაცის ფეხსაცმელის დასამზადებლად სჭირდება ქარხანაში მანქანების საშუალებით 3<sup>1</sup>/<sub>2</sub> წუთიდან 3 საათამდე იმის მიხედვით, თუ რა ხასიათის ფეხსაცმელი მზადდება. ერთი ევროპიული ტანისამოსის (პიდჟაკის) შეკერვას მანქანა უნდება ერთ საათს. მანქანა დიდის სისწრაფით მუშაობს. მანქანა მუშაობას ანდომებს გაცილებით ნაკლებ დროს. მანქანის შემწეობით მუშაობა უფრო ადვილია. მანქანაზე მუშაობა უფრო ნაყოფიერია, ვიდრე ხელით მუშაობა. მაგრამ მანქანაზე მუშაობა ერთფეროვანი და შემაწყინებელია, ის იმორჩილებს მუშას ფიზიკურად და სულიერად: შემოქმედება იკარგება, აზროვნება ჩლუნგდება, მუშა მანქანაზედ არის მიკრული, მუშა არის მხოლოდ ნაწილი მანქანისა.

**13. მუშის ხელფასი.** მუშა წარმოებაში ღე-

ბულობს ჯილდოს—ნამუშევარის ხელფასს. რას იღებს მუშა და რანაირად ანგარიშობენ ხელფასის რაოდენობას. მუშა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მანქანები შემოიღეს წარმოებაში, ამზადებს ბევრ ნივთებს. დამზადებული ნივთების ღირებულებიდან მუშა იღებს მხოლოდ იმდენს, რამდენიც საჭირო არის, რომ მან ოჯახით თავი დაირჩინოს. დანარჩენს ითვისებს კაპიტალის პატრონი და ეს მითვისებული ნაწილი მუშის მიერ შექმნილი ღირებულებისა არის კაპიტალის მოგება. ეხლანდელ დროის წარმოებაში ყველგან შემოღებული არის მანქანები. მანქანების შემოღება ამცირებს მუშების რიცხვს. ერთი-მანქანა ასრულებს რამდენიმე მუშის სამუშაოს. მანქანის მოვლისა და გაძღოლისათვის საკმარისი არის მცირეოდენი მუშა ხელი. მანქანა თვით მუშაობას აადვილებს და ამარტივებს, ამიტომ მანქანებზედ მუშაობა ბავშვებს და დედაკაცებსაც შეუძლიათ. ბავშვების და დედაკაცების მუშაობა უფრო იაფი არის და მათი გამოყენება აიაფებს თვით ხელფასს. ვინაიდან მანქანაზედ მუშაობა ბავშვსაც და დედაკაცსაც შეუძლია, მუშის ოჯახის შენახვა იაფად ჯდება, რადგან სამუშაო ხელფასს იღებს არა მარტო ოჯახის თავი, უკვე ასაკში შესული, არამედ დანარჩენი ოჯახის წევრებიც. ქარხნის პატრონი ეძებს განვითარებულ, ცოცხალ მუშას და მზათ არის მეტი ჯილდოც მისცეს, რადგან შეგნებული მუშა უფრო მეტ საქო-

ნელს ამზადებს, უფრო ნაყოფიერი არის მისი მუშაობა. მაგრამ ასეთი მუშა იღებს გაცილებით უფრო ნაკლებს, ვიდრე თითონ ქმნის ღირებულებას.

დღევანდელი საზოგადოებრივი წეს-წყობილება განსაკუთრებულ ნიადაგზედ არის აგებული. საზოგადოების უმცირესს ნაწილს ეკუთვნის კაპიტალი — წარმოების იარაღი. საზოგადოების უმრავლესობა კი — მუშა, მშრომელი, ყიდის კაპიტალს თავის სამუშაო ძალას, თავის უნარს, თავის შეგნებას და სამაგიეროთ ღებულობს კაპიტალის პატრონისაგან ხელფასს. ხელფასი არის ღირებულება მუშის შრომისა, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს ყოველგვარი მოთხოვნილება მუშისა და მისი ოჯახისა. მუშა იღებს მცირედენ ნაწილს მის მიერ შექმნილ ღირებულებისას, დანარჩენს ითვისებს კაპიტალის პატრონი. კაპიტალის პატრონი ართმევს მუშას უმთავრეს ნაწილს მისი ნაშრომისას და აძლევს მას უმცირეს ნაწილს. ეს მითვისება მუშის ნაშრომის ნაწილისა კაპიტალის პატრონის მიერ არის შედეგი არსებული — **კაპიტალისტური წეს-წყობილებისა**, რომელიც აძლევს ძალას კაპიტალის პატრონს. მუშა კაპიტალის მონა, ყმაა. მუშებმა შეიგნეს თავისი მდგომარეობა და მოიწადინეს ასეთი წეს-წყობილების შეცვლა. გაჩნდა **პოლიტიკური პარტიები**. მუშათა მისწრაფების დამცველი პოლიტიკური პარტიები ცდილობენ შესცვალონ არსებული წეს-წყობილება, მართვა-გამგეობის.

წესი, იმნაირად, რომ სახელმწიფოს კანონმდებლობაში, მართვა-გამგეობაში თითონ მიიღონ მონაწილეობა, რათა საშუალება მიეცეს არსებული პოლიტიკური წეს-წყობილების შეცვლასთან, შესცვალონ თავიანთი მდგომარეობა და შექმნან უფრო სამართლიანი პირობები ცხოვრებისა.

რათა დაიცვან თავი კაპიტალის ძალმომრეობისაგან, შეამსუბუქონ მაინც კაპიტალის მონობა, მუშებმა შექმნეს **პროფესიონალური** კავშირები. თითოეული წარმოების დარგის მუშები შეკავშირებულნი, და შეერთებულნი არიან; სხვა და სხვა დარგის მუშები შეადგენენ საერთო დიდ კავშირს მუშებისას. კავშირები მუშებისა სხვა და სხვა ქვეყნებისა შეერთებულნი არიან საერთაშორისო კავშირში. მაშასადამე მშრომელი ხალხი აღარ არის გაფანტული, გაბნეული. ისინი თავმოყრილნი არიან. მათ აკავშირებს საერთო მიზანი და საერთო საქმე. ეს საერთო საქმე გამოიხატება იმაში, რომ დაკავშირებული მუშები ებრძვიან კაპიტალის ძალას, კაპიტალის მონობას. ისინი ცდილობენ შექმნან რაც შეიძლება კარგი პირობები მუშაობისა, რომ მუშაობამ არ დააუძღუროს, დაავად-მყოფოს მშრომელი, გაადიდებოს კაპიტალისტებს ხელფასი.

**14. მსხვილი წარმოება.** მსხვილ წარმოებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მსხვილი წარმოება ამრავლებს ნაწარმოების რაოდენობას, მსხვილ წარმოე-

ბაში შესაძლებელია თვით წარმოების გაუმჯობესება. მსხვილი წარმოების ნაწარმოები ამ მიზნების გამო უფრო იაფია. წარმოების გადიდებას აქვს თავისი საზღვარი. მსხვილ წარმოებისათვის, წარმოების გაფართოებისათვის საჭირო არის ისეთი დიდი კაპიტალი, რომელიც კერძო პირისათვის შეუძლებელი არის. ამიტომ, ვიდრე წარმოება გამსხვილდებოდეს, გაფართოვდებოდეს, საჭირო არის კაპიტალების გადიდება, შეერთება. ამისათვის კაპიტალისტები ამხანაგობას ქმნიან და თავის კაპიტალს აგროვებენ ერთად. არის ისეთი წარმოება, მაგალითად რკინის გზები, ორთქლ-მავალი გემების წარმოება, რომ კაპიტალის პატრონი, რა გინდ დიდი კაპიტალი მას არ ქონდეს, ვერ შესძლებს მის წარმოებას და გაძლიერებას. ასეთი დიდი და რთული წარმოებისათვის კაპიტალის პატრონები აყენებენ მთლიან, დიდ საზოგადოებებს, რომლებიც აგროვებენ კაპიტალს და აკავშირებენ კაპიტალების პატრონებს—ეს არის, **სააქციო საზოგადოებანი**. ვისაც შეაქვს საზოგადოებაში თავისი კაპიტალი, იმას უფლება აქვს წარმოების მოგებაში მონაწილეობისა. მაგრამ უფლება და მოგების ნაწილი განისაზღვრება საზოგადოებაში შეტანილი აქციის რაოდენობით. წარმოების სათავეში სდგება, არა განცალკევებული პიროვნება, არამედ მთელი კრებული წარმოების მართვა-გამგეობა ევალება საგანგებო ნდობით აღჭურვილ პირებს. მაშასადამე, მსხვილ წარმოებაში თვით წარმოების მარ-

თვა-გამგეობის სახეც იცვლება. ასეთ საზოგადოებებში უფრო მეტი გავლენა მართვა-გამგეობაში იმას აქვს, ვინც მეტი კაპიტალი შეიტანა. სააქციო საზოგადოების მონაწილე თითონ წარმოებას არ განაგებს, იგი მართვა-გამგეობას ანდობს არჩეულთ, მხოლოდ თითოეული მონაწილე იღებს მოგებას წარმოებისას და იმდენ მეტ მოგებას, რამდენათაც მეტი წვლილი აქვს შეტანილი, — რაც მეტი კაპიტალი აქვს დადებული.

**15. სინდიკატი.** წარმოების ხასიათი იცვლება, წარმოება რთულდება. გართულებული, გაფართოებული წარმოება კი საშიშროებას წარმოადგენს კაპიტალის პატრონისათვის. რამდენათ დიდია წარმოება, იმდენათ უფრო დიდი კაპიტალი არის საჭირო, იმდენათ მეტი გამჭრიახობა და უნარი უნდა გამოიჩინოს წარმოების პატრონმა. წარმოების გაფართოება იწვევს დიდ მეტოქეობას, ბრძოლას. მსხვილ წარმოებას ის უპირატესობა აქვს, რომ მას შეუძლია დიდძალი საქონელი დაამზადოს და გამოიტანოს ბაზარზედ. რაც უფრო მეტი საქონელი არის გამოტანილი ბაზარზედ, მით უფრო ეცემა მისი ფასი. მაშასადამე, თუ მსხვილი წარმოება დიდძალ საქონელს გამოიტანს ბაზარზედ, საქონლის ფასი ისე დაეცემა, რომ წარმოება ვერ აანაზღაურებს ხარჯებს და შესაძლებელი არის სრულიად დაილუპოს. რომ ეს არ მოხდეს მსხვილი წარმოების მეთაურნი ცდილობენ

მოახდინონ შეთანხმება. შეთანხმება იმაში გამოიხატება, რომ ისინი ხელშეკრულებას სდებენ გაყიდონ საქონელი წინასწარ განსაზღვრულ ფასებში. ისინი აღუთქვამენ ერთმანეთს საქონლის ფასი არ დასწიონ იმას ქვევით, რა ფასიც მათ მიერ არის დაწესებული. ასეთ შეთანხმებას ეწოდება **სინდიკატი**. სინდიკატი აწესებს ისეთ ფასს საქონელზედ, რომ იმ ფასზედ ნაკლებათ ბაზარზედ არ უნდა გაიყიდოს საქონელი. სინდიკატი აკავშირებს მსხვილ მწარმოებლებს, რომლებიც განსაზღვრავენ ფასებს, ვინაიდან სინდიკატებში თავს იყრის მსხვილი მწარმოებლები. ვინაიდან მათ ხელში არის მთელი დარგები წარმოებისა, მათ შეუძლიან ისეთი ფასები დააწესონ, რომელიც მათ სურს, ისინი ასეც იქცევიან. აღებენ თავისი მოგების მიხედვით დიდ ფასებს, დიდ მოგებას იღებენ და მასთან ერთად საქონლის ხარისხსაც ამცირებენ. ძვირი და მდარე ხარისხის საქონელი— აი სინდიკატების მოქმედების შედეგები. რუსეთში იყო რკინეულობის მწარმოებელთა სინდიკატი „პროდამეტ“. რკინის ფასი 1 მან. 40 კ. აიყვანეს 1 მან. 70 კ., ფასი გაზარდეს 20%, რკინეულობის ღირსება კი შეამცირეს. შემოიღეს ორი ხარისხის რკინა: მეორე ხარისხის გახადეს პირველისათ და მესამე— მეორე ხარისხათ.

16. **ტრესტი**. სინდიკატების მიერ მოწყობილი შეთანხმება ხშირად არ არის სანდო. თუ სინდიკა-

ტის წევრისათვის ხელსაყრელია, ის გამოიტანს მეტ  
საქონელს, ვიდრე ეს დაწესებული არის შეთანხმე-  
ბით, ან გაიტანს ისეთ ადგილებში, რომელიც  
სინდიკატის შეთანხმებაში არ არის აღნიშნული.  
ასეთი უხერხული მდგომარეობის თავიდან ასაცილებ-  
ლათ მსხვილი მწარმოებელნი განცალკევებულნი შე-  
თანხმებას ახდენენ. ამ შეთანხმების შედეგი არის **ტრე-  
სტების** დაარსება. დიდი და მსხვილი წარმოებანი,  
შეადგენენ ერთ უდიდეს წარმოებას. ის წარმოე-  
ბანი, რომლებიც შეადგენენ ამ ახალ შეერთებულ  
წარმოებას, წარმოადგენენ მხოლოდ ნაწილს. ტრეს-  
ტის შემადგენელი ნაწილი დამოკიდებულია ტრესტზე.  
ცალკე წარმოება შეუძლებელია. მაშასადამე, შეუძლე-  
ბელი არის მეტოქეობა იმ ნაწილების, იმ წარმოებათა  
შორის, რომლებიც ტრესტებს შეადგენენ, ვინაიდ-  
გან ისინი, როგორც მწარმოებელნი აღარ არსებო-  
ბენ და შეადგენენ ერთ მთელს. სინდიკატების შედ-  
გენის დროს კი სინდიკატის შემადგენელი ნაწილები  
დამოუკიდებლათ აწარმოებენ თავის წარმოებას.

ტრესტების ხელში ვარდება მთელი წარმოება,  
და მთელი ბაზარიც. ტრესტები გამოიტანენ ბაზარ-  
ზედ საქონელს მოთხოვნის მიხედვით, აწესებენ  
ერთგვარ ფასებს საქონლისას. ფასების განსაზღვრა-  
ში ისინი სრულიად დამოუკიდებელნი არიან და  
ისეთი ფასების დაწესება შეუძლიათ, რა ფასებიც  
მათ სურთ, ეს არის მათი მონოპოლია. ტრესტების

მოქმედება არ არის შეზღუდული რომელიმე სახელმწიფო ფარგლებით. მათი მოქმედება ვრცელდება რამდენიმე ქვეყანაზედ. მათ თავისი მოქმედება გაფანტული და გაბნეული აქვთ სხვა და სხვა ქვეყნებში. ტრესტები საერთაშორისო შეთანხმებასაც კი ამყარებენ. ტრესტები აერთებენ სხვა და სხვა გვარის და რიგის წარმოებას. სინდიკატები აერთებენ ერთი და იმავე რიგის წარმოებას და მწარმოებლებს. არის ტრესტი ხორცის გაჭრობისა ჩიკაგოში. ეს ტრესტი ამზადებს ხორცეულობას. მას აქვს თავისი სასაკლაოები, აქვს თავისი რკინეულობის გადასამუშავებელი ქარხნები, ქარხნები, სადაც ქონიდან საპონს ამზადებენ, აქვს ქარხნები, რომლებიც ამზადებენ რქის სავარცხლებს, ფოლაქებს, ამზადებენ წებოს, ფოსფორს, ფებსაცმელის საწმენდ მასალას. ტრესტებში თავმოყრილი არის სხვა და სხვა გვარი წარმოება.

სინდიკატებს და ტრესტებს ძლიერ დიდი ძალა აქვთ. იმდენად დიდი ძალა რომ მათ წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელი შეიქმნა. ტრესტების ხელში ვარდება მთელი წარმოება და მათ მოიპოვეს განსაკუთრებული უპირატესობა ბაზარზედ. ტრესტები გაძლიერდა და განვითარდა ამერიკაში. ამერიკა კი არის ისეთი სახელმწიფო, სადაც მრეწველობამ და ალებ-მიცემამ უმაღლეს საფეხურს განვითარებისას მიაღწია. მიმდინარე საუკუნის დასა-

წყისში ძლიერ გამრავლდა ქარხნები, რომლებიც ამზადებდნენ სხვა და სხვა ბამბის ქსოვილებს. ბამბის საჭიროება და მოთხოვნილება ძლიერ დიდი შეიქმნა. ბამბის ფასმაც თან და თან უფრო და უფრო იმატა. მექარხნეებისათვის ბამბის ფასების გაზრდა არ იყო სასურველი და მოიწადინეს ფასების შემცირება. ამისათვის მათ მოახდინეს შეთანხმება 1908 წ. ინგლისში შეაჩერეს მუშაობა შაბათობით და ორშაბათობით იმ ქარხნებში, რომლებიც ამერიკის ბამბას ამუშავებდნენ. მუშაობა ამ დღეებში შეჩერდა 95% მთელი ქარხნებისა, რომელიც სახელმწიფოში ბამბას ამუშავებდნენ. ამას გარდა ერთი მესამედი მუშაობისა იყო შემცირებული. გერმანიაში სამუშაო დღე შეამცირეს: 11 საათის მაგიერ მუშაობა წარმოებდა 10 საათს. ამერიკაში ზოგიერთ ქარხნებში ორი კვირის ვადით სრულებით შეწყდა მუშაობა. საფრანგეთში და ბელგიაში განაცხადეს, რომ მარტის დამლევამდე ერთი წლის განმავლობაში თითო დღეს კვირაში არ იმუშავებენ. ავსტრიაში მარტიდან დაწყებული სექტემბრამდე 3<sup>1</sup>/<sub>2</sub> მილიონი სართავის მაგივრად მუშაობდა ნახევარი. ამნაირ შეთანხმებით ბამბის მოთხოვნილება შემცირდა და ფასებიც დაეცა. ტრესტები ისეთ ვეებერთელა წარმოებას წარმოადგენენ, რომ მათ საშუალება აქვთ თვით წარმოება გააუმჯობესონ. ტრესტების წარმოებაში არის შემოღებული მუშებისათვის დი-

დი ხელფასი, თითქოს შრომის დაფასება უფრო მეტია ვიდრე სხვაგან. მაგრამ ჭეშმარიტად კი ეს არ არის. ტრესტების მეოხებით ნაწარმოები უფრო ძვირია. ტრესტების მეოხებით თვით ცხოვრებაც ძვირდება. ტრესტები აერთიანებენ წარმოებას, ბაზარზედ მათ ნაწარმოებს მეტოქე არა ყავს, ტრესტების მეთაურნი ისეთ ფასებს ადებენ საქონელს, რომელიც მათთვის არის სასარგებლო. ისინი იღებენ დიდ მოგებას. ისინი ზრდიან თავის მოგებას. დღევანდელი ეკონომიური წეს-წყობილების უმთავრესი თვისება იმაში გამოიხატება, რომ პატარა, წვრილი წარმოება და გაბნეული კაპიტალი გროვდება და წვრილი წარმოების იარაღი ერთად იყრის თავს. წვრილი წარმოებანი და კაპიტალი ერთიანდება, არსდება შეერთებული, შეკავშირებული დიდი წარმოება (სინდიკატი, ტრესტი). ხდება კაპიტალის

**კონცენტრაცია.** ე. ი. გაფანტული და გაბნეული კაპიტალი და წარმოებანი ერთად იყრიან თავს. ბევრი წვრილი წარმოების მაგიერ არსდება რამდენიმე შეერთებული, მსხვილი წარმოება. შეერთებული წარმოება ავრცელებს ზედგავლენას დიდ მანძილზედ. შეერთებული კაპიტალი და წარმოება დიდ ძალას წარმოადგენს. მას ემორჩილება ბაზარი, დიდი წარმოება აწესებს ისეთს ფასებს, რომელიც მას უნდა. დიდ წარმოებას არ ეშინია მეტოქეობისა, კონკურენციისა.

დიდ წარმოებას თავისი უპირატესობაც აქვს: მას შეუძლია საქონლის გაიაფება, ვინაიდან მას საშუალება აქვს დიდ-ძალი საქონელი დაამზადოს წარმოების ხარჯი, განაწილებული საქონლის დიდ რაოდენობაზედ კი საქონლის ფასს ამცირებს. კაპიტალისტური წარმოების განვითარება, კონცენტრაცია კაპიტალებისა და წარმოებისა იწვევს მუშათა რიცხვის გადიდებას. კაპიტალისტური წარმოება ცდილობს რაც შეიძლება დიდი მოგება იქონიოს. კაპიტალისტის მოგება კი არის მითვისება, მისაკუთრება იმ დამატებითი ღირებულებისა, რომელსაც მუშა ქმნის თავისი შრომით და ჯაფით. მუშა მის მიერ დამზადებულ ღირებულებიდან იღებს მცირე-ოდენ ნაწილს, მხოლოდ იმდენს, რამდენიც საჭირო არის, რომ თითონ და მისმა ოჯახმა შემშილისაგან არ დაიხოცონ. მაშასადამე, ვინაიდან კაპიტალის პატრონი ითვისებს მეტს ნაწილს მუშის მიერ შექმნილ ღირებულებისას, მუშა კაპიტალის მონა არის. შეერთებული წარმოება იმდენათ უფრო ძლიერი არის, რამდენათაც მეტი კაპიტალი არის შეერთებული. რამდენათ მეტი კაპიტალი არის შეერთებული, იმდენათ იგი უფრო ძლიერია, იმდენათ უფრო დამონებული და დამორჩილებულია მშრომელი.

მუშებმა თავისი მდგომარეობა შეიგნეს და დაიწყეს ბრძოლა, რათა მდგომარეობა გაეუმჯობესებიათ. ამისათვის საჭირო იყო, რომ გაბნეული, გა-

ფანტული მუშები შეერთებული ყოფილიყვნენ. ეს ასეც მოხდა. მუშებმა შეერთდენ, შექმნენ **პროფესიონალური კავშირები** სხვა და სხვა დარგებში (სტამბის მუშების კავშირი, მეჩექმეების, რკინეულობის მომუშავეთა კავშირი, კავშირი შავი ქვის მალაროების მუშებისა). პროფესიონალური კავშირები ცდილობენ ხელფასის გადიდებას. რაც უფრო დიდი ხელფასი ექნება მუშას, მით უფრო მეტს მიითვისებს მუშა იმ ღირებულებიდან, რომელიც მან შექმნა, იმდენათ ნაკლებია დამორჩილება მუშისა კაპიტალისტის მიერ, იმდენად უფრო კარგათ ცხოვრობს მუშა. პროფესიონალური კავშირი ცდილობს სამუშაო დღე შეამოკლოს, ისინი ცდილობენ შემოიღონ რვა საათის მუშაობა დღეში, 8 საათის მუშაობას მოითხოვს თვით სამართლიანობა. (8 საათი უნდა მოხმარდეს მუშაობას, 8 საათი დასვენებას, 8 საათი — სწავლა-განათლებას). კავშირები ცდილობენ მუშები ისეთ პირობებში იყვნენ ჩაყენებულნი მუშაობის დროს, რომ მუშაობის პირობებმა არ ავნოს ჯანმრთელობას, უდროოდ არ დაასუსტოს მუშა და არ დაავადმყოფოს. კავშირები იცავენ მცირე-წლოვანებს, რომ მცირე-წლოვანი არ იქნენ ქარხნებში, ვინაიდან ნორჩი აგებულობა ამას ვერ აიტანს, ბავშვები უდროოდ დაუძლოურდებიან და ახალი თაობის დაუძლოურება და დაავადმყოფება მომასწავებელია მთელი ხალხის გადაგვარებისა. კავშირები ზრუნავენ აგრეთვე

თავისი წევრების სწავლა-განათლებაზედ. რა თქმა უნდა, მუშათა კავშირები, რომლებიც იცავენ მუშას, მის მდგომარეობას, ზრუნავენ მუშის კეთილდღეობაზედ—ეწინააღმდეგებიან კაპიტალისტების მისწრაფებას, რომლისათვის უფრო მისაღები არის, როდესაც მუშები გაფანტულნი და გაბნეულნი არიან. მაშინ ხომ უფრო ადვილი დასამორჩილებელი იქნებოდნენ მუშები ვინაიდან მუშებისა და კაპიტალისტების მისწრაფებანი ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან— მუშები იძულებულნი არიან ბრძოლით მოიპოვონ თავისი უფლებანი მუშათა ბრძოლას მყუდრო ხასიათი აქვს, ისინი თოფ-იარაღით არ გამოდიან კაპიტალისტების წინააღმდეგ. მათი იარაღი არის გაფიცვა, ანუ მუშაობის შეჩერება, შეწყვეტა. მუშაობის შეჩერება ყოველთვის საზარალოა; როგორც წარმოების პატრონისათვის, ისე სახელმწიფოსათვის. გაფიცვა უძლიერესი ბრძოლის იარაღი არის, რომელსაც შეკავშირებული მუშები მიმართავენ საქიროებისამებრ.

**17. სოციალიზმი.** წარმოების იარაღი შეადგენს კაპიტალისტების კერძო საკუთრებას. იარაღი წარმოებისა, კერძო საკუთრება იმონებს და იმორჩილებს მშრომელს. მუშათა პროფესიონალური ორგანიზაციები ებრძვიან კაპიტალს, ცდილობენ მუშები გაანთავისუფლონ და დაამყარონ ახალი საზოგადოებრივი წეს-წყობილება. ახალი წეს-წყობილების დი-

რითადი თვისება ისაა რომ, წარმოების იარაღი შეიქნება არა კერძო პირთა საკუთრება, არამედ საკუთრება საზოგადოებისა. მუშათა კლასის მისწრაფებაა დაამყაროს ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობა, სადაც ადგილი არ ექნება კერძო საკუთრებას. ეს ისეთი წეს-წყობილება იქმნება, სადაც იარაღი წარმოებისა, მთელი კაპიტალი იქმნება მის ხელში, ვინც შრომობს, ვინც ქმნის ღირებულებას. მაშინ მოისპობა ის ძალა, რომელიც აქცევს მშრომელს მონათ კაპიტალის მესაკუთრეებისა და დადგება ისეთი ხანა, როდესაც მონობა; როგორც შედეგი კერძო საკუთრებისა, მოსპობილი იქმნება და მშრომელი იქმნება მესაკუთრე ნაწარმოებისა ისე, როგორც წარმოების იარაღისა. ასეთი წეს-წყობილება უმაღლესი საფეხური იქნება საზოგადოების განვითარებაში, როდესაც მოისპობა დამორჩილება ერთი ჯგუფის, მესაკუთრეების მიერ მეორე ჯგუფის, მუშებისა, რომლებიც უმრავლესობას შეადგენენ. მაშინ მოისპობა ყოველ გვარი ეკონომიური დამორჩილება და შეიქნება თანასწორობა. ეს არის—**სოციალიზმი**. ეს არის საზოგადოებრივი განვითარების უმაღლესი საფეხური, რომლის მოსვლას ეტრფის მშრომელი ხალხი.

---

## ნაწილი II

### კოოპერაცია.

კოოპერაცია ჩაისახა და განვითარდა მე XIX საუკუნის პირველ ნახევარში. კოოპერაციის განვითარება დაქვემდებარებული არის კაპიტალიზმის წეს-წყობილების განვითარებასთან. კაპიტალიზმის განვითარებამ გამოიწვია კოოპერაციის განვითარება და გაძლიერება.

რანაირად არის დაკავშირებული კოოპერაციის განვითარება კაპიტალიზმის განვითარებასთან, საით მიისწრაფვის კოოპერაცია, რა იდეალებს ემსახურება იგი. ყველა ამ კითხვებს მაშინ გავსცემთ პასუხს, თუ წინასწარ გავითვალისწინებთ კოოპერაციის ბუნებას, მის არსებით თვისებებს, მის მისწრაფებას. ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ კარგათ შევითვისებთ იმას, რაც პირველ ნაწილში იყო ნათქვამი.

**1. თავისუფალი კავშირი.** კოოპერაცია საზოგადოებრივ წეს-წყობილებაში არის განსაკუთრებული მოვლენა. კოოპერაციის შემადგენელი ნაწილები არის — კოოპერატივები. რა არის კოოპერატივი? კოოპერატივი უპირველეს ყოვლისა არის ამხანაგობა, კავშირი, ყრილობა, შეერთება ადამიანთა. ვის შეუძლია კოოპერატივის წევრი შეიქმნეს? კოოპერატივის წევრობა შეუძლია ყველას, ვინც უნდა იყოს, განურ-

ჩველათ იმისა, თუ ვინ რა პარტიის არის, რა ტომის, რა წოდების, რა სარწმუნოების. ყველასათვის ღიაა კოოპერატივი. კოოპერატივი არის თავისუფალი შეკავშირება. კოოპერატივის წევრების რიცხვი განუსაზღვრელია.

**2. კოოპერატივი არის სამეურნეო წარმოება,** კოოპერატივის დედა აზრი არის მიაღწიოს წინასწარ განზრახულ სამეურნეო მიზანს. კოოპერატივი აკავშირებს მოქალაქეებს, რათა შეერთებული ძალით და შრომით შექმნან რაიმე ღირებულებანი, ან რათა შეერთებული ძალით შექმნილი ღირებულებანი—თავისი წევრების შრომის ნაყოფი—გაასაღონ ბაზარზედ, ან და შეერთებული ძალით გაუადვილონ თავის წევრებს შეძენა ისეთი ნივთებისა, რომლის შემწეობით მათ შეუძლიათ თავისი მეურნეობის და წარმოების გაგრძელება და განვითარება. რა უპირატესობა აქვს კოოპერატივს, ან ამხანაგობას, ამხანაგების კავშირს.

ესთქვათ სოფელში ქათმებს აშენებენ. თითოეულ ოჯახში რჩება რამოდენიმე კვერცხი მას შემდეგ, რაც სოფლის მეურნე დააკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას. სოფლის მეურნეს სურს ეს კვერცხები გაასაღოს და სამაგიეროდ რაიმე საჭირო ნივთი შეიძინოს. რა უნდა ქნას მეურნე გლეხმა? გლეხი იძულებულია აიბარგოს სოფლიდან და წავიდეს ახლობელ რკინის გზის სადგურზედ ან ქალაქში და აქ

გაასალოს კვერცხი. ვთქვათ გლეხმა ასეც მოიქცა. რა მოხდება ამ შემთხვევაში? გლეხი რამოდენიმე კვერცხის ჩატანას მოანდომებს დროს, მოცდება თავის შინაურ საქმეებს, ოჯახს. შესაძლებელი არის, იმ დღეს, როდესაც გლეხმა თავისი კვერცხები ბაზარზედ ჩამოიტანა, იქ ბევრი კვერცხი იყო ჩამოტანილი სხვა სოფლებიდან. თუ ბევრი კვერცხი იქნა გატანილი ბაზარზედ, შესაძლებელია ამდენის მყიდველი არ აღმოჩნდეს. გლეხი ხომ ვერ მოიცდის ბაზარში; ის იძულებულია იმ დღესვე გაასალოს კვერცხი და შინ გაბრუნდეს. თუ ბაზარზედ კვერცხი ბევრი იქნა ჩამოტანილი, ფასი უეჭველათ დაეცემა და გლეხი ვერ გაყიდის კვერცხებს ხელსაყრელ ფასებში. ის მადლობელი იქნება რამენაირად გაასალოს, რომ თავისი საქონლით უკანვე არ გამობრუნდეს. გლეხი, რომელმაც ჩამოიტანა რამდენიმე ცალი კვერცხი, იმდენათ გაჭირვებული არის, იმდენათ სუსტი არის, რომ ის ვერ წინაღუდგება ჩარჩებს. ამათ ფულიც აქვთ და ძალასაც წარმოადგენენ და გლეხი უეჭველათ მათ ხელში ჩაუვარდება. გლეხები, რომლებსაც ოჯახში გადარჩენილი აქვს კვერცხები უფრო კარგს იზამდენ, რომ სხვა ნაირათ მოიქცენ. უმჯობესი იქნებოდა, რომ თავის სოფელში ამოირჩიონ ყველასათვის მისაწდომი ადგილი და აქ დააგროვონ კვერცხები, ვის რამდენიც აქვს მოიტანონ ამ ყველასათვის მოხერხებულ ადგილზედ. გლეხების წარმო-

მადგენელი გაიგებს რა ფასები არის ქალაქში, შეარჩევს დროს და წაიღებს კვერცხებს. რა მოგება დარჩება კვერცხის პატრონს? მოგება ძლიერ დიდი. საჭირო არ იქნება, რომ თითოეულმა გლეხმა ქალაქში გაემგზავროს და თავის საქმეს ოჯახში მოცდეს. ამას იზამს ერთი ან რამდენიმე არჩეული, სანდო პირი, დანარჩენები სახლში დარჩებიან და თავის საქმეს მოუვლიან. კვერცხი მაშინ გასაღდება, როდესაც კარგი ფასები იქნება, მაშასადამე, მეტი მოგებაც დარჩება. როდესაც ქალაქში ბლომად დაგროვილი კვერცხები იქმნება ჩამოტანილი, კვერცხების ჩამომტანი არ აჩქარდება, ის კიდევ მოიცილის ქალაქში, მიიხედ-მოიხედავს და შეარჩევს ისეთ დროს, როდესაც კარგი მაზანდა დადგება. დაგროვებული კვერცხები თუ იქმნა ჩამოტანილი, მაშინ ჩარჩების შიში აღარ იქნება. თუ კვერცხის პატრონები შეერთდებიან, ამხანაგობას შექმნიან, ცხადია, უფრო მეტ ძალას შეიძენენ, უფრო კარგ პირობებში იქმნებიან და უფრო მეტ მოგებასაც ნახავენ.

ასე შეიძლება ყველაფრის გასაღება, კვერცხი იქნება ის თუ პური, ხილი, თუ შეშა და სხვა ამისთანები.

ზევით იყო ნათქვამი, რომ თითოეული კაპიტალისტური წარმოება არის სამეურნეო წარმოება. გამოდის, რომ არავითარი განსხვავება არ ყოფილა კოოპერატივისა და კაპიტალისტურ წარმოების შორის.

მაგრამ ეს ასე არ არის. კოოპერატივიც და კომერციული, ჩვეულებრივი სავაჭრო წარმოება სარგებლობენ დაქირავებული მუშებით, ორივენი ცდილობენ თავისი წარმოებიდან მოგება იქონიონ, მაგრამ, თუ კარგათ ჩაუკვირდებით, აღმოჩნდება, რომ ძლიერ დიდი და თვალსაჩინო განსხვავებაც არის მათ შორის. მუშის შდგომარეობა კოოპერაციაში და კაპიტალისტურ წარმოებაში, მოგება და სამეურნეო მიზნები სულ სხვა და სხვა ხასიათს ატარებენ. თუ კოოპერაცია სარგებლობს იმავე სიტყვებით და ნიშნებით, რომელიც მიღებული არის კომერციაში, კაპიტალისტურ დაწესებულებაში, ეს იმიტომ, რომ ჯერ ახალი ნიშნები არ არის შემოღებული. ამ გარეგნულ მსგავსების გარდა იმათ შორის საერთო არაფერია. სიტყვა ერთი არის—შინაარსი კი სულ სხვა.

**3. მოგება.** ამხანაგობა, კოოპერატივი, როგორც სამეურნეო დაწესებულება ცდილობს მოგება იქონიოს. ზევით უკვე იყო განხილული, რანაირად დგება მოგება კომერციულ, ვაჭრულ დაწესებულებაში. კაპიტალისტი ითვისებს იმ ზედმეტ ღირებულებას, რომელსაც ქმნის მუშა, იგი ართმევს მშრომელს, მუშას უმეტეს ნაწილს იმ ღირებულებისაგან, რომელსაც მუშა ქმნის.

ესაა, წარმოვიდგინოთ, შესდგა ამხანაგობა, საზოგადოება. ამხანაგობა აწვდის თავის წევრებს უპირველესი საჭიროების ნივთებს, სურსათს, სანოვაგეს.

ამხანაგობა აძლევს ამ საქონელს იმ ფასებში, რომელიც ეს საქონელი იყიდება თავისუფალ ბაზარზედ-საზოგადოებას რჩება განსხვავება, რომელიც არის იმ ფასებში, რა ფასებში ეს საქონელი არის შეძენილი და გაყიდული. ეს განსხვავება რჩება ამხანაგობის საღაროში. ამ განსხვავებიდან, ანუ მოგებიდან, გამოი-რიცხება სხვა და სხვა ხარჯები და დანარჩენი უბ-რუნდება ამხანაგობის წევრებს. ამხანაგობა რომ და-არსებული არ ყოფილიყო, ეს განსხვავება დარჩებო-და ვაჭარს, ან მედუქნეს. თუ ამხანაგობა არის, ეს განსხვავება ინახება და რჩება ამხანაგობის წევრებს.

სოფელში გლეხები აწარმოებენ სიმინდს. სი-მინდის მოსავლიდან მათ რჩებათ ნაწილი, ზედ-მეტე-იმისა, რაც მათთვის საჭირო არის. ზედ-მეტს სიმინ-დისას გლეხები გაყიდიან და აღებული ფულით შეიძენენ ოჯახში ან მეურნეობისათვის საჭირო ნივთებს.

გლეხი მხოლოდ მაშინ გაიტანს სიმინდს გასას-ყიდლათ, როდესაც მას ფული დასჭირდება. თუ თითოეული გლეხი სიმინდს გასასყიდლათ ცალ-ცალკე გაიტანს, უეჭველად დიდ დროს დაკარგავს და შრო-მას გასწევს. სიმინდს გაყიდის ისეთ დროს, როდეს-საც ფასები არ არის და საზარალოა სიმინდის გაყიდვა. სოფლის მეურნეს საშუალება აქვს ამ მდგო-მარეობას თავი დაახწიოს. მათ შეუძლიათ შეადგი-ნონ ამხანაგობა, დააგროვონ სიმინდი. თითოეულ

წევრს შეუძლია შემოიტანოს იმდენი, რამდენიც მას ზედ-მეტად მიაჩნია. თუ ეს მოხდება, უექველად დროსაც მოიგებენ და თავის მუშაობასაც შეამცირებენ. დაგროვებული სიმინდის გიყიდვა შეიძლება მაშინ, როდესაც კარგი მაზანდა დადგება. ამხანაგობის წევრები მეტ მოგებას მოიპოვებენ. იათ ფასებში არ გაანაღდებენ სიმინდს. მოგება, რომელიც უნდა აეღო ჩარჩებს, დარჩება მშრომელს.

ცხადია, კოოპერატივის მოგება სულ სხვა სახისა არის, ვიდრე მოგება კაპიტალისტურ წარმოებაში. კოოპერაციაში მოგება არის არა მითვისება იმ ზედ-მეტი ღირებულებისა, რომელსაც ქმნის მუშა თავის შრომით და ჯაფით. კოოპერაციის მოგება არის მხოლოდ შენახვა, გადარჩენა შრომისა, შრომის ნაყოფისა; მოგება არის მხოლოდ **შენახული, დაზღვეული შემოსავალი** მშრომელისა.

**4. კოოპერატივი არის პიროვნებათა კავშირი.** კაპიტალისტურ წარმოებაში არის შეერთებული და დაგროვილი ფულები, კაპიტალი (სააქციო საზოგადოებაში, კომპანიებში). კაპიტალისტურ წარმოებაში იმას აქვს მეტი გავლენა, მეტი მონაწილეობა, მეტი მოგება, ვინც უფრო მეტი ფული, ვინც მეტი კაპიტალი შეიტანა. კოოპერატივში კი შეერთებული და შეგროვებული არის **პიროვნებანი და არა კაპიტალები**. კოოპერატივი არის კავშირი პიროვნებათა და არა კაპიტალებისა. კოო-

პერატივში—პიროვნებათა კავშირში ყველანი **თანასწორნი** არიან. არც ერთ კოოპერატივის წევრს არა აქვს მეტი უფლება, ვიდრე მეორეს. ყველანი თანასწორნი არიან, როგორც უფლებებით, ისე ვალდებულებებით. წევრების სრული თანასწორობა უმთავრესი თვისება არის კოოპერატივისა.

### **5. კოოპერაცია და დაქირავებული მუშა.**

კოოპერატივებში მუშაობენ დაქირავებული მუშები. ისინი ვალდებულნი არიან შეასრულონ ის მუშაობა, ის თანამდებობა, რომლისათვის ისინი დაქირავებულნი არიან. როგორც სხვა კერძო სავაჭრო დაწესებულებაში კოოპერატივშიც დაქირავებულ მუშათა და კოოპერატივის გამგეებს შორის არის დადებული ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების ძალით მუშა მოსამსახურეებმა უნდა მიიღონ განსაზღვრული ჯილდო და მის სამაგიეროთ გასწიონ სათანადო სამსახური. ასეთივე მდგომარეობა არის კერძო სავაჭრო დაწესებულებაშიაც. მაგრამ ეს მზგავსება გარეგნულია. არსებითად კი მუშა-მოსამსახურენი კერძო სავაჭრო დაწესებულებაში სულ სხვა პირობებში იმყოფებიან და სულ სხვა სახის სამსახურს ეწევიან. კერძო სავაჭრო დაწესებულების უმთავრესი მისწრაფება არის რაც შეიძლება მეტი მოგება მიიღონ. ეს მოგება არის ამოღებული იმ მოქალაქის ჯიბიდან, რომელიც მიმართავს კერძო სავაჭროს. კოოპერატივი კი უნახავს თავის წევრებს იმ ზედმეტ მოგებას, რომელ-

საც ისინი უხდიან კერძო სავაჭროებს. კერძო სავაჭროში მუშა-მოსამსახურე პირადი შრომით ეხმარება კერძო პირს, როდესაც იგი ართმევს მომხმარებელს მოგებას. კოოპერატივში კი სულ სხვა წესი და მდგომარეობა არის. მუშა-მოსამსახურე კოოპერატივში არის წევრი კოოპერატივისა. იგი მუშა-მოსამსახურეც არის და ბატონ-პატრონიც კოოპერატივის და მისი საქმეების. მაშასადამე მუშა-მოსამსახურე არ არის მცარცვალი მომხმარებელის. ეს რომ ასე იყოს მუშა-მოსამსახურე თავის თავის გაცარცვაში მიიღებდა მონაწილეობას. ეს კი შეუძლებელი არის. კოოპერატივი არის საზოგადოებრივი დაწესებულება და აქედან გამომდინარეობს სულ სხვა სახის მდგომარეობა მუშა-მოსამსახურისა. კერძო სავაჭროში მუშა-მოსამსახურე ასრულებს თავის პირად ვალდებულებას. დანარჩენზედ მას მაინცა და მაინც თავი არ სტკივა. კოოპერატივის მუშა-მოსამსახურე არის ბატონ-პატრონი კოოპერატივის და, მაშასადამე, მისი ბედ-იღბალი მუშა-მოსამსახურისათვის ძლიერ საყურადღებო და სავალალოა. მუშა-მოსამსახურეს კერძო სავაჭროში უფლება შეზღუდული აქვს, ის უნდა დაემორჩილოს სავაჭროს პატრონს და მის მისწრაფებას. კოოპერატივში მუშა-მოსამსახურე მონაწილე არის საერთო საქმეში. მას ისეთივე უფლებანი აქვს: როგორც დანარჩენ წევრებს, რომლებიც არ მსახურობენ კოო-

პერატივში, მხოლოდ სარგებლობენ კოოპერატივით. იგი მონაწილე არის კოოპერატივის საქმეებში სხვასთან თანაბრათ და მათ ადევს დიდი პასუხისმგებლობა კოოპერატივის საქმის წარმოებაში. კოოპერატივის მუშა-მოსამსახურის ჯილდო გაცილებით მეტია და თვით მუშაობის პირობები უმჯობესია, ვიდრე კერძო დაწესებულებაში. კერძო სავაჭრო დაწესებულებაში კაპიტალის პატრონი ცდილობს მიითვისოს ის ზედ-მეტი ღირებულება, რომელსაც ქმნის მუშა. კოოპერატივში ასეთი მიითვისება ზედ-მეტი ღირებულებისა არ არის. კოოპერატივის უზენაესი მისწრაფებაა სრულებით განდევნოს დაქირავებული მუშა-მოსამსახურე. მაგალითად, არის ისეთი ამხანაგობანი, სადაც სრულებით არ არის დაქირავებული მუშა, არამედ მუშა-მოსამსახურე არის ამხანაგი საერთო საქმეებში.

#### 6. კოოპერატივის ძალა და მნიშვნელობა.

კოოპერატივი არის კავშირი პიროვნებათა. კოოპერატიული ამხანაგობა იმდენათ ძლიერია, რამდენათ უფრო მჭიდროთ არიან წევრები შეკავშირებულნი, რამდენათ უფრო მეტი ამხანაგური განწყობილება და ურთიერთობა არის კოოპერატივის წევრთა შორის. კოოპერატივი არის არა კერძო, არამედ საზოგადოებრივი საქმე. კოოპერატივი არის ამხანაგობა, საზოგადოება. კოოპერატივი არის **სკოლა**. ამ სკოლაში იწვრთნებიან წევრები, პიროვნებანი, იწვრთნება და

ძლიერდება ამხანაგური კავშირის—**ერთობის** გრძნობა. კოოპერატივი ზრდის ახალ პიროვნებას, იგი აძლიერებს საზოგადოებრივ შეგნებას. კოოპერატივი კიდევ იმიტომ არის სკოლა, რომ კოოპერატივის საქმეების მართვა-გამგეობა აბარია ყველას, ყველანი იძულებულნი არიან საქმის კეთილ-დღეობაზედ იზრუნონ. კოოპერატივის გამგეობა აბარია წევრებს, რომლებიც აღჭურვილნი არიან განსაკუთრებული ნდობით საზოგადოების მიერ. კოოპერატივის საქმეების მიმართულებაში ყველანი მონაწილენი და პასუხისმგებელნი არიან. რაც უფრო მეტ მონაწილეობას და მეტ საქმიანობას გამოიჩენს თითოეული წევრი, მით უფრო ნაყოფიერი იქმნება კოოპერატივის მუშაობა. კოოპერატივის წევრების საერთო მუშაობა ნაყოფიერი იქმნება, ვინაიდან ყველას ერთი და იგივე უფლება აქვს. თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. ყველანი თანასწორნი არიან.

**7. რა არის კოოპერატივი?** უმთავრესი და მახასიათებელი თვისებანი კოოპერატივისა ჩვენ უკვე აღვნიშნეთ და იმის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია საერთო დახასიათება მივცეთ მას. **კოოპერატივი არის სამეურნეო წარმოება, წევრების განუსაზღვრელ რიცხვით, რომლის უმთავრესი მისწრაფება არის რაც შეიძლება შეამციროს საერთო მართვა-გამგეობის და საქმეების წარ-**

მოგების ხარჯები და გასაფალი და შეუნახოს მშრომელს რაც შეიძლება მეტი წილი ნაშრომისაგან.

8. კოოპერატივი და არსებული ეკონომიური წეს-წყობილების გარდაქმნა. კოოპერატივის დედა-აზრია არა მოგების გამრავლება, გადიდება, არამედ გადიდება მშრომელის შემოსავლისა, შემცირება მშრომელის ხარჯებისა და შეგროვება იმის, რასაც მშრომელი მიიღებს ხარჯების შემცირებით. კაპიტალისტური წარმოების და დაწესებულების უმთავრესი მიზანი არის მოგების გადიდება, მოგება კი არის მითვისება იმ ზედ-მეტი ღირებულებისა, რომელსაც ქმნის მშრომელი. განსხვავება კოოპერატივისა და კაპიტალისტურ დაწესებულებისა ძლიერ დიდია. ესენი ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან თავის მუშაობაში და მისწრაფებაში. კოოპერატიული სამეურნეო დაწესებულება ძირიანათ განსხვავდება კაპიტალისტურ დაწესებულებისაგან და ამ განსხვავებიდან ნათლად გამოსჴვივის მისი ბუნება. კოოპერატივი უბრუნებს წარმოების მოგებას თავის წევრებს, კერძო საფაქრო დაწესებულებაში კი ამ მოგებას ითვისებს კერძო პირი. კოოპერატივში არ არის განცალკევებული პიროვნება, რომელმაც უნდა მიიღოს, ან მიითვისოს ეს მოგება. კოოპერატივი არის საზოგადოება. კოოპერატივში შეიძლება თვით წევრი შეიქმნეს მწარმოებელი და მაშინ იგი ინახავს

ზედ-მეტ ღირებულებას და მშრომელს ანთავისულებს კაპიტალის მონობისაგან. კოოპერატივი ამცირებს მომხმარებლის ხარჯებს და ამნაირათ უადვილებს მას ცხოვრებას. კოოპერაცია ცვლის ცხოვრების პირობებს, ანთავისუფლებს პიროვნებას კაპიტალის მონობისაგან, სულ სხვა ნიადაგზედ ამყარებს დამოკიდებულებას კაპიტალსა და შრომას შორის, ვიდრე ის, რომელზედაც დგას დღევანდელი კაპიტალისტური წეს-წყობილება.

**9. კოოპერაცია დემოკრატიის წარმონაშობია.** მშრომელი არის კაპიტალის მონა, მშრომელი ყიდის თავის შრომის უნარს, მყიდველი არის კაპიტალის პატრონი. კოოპერაცია ამ მონობის ბორკილებს წყვეტს. კოოპერაცია ინახავს მშრომელის ხარჯებს, ამცირებს მათ, უადვილებს ცხოვრებას, აკავშირებს და აერთიანებს მშრომელს. კოოპერაცია არის დემოკრატიული მოძრაობა, კოოპერაცია იცავს მშრომელს, დემოკრატიას.

**10. კოოპერაცია გარდაქმნის კაპიტალისტურ წეს-წყობილებას.** კოოპერაცია წარმონაშობილია კაპიტალისტური წეს-წყობილებით. კოოპერაცია ებრძვის კაპიტალიზმს. კოოპერაცია სარგებლობს იმავე ჩარადით, რომელსაც ხმარობს კაპიტალიზმი, მხოლოდ სხვა ნაირად იყენებს ამ იარაღს. კოოპერატივში ბატონობს და განაგებს პიროვნება, ადამიანი და არა კაპიტალი. კოოპერაცია ინახავს მშრო-

შელის ნაშრომს. კოოპერაციაში მშრომელი არ არის მონა-მორჩილი კაპიტალის, არამედ კაპიტალი ემორჩილება მშრომელს. კოოპერაცია ანთავისუფლებს მშრომელს კაპიტალის მონობისაგან. მუშა-მოსამსახურე კოოპერაციაში არის არა დამორჩილებული, არა დაქირავებული პიროვნება, არამედ ბატონ-პატრონი, რომელიც თავის ნაშრომს და ნაწარმოებს თითონ განაგებს. კოოპერაცია ნელ-ნელა, მყუდროთ ანგრევს კაპიტალიზმის ნიადაგს და საფუძველს.

**11. კოოპერაცია და პოლიტიკური პარტიები.** პოლიტიკური პარტიები ბრძოლას აწარმოებენ. პოლიტიკური, სოციალისტური პარტიები ცდილობენ შესცვალონ არსებული პოლიტიკური წეს-წყობილება იმ ნაირათ, რომ მართვა-გამგეობა თვით ხალხის ხელში იქმნეს, რომ ხალხის ბედს თითონვე ხალხი განაგებდეს.

კოოპერაცია ნელ-ნელა, მშვიდობიანათ, ქმნის ახალ ნიადაგს ხალხის მეურნეობისას, და თან-და-თან ანგრევს კაპიტალისტურ წეს-წყობილებას.

**12. კოოპერაცია და პროფესიონალური მოძრაობა.** პროფესიონალური მოძრაობის უმთავრესი მიზანია გაუმჯობესება მშრომელთა მდგომარეობისა. პროფესიონალურ მოძრაობას დასახული აქვს სამუშაო დღის შემოკლება, მშრომელის ხელფასის გადიდება, გაუმჯობესება მუშაობის პირობებისა.

კოოპერაცია ცდილობს მშრომელი გაანთავისუფლოს კაპიტალის დამოკიდებულებისაგან, ცდილობს გაანთავისუფლოს მშრომელის პიროვნება, იგი ქმნის ახალ ნიადაგს შრომისას. კოოპერაციის და პროტესიონალური მოძრაობის დედა აზრი ერთი და იგივეა. კოოპერაციისათვის ამ დასახული მიზნისადმი მიღწევა არ არის საბოლოო საქმე. მისი იდეალია სრულიად გაანთავისუფლოს მშრომელი კაპიტალის მონობისაგან და შექმნას ისეთი ეკონომიური მდგომარეობა, როდესაც მშრომელი იქნება თითონ მწარმოებელი და განმანაწილებელი იმ ნივთებისა და ღირებულებისა, რომელსაც იგი შექმნის თავისი შრომით და უნარით.

**13. კოოპერაცია და სოციალიზმი.** ძლიერი განვითარება სამრეწველო კაპიტალისა, საერთოდ მრეწველობის, სინდიკატების და ტრესტების გაძლიერება, მშრომელის დამონება კაპიტალის მიერ, ცხოვრების გაძვირება, მუშებისა და კაპიტალისტების მისწრაფებათა წინააღმდეგობა—აი ძირითადი თვისებანი თანამედროვე კაპიტალისტური წეს-წყობილებისა. ამ წეს-წყობილებამ აიძულა მშრომელი და მათში დაბადა მისწრაფება ახალი ცხოვრებისადმი, ისეთ ცხოვრებისადმი, რომელიც გაუადვილებდა მას ცხოვრების პირობებს და მისცემდა საშუალებას თავი დაეცვა კაპიტალისაგან და დამოუკიდებლობა მოეპოვებია. თავისუფალი საზოგადოების აღორძინება,

აღორძინება იმ მოძრაობისა, რომელსაც ქვიან კოლოპერაცია და რომელიც აერთებს მშრომელთ, რათა შეერთებული ძალებით შექმნან წარმოება და, საზოგადოთ, ცხოვრების ახალი პირობები—მოხდა სწორედ მე XIX საუკუნის მეორე ნახევარში. მე XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაძლიერდნ მშრომელთა რაზმები. კოლოპერაცია თავს უყრის და აერთიანებს მათ კოლოპერატივებში იმდენად, რამდენადაც ძლიერდება თვით კაპიტალიზმი და შასთან დაკავშირებული დამორჩილება მშრომელისა კაპიტალის მიერ.

ერთი ჯგუფის კოლოპერატივების დანიშნულება არის დაიცვას შრომა, შეამციროს იგი, ხელი შეუწყოს ცხოვრების გაადვილებას და მისი ზედმეტი ხარჯების შემცირებას. მეორე ჯგუფი კოლოპერატივებისა აკავშირებს მშრომელთ და აერთებს წარმოების იარაღებს. კოლოპერატივების ამ ჯგუფში წარმოების იარაღი, საწარმოო და სათადარიგო კაპიტალი ეკუთვნის არა ცალკე პიროვნებას, არამედ შეადგენს ამხანაგობის, საზოგადოების კუთვნილებას. მაშასადამე, წარმოების იარაღი, რომელიც საწარმოო საზოგადოებას ეკუთვნის, ისეთ სახეს ღებულობს, რომ მას არა აქვს საშუალება მშრომელთა დამორჩილებისა და დაქვეითებისა. პირიქით, ის საშუალებას აძლევს მშრომელთ ნაყოფიერად იმუშაონ და შეინახონ თავიანთ სასარგებლოთ ის ზედმეტი ღირებულება, რომელსაც ისინი ქმნიან.

სხვა კოოპერატივებთან შორის საწარმოო კოოპერატივებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ. რაც უფრო განვითარდება საწარმოო კოოპერაცია, რაც უფრო მეტი იარაღი ექნება წარმოებისა, იმდენად უფრო ადრე განთავისუფლდება მშრომელი კაპიტალის მონობისაგან. საწარმოო კოოპერატივების უმთავრესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ წარმოების იარაღი აქ შეკავშირებულ მშრომელთა კუთვნილებაა, წარმოების იარაღი ხელიდან ეცლება კერძო მწარმოებელს და გადადის საზოგადოების ხელში, საზოგადო კუთვნილებად ხდება.

რამდენად უფრო გაძლიერდება საწარმოო კოოპერაცია, იმდენად უფრო შემცირდება კერძო კაპიტალის ძალა და გავლენა.

კოოპერაცია ებრძვის არსებულ კაპიტალისტურ წესწყობილებას, იცავს მშრომელს და შრომას, სცდილობს დაამყაროს ახალი წესი შრომის დაჯილდოებისა. კოოპერაცია არყევს კაპიტალის მონობას, აღვიძებს და ამაგრებს მშრომელთა შემოქმედებას. ეს ბრძოლა მყუდროდ ხდება კოოპერაცია ანგრევს რა არსებულ წეს-წყობილებას, ცდილობს მის ნანგრევებზედ აღმოაცენოს ახალი ცხოვრება.

კოოპერაცია უხსნის და სინამდვილეში აჩვენებს მშრომელს, რა წინააღმდეგობა არსებობს კაპიტალსა და შრომას შორის. კოოპერაცია წვრთნის საზოგადოებრივ გრძნობებს; უწინააღმდეგებს

მას კაპიტალის მტაცობრივ მისწრაფებას და ამ სახით ამზადებს ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას. ესეთი მისწრაფება აქვს **სოციალიზმსაც**. კოოპერაცია და სოციალიზმი სხვა და სხვა გზით, მაგრამ ერთ მიზნისკენ მიისწრაფიან. კოოპერაცია და სოციალიზმი ცდილობენ გაანთავისუფლონ მშრომელი ხალხი კაპიტალის მონობისაგან. კოოპერაცია და სოციალიზმი ცდილობენ წარმოების იარაღები, რომელიც დღეს კერძო საკუთრებას შეადგენენ, **საზოგადოებრივ საკუთრებად** აქციონ.

იტყვიან ხოლმე, რომ კოოპერაცია ეხმარება მშრომელს, უადვილებს ცხოვრებას და ამით ამსუბუქებს კაპიტალსა და შრომას შორის არსებულ წინააღმდეგობას, ამასთან ერთად აძლიერებს მშრომელთა შორის წერილ-ბურჟუაზიულ სულის კვეთებას და ავიწყებინებს იმ წინააღმდეგობას, რომელიც არსებობს შრომასა და კაპიტალს შორის. ამ მოსაზრებებიდან ზოგიერთს ის დასკვნაც გამოყავს, რომ კოოპერაცია სოციალიზმის გამარჯვებას ვითომ აფერხებს. ეს მოსაზრება სიმართლეს მოკლებულია: მაგალითად, პროფესიონალურ კავშირებში ბრძოლა სწარმოებს ხელფასის გადიდებისა და შრომის დაცვის ირგვლივ; ისინი ცდილობენ გაუადვილონ მშრომელს ცხოვრების პირობები. სოციალისტები კი პროფესიონალურ კავშირებს ყოველგვარ დახმარებას უწყევენ და ისინი აღიარებულა, როგორც საუკეთეს-

სო დაწესებულებანი, რომლებიც შრომის ინტერესებს იცავენ.

ზემონათქვამიდან ნათლად სჩანს, რომ კოოპერაცია ხელს უწყობს და ეხმარება სოციალიზმს კაპიტალისტურ წეს-წყობილების გარდაქმნაში და შრომის მეუფების დამყარებაში.

---

### ნ ა ვ ი ლ ი III.

## კოოპერატივების ჯგუფები და მათი მისწრაფებანი.

1. კოოპერატივების დანაწილება. ჩვენ უკვე ვიცით, რომ კოოპერატივი არის პირველ ყოვლისა სამეურნეო დაწესებულება. სამეურნეო დაწესებულებანი მრავალგვარია. იმისთვის, რომ უკეთ შევისწავლოთ კოოპერაცია, საჭიროა კოოპერატივები ჯგუფებათ დავყოთ იმისდა მიხედვით, თუ რა განსაზღვრულ მიზნებს ისახავენ ისინი.

ჩვენ ვღებულობთ სულ უბრალო და მარტივ დანაწილებას კოოპერატივებისა.

არის ჯგუფი კოოპერატივებისა, რომელთა მიზანია—ნედლი მასალიდან, შეერთებული ძალის და

კაპიტალის საშუალებით შექმნან ახალი საქონელი. ასეთ კოოპერატივს უწოდებენ **წარმოების ამხანაგობას ან საწარმოო კოოპერატივს.**

კოოპერატივებს, რომლის წევრები შეკავშირებულნი არიან რათა შეერთებულის ძალებით გაასაღონ თავისი ნაწარმოები, ეწოდება **ნაწარმოების გამსაღებელი კოოპერატივები.**

კოოპერატივები, რომელთა მიზანია საერთო საშუალებით შეიძინონ ოჯახის მეურნეობისათვის საჭირო ნივთები, არიან **შემსყიდველი კოოპერატივები.**

კოოპერატივები, რომლებიც ხელს უწყობენ თავის წევრებს ხელსაყრელ პირობებში შეიძინონ ფული მეურნეობის წარმოებისათვის, არიან **საკრედიტო კოოპერატივები.**

კოოპერატივების ჯგუფურათ დაყოფა ან **კლასიფიკაცია** დიდ სიძნელეს წარმოადგენს, მაგრამ ჩვენთვის საკმარისია მივიღოთ მარტივი დაყოფა, რომელიც შეიცავს მრავალ ჯგუფიან კოოპერატივებს.

ერთს ასეთ ჯგუფს შეადგენენ კოოპერატივები, რომლებიც აწარმოებენ მხოლოდ საქონლის გაცვლა-გამოცვლას, ამზადებენ და აბრუნებენ საქონელს, მეორეს—კოოპერატივები, რომლებიც აწარმოებენ საქონლის გაცვლა-გამოცვლას და ამასთან ერთად აერთებენ მშრომელთ სხვა და სხვა საქმეების ან წარმოების გასაძლელად.

ამის და მიხედვით შეგვიძლია დავასახელოთ შემდეგი ჯგუფები:

- 1) საკრედიტო კოოპერატივები;
- 2) მომხმარებელი კოოპერატივები;
- 3) სახლების და ბინების აღმშენებელი კოოპერატივები;
- 4) საქონლის შემსყიდველი კოოპერატივები;
- 5) ნაწარმოების გამსაღებელი კოოპერატივები;
- 6) კოოპერატივები, რომლებიც სხვა და სხვა ნედლე მასალას გადაამუშავებენ;
- 7) დამხმარებელ-მწარმოებელი კოოპერატივები;
- 8) სხვა და სხვა დარგის შრომის ამხანაგობანი;
- 9) მწარმოებელი ამხანაგობანი.

---

## ნ ა წ ი ლ ი IV.

### კოოპერატივების ჯგუფები.

1. მომხმარებელი ამხანაგობა. არსებული წეს-წყობილების თვისება სხვათა შორის იმაში გამოიხატება, რომ ერთი ჯგუფი აწარმოებს, ამზადებს სხვა და სხვა ნივთებს, საქონელს, — მეორე ამ ნივ-

თებს ხმარობს. საქონლის მწარმოებელთა და მომ-  
ხმარებელთა შორის მოქმედობს მთელი ჯგუფი  
შუამდგომელ პიროვნებათა. ვიდრე მომხმარებლამდე  
მიალწევდეს, საქონელმა ამ შუამდგომელთა ხელში  
უნდა გაიაროს. რაც მეტი შუამდგომელი იქნება  
ნივთების მწარმოებელთა და მომხმარებელთა შორის,  
იმდენად უფრო მეტი ღირს საქონელი. ეს იმისთვის  
ხდება ასე, რომ თითოეული შუამავალი მომხმარებელს  
ახდევინებს თავის გასამჯელოს და დახარჯული კაპი-  
ტალის პროცენტს. ერთმა გირვანქა შაქარმა, რომ-  
ელსაც ყიდულობს გლეხი სოფლის დუქანში, და-  
ახლოვებით შემდეგი გზა უნდა გაიაროს:

დიდი ქალაქის საწყობის პატრონი ყიდულობს  
შაქარს ქარხანაში, საწყობიდან საქონელს ყიდულობს  
დიდი სავაჭრო, აქედან—სოფლის მედუქნე და მხო-  
ლოდ ამის შემდეგ სოფლის მცხოვრებს შეუძლია  
იყიდოს შაქარი მედუქნესაგან.

თითოეული მომხმარებელი (გლეხის ან ქალაქის  
მუშის ოჯახი) თავის თავად უმნიშვნელო და სუს-  
ტია, თითოეულ ოჯახს იმდენად ცოტა ნივთები  
სჭირდება, რომ ის პირდაპირ ქარხნიდან ვერ გამო-  
იტანს საჭირო საქონელს. შეერთებული, შეკავში-  
რებული მომხმარებლები სოფლის თუ ქალაქისა უკვე  
შესამჩნევ ძალას წარმოადგენენ: მათ ერთად დიდი  
მოთხოვნილება აქვთ, ბევრი რამ სჭირდებათ. მათ  
შეუძლიათ მიმართონ პირდაპირ ქარხანას, ფაბრი-

კას, ან დიდ საწყობს და იქიდან უკვე უშუაშავე-  
ლოდ გამოიტანონ საჭირო საქონელი. რაც უფრო  
მეტი მომხმარებელი იქნება შეკავშირებული, იმდენად  
უფრო ძლიერი იქნება თვით კავშირი და იმ-  
დენად უფრო იოლად შეიძენენ საჭირო საქონელს,  
მაშასადამე, იმდენად უფრო იათვი იქნება თვით სა-  
ქონელი, ვინაიდან შუამდგომელთა გასამჯელო და  
პროცენტები უკვე არ დაედება საქონელს, რომე-  
ლიც პირდაპირ ქარხნიდან ან დიდი საწყობიდან  
არის გამოტანილი.

გათანტული მომხმარებლები, რამდენადაც მრავალ-  
რიცხოვანი არ იყვნენ ისინი, არავითარ ძალას  
არ წარმოადგენენ. შეერთებული, შეკავშირებული  
მომხმარებლები—დიდი ძალაა. ამნაირად, მომხმარე-  
ბელთა შეკავშირებას შედეგად მოყვება ხოლმე მწარ-  
მოებელთ და მომხმარებელთა შორის უშუაშაველების  
ჩამოშორება და საჭირო ნივთების გაიაფება. ამ ნია-  
დაგზედ შეკავშირებულ საზოგადოებას ეწოდება  
მომხმარებელი საზოგადოება.

მომხმარებელი საზოგადოება ან კოოპერა-  
ტივი არის საზოგადოება, რომელიც აკავში-  
რებს მომხმარებელთ, რათა შეერთებული ძალებით  
და საშუალებით შეიძინონ და გაანაწილონ  
საჭირო ნივთები და საქონელი.

მომხმარებელ საზოგადოების უპირატესობა-  
ნი. ა) კოოპერატივი აკავშირებს მომხმარებელთ და

უშუამავლოდ იძენს და ანაწილებს საქონელს. რადგან უშუამავლოდ შეიძენილ საქონელს აკლდება უშუამავალთა გასამჯელო და მათ მიერ დახარჯული კაპიტალის პროცენტები, საქონელი, რა თქმა უნდა, უფრო ნაკლები ჯდება და ამნაირად მომხმარებელი საზოგადოება ხელს უწყობს ცხოვრების გაიაფებას. რანაირად აიაფებს ცხოვრებას მომხმარებელი საზოგადოება? ის ყიდის საქონელს **ბაზრის საშუალო ფასებში**. საქონლის ღირებულებისა და იმავე საქონლის საბაზრო ფასში არის განსხვავება, რომელიც ჩვეულებრივად უშუამავალს რჩება. კოოპერატივში კი განსხვავების ნაწილით იფარება სხვა და სხვა ხარჯები საზოგადოებისა, დანარჩენი ნაწილი წლის განმავლობაში გროვდება და შემდეგ უბრუნდება საზოგადოების წევრებს. ეს ნაწილი შეადგენს სწორედ იმ შენახულ თანხას, რომელიც უშუამავლებს უნდა ჩავარდნოდა ხელში, რომ საზოგადოება არ დაარსებულიყო. ბ) **საპაიო კაპიტალი**. მომხმარებელი საზოგადოება მხოლოდ მაშინ შესძლებს მოქმედების დაწყებას, როცა მას საჭირო თანხები ექნება. ეს თანხა სდგება იმ ფულებიდან, რომელიც საზოგადოების დადგენილების თანახმად აუცილებლად უნდა შეიტანოს საზოგადოების სალაროში თითოეულმა წევრმა. ამ გადასახადს უწოდებენ **პაის** თითოეულ წევრს ერთი წვლილი, ერთი პაი მაინც უნდა ქონდეს შეტანილი. შესაძლებელი არის და

სასურველიც, რომ წევრმა რამოდენიმე პაი შეიძინოს. პაი, რომელიც წევრს შეაქვს საზოგადოებაში, შეადგენს მის საკუთრებას.

მომხმარებელ საზოგადოების დასაარსებლათ და მოქმედების დასაწყებად საჭიროა ხარჯების გაწევა. ამ ხარჯების დასაფარავად თითოეულ წევრს პაის გარდა შეაქვს კიდევ დამატებითი გადასახადი, საზოგადოებაში **შესასვლელი ანუ საწევრო**. ეს ფული იხარჯება და წევრებს აღარ უბრუნდება (თუ პაი დანიშნულია—5 მინ., საწევრო—50 კ.).

პაის შეტანა შესაძლებელია და დასაშვებია ნაწილ-ნაწილ, განსაკუთრებით ხელმოკლე წევრებისათვის. მომხმარებელმა საზოგადოებამ უნდა ეცადოს დიდი თანხები შეაგროვოს. რაც უფრო მეტი თანხები ექნება საზოგადოებას, მით უფრო თავისუფალი და დამოუკიდებელი იქნება ის თავის მოქმედებაში და იმდენად უფრო ფართო ნიადაგზედ შეუძლია დააყენოს მუშაობა. საზოგადოების თანხების გასაძლიერებლად საჭიროა ფულების მიზიდვა მიმდინარე ანგარიშებზე. შესანახათ შეტანილი ფული არის თავისუფალი თანხა და ის იმდენად მეტი შემოდის, რამდენადაც მეტი ნდობა აქვს კოოპერატივს თავის წევრთა და საზოგადოების გარე მდგომ პირთა შორის. საზოგადოების სალაროში შეგროვილი ფულის მეტი ნაწილი უნდა ხმარდებოდეს საქმის გაძლიერებას. ეს არის საბრუნავი თანხები. ამ თან-

ხების პატრონებს საზოგადოებამ უნდა მისცეს სარგებელი ანუ პროცენტები. თუ მომხმარებელი საზოგადოება კარგად აწარმოებს თავის საქმეებს, მაშინ, რასაკვირველია, ის მოიხვეჭს ნდობას, მიბარებული ფულის ბედი არავის შეაშინებს და კიდევ უფრო მეტი საბრუნავი თანხები შევა საზოგადოებაში.

გ) **მოგების განაწილება.** მომხმარებელ საზოგადოებაში საქონელი იყიდება საშუალო ბაზრის ფასებში. თუ ამ ფასებს გამოვაკლებთ საქონლის ღირებულებას, შემდეგ—სხვა და სხვა ხარჯებს, რომელიც საზოგადოებას მოსდის როგორც სავაჭრო დაწესებულებას, დაგვრჩება **მოგება, დივიდენდი.** ეს არის წევრების მიერ შენარჩუნებული თანხა, რომელიც ვაჭრების ჯიბეებში იქნებოდა, რომ კოოპერატივი არ დაარსებულყო. წლის ბოლოში მოგება უბრუნდება საზოგადოების წევრებს. მოგების განაწილება მომხმარებელ საზოგადოებაში სულ სხვანაირად ხდება, ვიდრე კერძო სავაჭროში. კერძო სავაჭრო დაწესებულებაში მოგება ნაწილდება იმისდა მიხედვით, ვის რამდენი პაი აქვს შეტანილი. მომხმარებელ საზოგადოებაში კი წევრის მიერ შეტანილ პაის, ე. ი. შეტანილ ფულის რაოდენობას მნიშვნელობა არა აქვს. მოგება ნაწილდება იმისდა მიხედვით, ვინ რამდენი საქონელი შეიძინა წლის განმავლობაში საზოგადოებისაგან.

მოგების ასეთი განაწილება სამართლიანიცაა. საზოგადოების მოგების მეტი წილი, რასაკვირველია, ერგება მას, ვინც მეტი დახარჯა და არა მას, ვისაც მეტი ფული აქვს და შეძლება ქონდა მეტიც შეეტანა საზოგადოებაში პაების სახით.

მომხმარებელ საზოგადოებაში მოგება არ უნდა უბრუნდებოდეს მომხმარებელს ფულათ. იგი საზოგადოების სალაროშივე უნდა დარჩეს საპაიო კაპიტალის და ძირითადი თანხის გასაძლიერებლად. თუ საზოგადოებას მოზრდილი თანხები ექნება, საზოგადოება შესძლებს გააძლიეროს თავისი მოქმედება და მეტი დახმარება აღმოუჩინოს წევრებს, ან და მოგება უნდა დარჩეს საზოგადოებაში, რომ შეადგინოს განუყოფელი კაპიტალი, რომელიც მოხმარდება სხვა საზოგადო საქმეებს, როგორიც არიან—სკოლები, კლუბები, სანატორიუმები, ბიბლიოთეკები და სხვა. მაშასადამე შენახული მოგება დაუბრუნდება ისევ წევრებს მაგრამ არა ფულით, არამედ მათთვის სასარგებლო დაწესებულების სახით.

დ) **მომხმარებელ საზოგადოებაში წევრების თანასწორობაა.** მომხმარებელ საზოგადოებაში წევრები თანასწორნი არიან. რამდენი ფული, პაი არ უნდა შეიტანოს წევრმა, მას ერთი ხმის მეტი არა აქვს. ეს არის უმთავრესი, ძირითადი თვისება მომხმარებელი საზოგადოებისა და ეს თვისება იმის მაჩვენებელია, რომ მომხმარებელი საზოგადოება დემოკრატიული დაწესებულებაა.

ე) მომხმარებელი საზოგადოება ზრუნავს წევრების ჯანმრთელობაზე. თითოეული ვაჭარი ცდილობს რაც შეიძლება მეტი მოგება იქონიოს სავაჭროდან. ის ცდილობს იაფ-ფასიანი საქონელი ძვირად გაასაღოს. მოგების გასადიდებლად ვაჭრები ასაღებენ ცუდი ღირსების საქონელს, ან და კარგი ღირსების საქონელს აფუჭებენ და ისე ასაღებენ. კერძო სავაჭროებში ძლიერ გავრცელებულია ფალსიფიკაცია სანოვაგისა, სურსათისა, საერთოდ საქონლისა. მაგალითად რძეში გაურევენ წყალს, კირს, ან და შეურევენ ისეთ ნაწილებს, რომლებიც საწამლაღვი არიან ადამიანისათვის, შეურევენ სხვა და სხვა გვარ საღებავს ტკბილეულობაში, ხელოვნურად ამზადებენ ერბოს, ყავას; ხელოვნურად დამზადებულ სურსათ-სანოვაგეს ისეთი ნაწილებით აზავებენ, რომლებიც ძლიერ მავნებელი არიან ადამიანის სხეულისათვის. მომხმარებელი საზოგადოება არ ეძებს მოგებას, არ ცდილობს დიდი მოგების აღებას. მისი დანიშნულება არის გაუადვილოს მომხმარებელს საჭირო საქონლის შეძენა. მომხმარებელი საზოგადოება აძლევს თავის წევრებს მაღალი ხარისხის საქონელს. ეს რომ ასე არ იყოს, მომხმარებელი საზოგადოება თავის თავს მოატყუებდა.

მომხმარებელი საზოგადოება ზრუნავს წევრების ჯანმრთელობაზე, ებრძვის ფალსიფიკაციას.

ვ) ნაღდი ვაჭრობა. მომხმარებელ საზოგადოე-

ბაში ვაჭრობა ნაღდი ფულით უნდა სწარმოებდეს. ნისიათ ვაჭრობა დაუშვებელია. ნაღდი ვაჭრობა აძლევს საზოგადოებას სატრიალებელ თანხას, აძლევს საშუალებას ნაღდათ გაუსტუმრდეს საქონლის პატრონს. ნაღდათ და დროზედ გასტუმრება საშუალებას აძლევს მას დამოუკიდებლათ აწარმოოს მუშაობა, უფრო თავისუფლად იმოქმედოს. ნაღდი ვაჭრობას ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს მომხმარებელისათვისაც. მომხმარებელმა უნდა იცოდეს, რომ ის ნისიათ საქონელს ვერ შეიძენს, თუ ეს მას ეცოდინებაა მაშინ ის უფრო ხეირიანათ აწარმოებს თავის ბიუჯეტს, შეუფარდებს შემოსავალს გასავალს.

**3. მომხმარებელი საზოგადოება — დემოკრატიული დაწესებულებაა.** მომხმარებელი საზოგადოების დაარსება შედეგია მშრომელთა ცხოვრების გაჭივრებისა: ცხოვრების სიძვირემ აიძულა მშრომელი ხალხი შეექმნა მომხმარებელი საზოგადოება. ცხოვრების გაიაფება, ცხოვრების პირობების გაუმჯობესება უდიდესი მოთხოვნილება არის მშრომელი ხალხისა, რომელიც ყოველთვის გასაჭირს განიცდიდა და განიცდის. გლახსა და ქალაქის მუშას ყველაზე უფრო აწუხებს ცხოვრების სიძვირე. მომხმარებელი საზოგადოების კაპიტალები შესდგება პატარ-პატარა ნაწილებისაგან, პაეზიდან. ამ ნაწილების გამოღების გასაადვილებლათ მომხმარებელ საზოგადოებებში მიღებულია პაის ნაწილ-ნაწილათ

შეტანა, რაც შეძლებას აძლევს მცირე სახსრის პატრონს — მუშასა და გლეხს — შეიქმნეს წევრო საზოგადოებისა. მომხმარებელი საზოგადოების წევრები თანასწორ უფლებებით სარგებლობენ მომხმარებელ საზოგადოებაში. მომხმარებელი საზოგადოების წევრის შეძლებას და საზოგადოებრივ მდგომარეობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს თვით საზოგადოებისათვის. შევლენ რა ისინი საზოგადოებაში, იმავე დროს ისინი გათანასწორებულნი არიან ძველ წევრებთან. მომხმარებელი საზოგადოება არის თანასწორ წევრთა თვითმართველი და დამოუკიდებელი ორგანიზაცია. პირველი მომხმარებელი საზოგადოება დაარსებული იყო ჩრდილო ინგლისის პატარა ქალაქს როჩდელში მუშების მიერ 1844 წ.

#### 4. მომხმარებელი კოოპერაციის იდეალი.

მომხმარებელი კოოპერაციის უმთავრესი მიზანია ცხოვრების გაიაფება და გაჯანსაღება. ამისათვის მომხმარებელი კოოპერაცია ცდილობს მოაშოროს მომხმარებელს სხვა და სხვა შუამავალნი, რომლებიც არიან მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის. მხოლოდ შუამავალთა ჩამოშორებით მომხმარებელი კოოპერაცია მიზანს ვერ მიაღწევს. კოოპერაცია ცდილობს შექმნას თავისი საკუთარი წარმოება და განაწილება მომხმარებელისათვის საჭირო ნივთების და საქონლისა. რაც უფრო მეტ ჩარჩებს და შუამავალს ჩამოაშორებს მომხმარებელი კოოპერაცია,

მით უფრო დაუახლოვდება მომხმარებელი მწარმოებელს და იმდენათ უფრო იაფი შეიქმნება მომხმარებლისათვის ნაწარმოები. რაც უფრო მეტი წილი მცხოვრებლებისა მოექცევა მომხმარებელ საზოგადოებების ფარგლებში, იმდენათ უფრო მძლავრი იქნება მომხმარებელი კოოპერაცია.

უზენაესი იდეალი მომხმარებელი კოოპერაციისა საკუთარი წარმოების გაჩაღებაა. მომხმარებელი კოოპერაცია მაშინ გახდება სრულიათ თავისუფალი და დამოუკიდებელი, მხოლოდ მაშინ გააიაფებს მშრომელის ცხოვრებას, მაშინ შეუნახავს მშრომელს ზედმეტ ხარჯებს, როდესაც იგი საბოლოოდ განთავისუფლდება ფაბრიკანტების და მექარხნეების, საზოგადოთ კერძო მწარმოებლების დამოკიდებულებისაგან, როდესაც შეერთებული და შეკავშირებული მომხმარებლები შექმნიან თავის მწყობრ საზოგადოებრივ წარმოებას. მომხმარებელი კოოპერაცია მაშინ მოიპოვებს თავის უფლებას, როდესაც წარმოება ჩამოერთმევა კერძო კაპიტალს და გადაეცემა საზოგადოებას. მომხმარებელ კოოპერაციის საკუთარ წარმოებას უფრო დიდი უპირატესობა აქვს, ვიდრე კერძო კაპიტალის წარმოებას. კერძო მწარმოებელი, კაპიტალისტი, მექარხნე, ფაბრიკანტი ამზადებს საქონელს ბაზრისათვის, მაგრამ ბაზრის მოთხოვნილების რაოდენობა მან წინდაწინ არ იცის. ის ელმძღვანელობს გამოცდილებით, ის წინასწარ ვა-

რაუდობს ამ მოთხოვნების რაოდენობას. კოლოპერატიულ წარმოების მდგომარეობა სხვა არის. მომხმარებლების რიცხვი, მოთხოვნების რაოდენობა კოლოპერატიულ წარმოებისათვის წინასწარ განსაზღვრული არის. რადგან მომხმარებლები შეკავშირებულნი არიან საზოგადოებაში, მათი მოთხოვნების რაოდენობის განსაზღვრა წინასწარ შესაძლებელია. მაშასადამე მომხმარებელთა ბაზარი წარმოადგენს განსაზღვრულ ერთეულს და ყოველთვის შესაძლებელია წინასწარ გამორკვევა წევრთა მოთხოვნებისა და მათი დაკმაყოფილება საკუთარ წარმოებით.

## II მწარმოებელი კოოპერაცია.

### 1. რა არის მწარმოებელი კოოპერაცია?

მშრომელის მეურნეობაში, გლეხი იქნება თუ ქალაქში მცხოვრები ხელოსანი, მზადდება სხვა და სხვა გვარი საქონელი, ნივთები. ნაწილს ამ ნივთებისას ან საქონლის მოიხმარს თვით მწარმოებელი. ზედმეტი ნაწარმოები ხელოსანს ან გლეხს გააქვს გასასყიდათ ბაზარზედ.

თვითეულ მეურნეობას, ოჯახს, რომელიც სოფლის მეურნეობაში არის ჩაბმული, არა აქვს შეძლება გააუმჯობესოს თავისი მეურნეობა, გაადიდოს წარმოება, უფრო ნაყოფიერი გახადოს იგი. მაგალითად, მეცხვარეები თუშები, რომლებიც მეცხვარეობას მის-

დევენ, ისინი ამზადებენ ყველს, ერბოს. მათ არც ცოდნა, არც შეძლება აქვს საჭირო დონეზედ დააყენონ თავისი წარმოება, მეტი ღირებულების საქონელი შექმნან, უფრო ნაყოფიერათ აწარმოონ თავისი მეურნეობა, უფრო კარგი ხარისხის ნაწარმოები გამოიტანონ ბაზარზედ. მეურნეობის გაუმჯობესება მოითხოვს ხარჯებს. პატარა მეურნეობა თუ ხარჯებს გასწევს, მაშინ ნაწარმოები ისე გაძვირდება, რომ ხელსაყრელი აღარ შეიქნება. თითოეული მეურნეობა გლეხისა ან ხელოსანის ისე სუსტია, რომ მას არ შეუძლია ზედმეტი ხარჯები აიტანოს. რასაც ვერ ახერხებს თითოეული განცალკევებული მეურნეობა და მეურნე, მოახერხებენ შეერთებული, შეკავშირებული მეურნენი. შეკავშირებული მეურნენი და მეურნეობანი — წარმოადგენენ დიდ გაფართოებულ მეურნეობას და ასეთ მეურნეობას კი ეხერხება ხარჯების ატანა, ეხერხება იმიტომ, რომ ხარჯები განაწილებული იქნება რამდენიმე მეურნეთა შორის და თითოეული მეურნის ხარჯების წილი მცირე იქნება. შეკავშირებული ამხანაგურ წარმოებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან შეერთებული წარმოება მოითხოვს ნაკლებ მუშაობას, ამცირებს მუშაობას და წარმოების გაუმჯობესებას უწყობს ხელს. წარმოვიდგინოთ, რომ სადმე სოფელში 20 ოჯახი ამზადებს კარაქს, ყველს. ოჯახში უეჭველათ მცირეოდენი რძე იქნება, ამ რძიდან ყველის ან კარაქის

დამზადების დროს ბევრი მასალა უნაყოფოთ დაი-  
კარგება. უმჯობესი იქნება, რომ ზძე, რომელიც თი-  
თო ოჯახს აქვს ერთად იქნეს შეგროვებული., ამხა-  
ნაგურად ყველის ან კარაქის დამზადებას დიდი  
უპირატესობა აქვს. ბევრი მასალა თუ იქნა შეგრო-  
ვებული მაშინ შეიძლება მანქანით ერობოს ან ყველის  
მომზადება. ამას დასჭირდება ნაკლები დრო, თითე-  
ული ოჯახი მოიცილებს თავიდან ზედმეტ მუშაობას  
და შრომას. თითო ოჯახს არ შეუძლია მანქანა შე-  
იძინოს, თუ ისინი შეერთდებიან მანქანის შეძენა  
უფრო ადვილი იქნება. თვით ნაწარმოები მანქანით  
დამზადებული უფრო კარგი ხარისხის იქნება და  
უფრო კარგ ფასებში გაიყიდება.

ჩვენში ბევრს ადგილას ამზადებენ მატყლის შა-  
ლებს. ვის 2 ფუთი მატყლი აქვს, ვის 3 და ასე ამნაი-  
რათ. მეშალოები რომ შეერთდენ და შეაგროვონ  
მატყლი, მაშინ შეიძლება კარგი იარაღების შეძენა,  
მატყლის ხარისხებათ განაწილება. ამხანაგობა უფრო  
იოლად შეიძენს საქსოვ მანქანებს და წარმოების სხვა  
იარაღებს. შალის დამზადება უფრო ნაკლებ დროს  
მოითხოვს, მაშასადამე თითო ოჯახი დროს მოიგებს  
და ამ მოგებულ დროს სხვა საქმეს მოახმარს ოჯახში.  
დამზადებული შალიც კარგი ხარისხის იქნება და  
უფრო კარგ ფასებში გაიყიდება, მოგებაც მეტი  
დარჩება თითოეულ ოჯახს.

თითოეული ოჯახის მიზანი უნდა იყოს კარგი

საქონელი დაამზადოს, კარგი ხარისხის, რომელიც ნაკლებ დროს და ჯაფას მოითხოვს, და უფრო კარგ ფასებში გაასაღოს. მაგრამ ოჯახის მიზანია არა მარტო კარგი საქონლის დამზადება, არამედ დამზადებული საქონლის გასაღება ხელ-საყრელ ფასებში. ყველა ამას მშრომელი, მწარმოებელი მოახერხებს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ცალკე კი არ იმუშავებს, არამედ შეუერთდება, შეუკავშირდება თავის ამხანაგებს.

სოფელში ხშირად ამზადებენ მატყლის შალებს. ვის 20, ვის 40, ვის მეტი ან ნაკლები არშინი აქვს. თითოეული ოჯახს მცირეოდენი თავის ნაწარმოები გააქვს ბაზარში. როცა წვრილი მწარმოებელი თავის ნაწარმოებს ბაზარში გაიტანს, იგი უეჭველად ჩაუვარდება ხელში ჩარჩებს. წვრილი მწარმოებელი იმდენათ სუსტია და უძლური, რომ იგი ჩარჩებს წინააღმდეგობას ვერ გაუწევს. ამას გარდა ოჯახის წევრი, რომელსაც დამზადებული აქვს რამოდენიმე არშინი შალისა მიდის ბაზარზედ, არ იცის რა ფასები არის იქ. ამასობაში იგი ჰკარგავს ბევრ დროს და შრომას, ყველა ამას სახლში ნაყოფიერად გამოიყენებდა. შალის მწარმოებელი ოჯახები რომ შეერთებულნი ყოფილიყვნენ, სულ სხვანაირი მდგომარეობა შეიქნებოდა. დააგროვებდნენ დიდ ძალ შალებს და თვით მწარმოებელნი უშუამდგომლოთ გაასაღებდნენ, შეურჩევდნენ ისეთ დროს, როდესაც

ფასებიც ხელ-საყრელი იქნებოდა მათთვის და არა საზარალო. მწარმოებლები აღარ დაკარგავდნენ ზედ მეტ დროს და ჯაფას ნაშრომის გასასაღებლათ. შეერთებული მწარმოებლები ძალას წარმოადგენენ, ისინი ისეთი ძლიერნი არიან, რომ მათ აღარ შეეშინდება არც ჩარჩების, არც ბაზრის და საქმეს თავის სასარგებლოთ მოაწყობენ.

**მშრომელნი, მწარმოებლები, რომლებიც შეერთებული ძალით და იარაღით აწარმოებენ რამე ხელობას და ერთად, ამხანაგურათ ასაღებენ ნაწარმოებს — შეადგენენ მწარმოებელ კოოპერაცივს.**

**2. მწარმოებელი კოოპერაციის უპირატესობა.**  
წვრილი მწარმოებლების შეერთება-შეკავშირებას დიდი უპირატესობა აქვს: 1) შეერთებული წვრილი წარმოება ხელს უწყობს და აადვილებს წარმოების გაუმჯობესებას, რაც შეუძლებელი არის გაფანტული წვრილი მწარმოებლებისათვის, 2) წარმოების გაუმჯობესება ჰქმნის უმაღლეს ხარისხის ნაწარმოებს და თვით ნაწარმოების რაოდენობას აფართოებს, 3) შეერთებულნი წვრილი მწარმოებლები ისეთ ძალას წარმოადგენენ, რომ საშუალება აქვთ თავი დააღწიონ სხვა და სხვა შუამავალთ; წარმოების შეერთება მეტ მოგებას აძლევს მწარმოებელს და თვით წარმოებისათვისაც იხარჯება ნაკლები დრო და ჯაფა.

**3. სხვა და სხვა დარგები მწარმოებელი კო-**

**ოპერაციისა.** წარმოება ათასნაირია; მწარმოებლების შეკავშირება შეიძლება იმის და მიხედვით, რა დარგს მეურნეობისას აწარმოებენ შეერთებულნი მშრომელნი. მაგალითად: წვრილი მეყველეების და მერძევეების ამხანაგობა, მევენახეების ამხანაგობა, მეშალეების ამხანაგობა, მებარეშუმეთა და სხვები.

#### 4. მომავალი მწარმოებელი კოოპერაციისა.

მწარმოებელი კოოპერაციას ძლიერ დიდი მომავალი აქვს. თუ წვრილი მწარმოებლები შეკავშირდებიან და ბლომათაც შეკავშირდებიან, მაშინ მწარმოებელნი თავისუფალნი და დამოუკიდებელნი იქნებიან, თავს დააღწევენ შუამავალთ, ჩარჩებს, სპეკულიანტებს, თითონ შეიქნებიან მესაკუთრენი თავისი ნაშრომისა და ნაწარმოებისა, გააუმჯობესებენ თვით წარმოებას, ჩამოართმევენ წარმოებას კერძო კაპიტალს და კერძო პირებს, გაანთავისუფლებენ მწარმოებელს კაპიტალის მონობისაგან. წარმოება კერძო კაპიტალისტების და კერძო მწარმოებლებისგან გადაეცემა საზოგადოებას, საზოგადოების უნარს და კაპიტალს. ძირიანათ შეიცვლება საზოგადოებრივი ურთიერთობა და დამოკიდებულება, მძარცველ კაპიტალს ძალა დაეკარგება და მას საზოგადოება დაეპატრონება.

### III. საკრედიტო კოოპერაცია.

1. კრედიტის მნიშვნელობა მეურნეობაში. წვრილ მწარმოებელთა მეურნეობაში ყოველთვის არის

საჭირო სამეურნეო იარაღის შექმნა, ცხენის, ძროხის და სხვა მეურნეობისათვის საჭირო ნივთების. ამ ნივთების შესაძენათ საჭიროა ფული, ფული კი წვრილ მეურნეობაში ხშირათ არ მოიპოვება. სადუნდა იშოვოს გლეხმა ან ხელოსანმა საჭირო თანხები, რომ თავის მეურნეობის მოთხოვნილება დააკმაყოფილოს? მეურნეს შეუძლია მიმართოს მათ, ვისაც ფული აქვს: ან ბანკებს, სადაც ფულები ბლომათ არის, ან კერძო პირებს. ბანკი წვრილი მეურნეს ფულს არ მისცემს, ვინაიდან წვრილ მეურნეს პატარა თანხები სჭირდება, ბანკისათვის წვრილ-წვრილათ ფულის გაცემა ხელ-საყრელი არ არის, ხარჯი მეტი ექნება, ვიდრე მოგება წვრილ-წვრილათ ფულების დარიგებით. ამას გარდა, ბანკს არც საკმაო იმედი აქვს, რომ წვრილ მეურნეობაში გაცემული ფული დაუბრუნდება, რადგან თვით წვრილი მეურნეობა არ წარმოადგენს ისეთ ეკონომიურ ძალას, რომ ბანკი დაიმედებული იქნეს, რომ დროზე ფული დაუბრუნდება. ეს ყველაფერი კარგათ იციან კერძო პირებმა, რომლებსაც ფული აქვთ და სარგებლობენ წვრილი მეურნეს მდგომარეობით. ისინი აძლევენ წვრილ მეურნეს სესხათ ფულს, მაგრამ სამაგიეროდ სარგებელს ახდევინებენ. დიდი სარგებელი აუტანელია წვრილი მეურნესათვის. მისი გადახდა აუძლოურებს მეურნეობას და მას საშუალებას არ აძლევს ნაყოფიერად ისარგებლოს აღე-

ბული სესხით. დიდ სარგებლიანი სესხი წვრილ-მეურ-  
ნეს ხდის კაპიტალის მონათ. აღებული სესხი სანუდა-  
მოთ აბამს წვრილ მეურნეს მევახშეს ქსელში. თუ  
წვრილმა მეურნემ დროებით ფული ვერ იშოვა, თუ  
მას ნდობა-კრედიტი არ ექნა მეურნეობას ვერ მოუფ-  
ლის და ვერ შესძლებს მის გაძლოლას.

**2. საკრედიტო კოოპერაცია.** თითოეული წვრი-  
ლი მეურნეობა თავის თავათ, განყენებულათ, ძლიერ  
სუსტია და მას ან სრულებით არ ანდობენ ფულს, ან  
მისცემენ ისეთ ძნელ პირობებში, ისე ძვირათ, რომ  
მას ვერ გამოიყენებს მეურნეობაში. მხოლოდ  
თუ წვრილი მეურნეები შეერთდებიან და ამხანაგო-  
ბას შეადგენენ, მაშინ ისინი დიდ ძალას წარმოად-  
გენენ და ნდობაც ექნებათ და მათ უფრო იოლათ  
ანდობენ ფულს.

**მშრომელთა მეურნეობის ამხანაგობა, რომ-**  
**ლის მიზანია იაფ-ფასიანი კრედიტი უშოვოს თავის**  
**წევრებს მეურნეობისათვის — არის საკრედიტო**  
**კოოპერატივი.**

საკრედიტო ამხანაგობანი აერთებენ და აკავში-  
რებენ წვრილ მეურნეებს, რათა გაუადვილონ იაფ-  
ფასიანი კრედიტის აღება, ხელმისაწვდომი კრედიტის  
შეძენა.

**3. საკრედიტო კოოპერატივების ჯგუფები.**  
საკრედიტო კოოპერატივები ორი ჯგუფისა არიან:  
**საკრედიტო კოოპერატივები და შემნახველ-გამ-**

**სესხებელი ამხანაგობანი.** ამ ორ ჯგუფს შორის არის განსხვავება: შემნახველ-გამასესხებელი ამხანაგობა ეხმარება მეურნეობას კრედიტების გაცემით, ასეთი დანიშნულება საკრედიტო კოოპერატივებსაც აქვს; ამას გარდა, შემნახველ-გამასესხებელი ამხანაგობა არის ისეთი ამხანაგობა, რომლის სალაროში თითოეულ წევრს შეუძლია თავისი ფულები დააგროვოს და შეინახოს. ფულის საგანგებოთ შენახვას საკრედიტო კოოპერატივები არ ეწევიან.

#### **4. საკრედიტო კოოპერატივების კაპიტალები.**

საკრედიტო კოოპერატივების ძირითადი თანხა და არსებისთანავე იწყება სესხით, რომელსაც იღებენ ან სახელმწიფო ბანკიდან, ან ერობისაგან, კოოპერატიულ დაწესებულებებიდან; შეწირულებით; შემნახველ-გამასესხებელი ამხანაგობებში ამ წყაროებს გარდა, ძირითადი კაპიტალი შესდგება ამხანაგების პაიებიდან, ანუ ამხანაგების მიერ საწევრო გადასახადებიდან. პაი ან საწევრო გადასახადი უნდა იყოს მცირე, რათა საშუალება მიეცეს მცირე შეძლებულთაც გახდენ ამხანაგობის წევრებათ. საკრედიტო ამხანაგობების თანხები უმთავრესათ შესდგება იმ ფულებიდან, რომელსაც აბარებენ ამხანაგობას გარეშე მყოფი პირები. **ანაბარი**—აი უმთავრესი წყარო საკრედიტო კოოპერატივებისა. ბევრს აქვს თავისუფალი თანხები და ისინი იძულებულნი არიან ეს ფულები ნაყოფიერათ შეინახონ. ხშირათ ფულებს სახლში ინახავენ,

მაგრამ ეს საშიში არის: მოიპარავს ვინმე, ან ცეცხლში დაიღუპება, ესეც რომ არ მოხდეს, ფული უნაყოფოდ დარჩება არც მის პატრონს არგებს, არც სხვას მისცემს სარგებელს.

კერძო პირები მხოლოდ მაშინ მიაბარებენ და გადასცემენ დასატრიალებლათ თავის თანხებს, თუ ისინი დარწმუნებულნი იქნებიან, რომ მიბარებულ ფულებს მოთხოვნილებისთანავე დაუბრკოლებლათ მიიღებენ. ფულები არ დაიღუპება და მიიღებენ ჯეროვან სარგებელს. წევრების და უცხო პირების ფულები შეტანილი საკრედიტო კოოპერატივებში უნდა გადაიქცენ სატრიალებელ თანხად, ნაყოფიერად გამოყენებული კოოპერატივის მიერ და სამაგიეროთ ფულის პატრონებს უნდა მიეცეს სარგებელი. განსაკუთრებით საკრედიტო კოოპერატივებმა უნდა მიიზიდოს მომხმარებელი ამხანაგობების და სხვა კოოპერატივების თავისუფალი თანხები. კოოპერატივებს თუ თავისუფალი თანხები აქვს, კოოპერატივებშივე უნდა ტრიალდებოდეს. კოოპერატივებმა თავისუფალი თანხები არასოდეს არ უნდა მიაბაროს კერძო კომერციულ ბანკებს. კერძო კაპიტალი ებრძვის კოოპერაციას, მათ შორის მუდმივი ბრძოლა არის და თუ კოოპერატივის თავისუფალი თანხები გადაეცემა კერძო ბანკებს, გააძლიერებს მათ თანხებს, გააძლიერებს კოოპერაციის მოწინააღმდეგეს. ასეთი მდგომარეობა ყოველად დაუშვებელია. კოოპერაციის თავისუფალი

თანხები კოოპერატივებში უნდა ინახებოდეს, კოოპერატივებში უნდა ტრიალდებოდეს. კოოპერატივები კი ამ თანხებს მოახმარენ მშრომელთა მეურნეობას.

### 5. საკრედიტო კოოპერატივების ოპერაციები.

საკრედიტო კოოპერატივების უმთავრესი დანიშნულებაა — იაფი კრედიტი მიაწოდოს მშრომელთა მეურნეობას. საკრედიტო კოოპერატივები აძლევენ თავის წევრებს **სესხს**. იაფ-ფასიანი მცირე სარგებლიანი სესხი არის დახმარება მშრომელთა მეურნეობისა. სესხი მიეცემა მშრომელთა მეურნეობის სხვა ზ სხვა საჭიროებისათვის; მშრომელს, გლესს მეურნეობაში დაეღუპა ხარ-კამეჩი, გაფუჭდა ან გაცვდა გუთანის; თუ გლესი ხარ-კამეჩს ან გუთანს არ შეიძენს, მისი მეურნეობა ან სრულიად დაიღუპება ან და ძლიერ შეფერხდება. გლესს ხშირათ არ აქვს იმდენი ფული, რომ შეიძინოს ხარ-კამეჩი, საჭირო სამეურნეო იარაღი. ასეთი მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი თანხები არის ოჯახის სასარგებლო თანხები. საკრედიტო ამხანაგობიდან გატანილი სესხი, რომელიც მოხმარდება ოჯახის საჭიროებას, დატრიალდება და დაიხარჯება ნაყოფიერად. გლესის ოჯახს, მაგალითად, არა აქვს საკმარისი მიწა-წყალი, გლესი იძულებული იქნება იყიდოს ან და იჯარით აიღოს მიწა. გლესს ფული არ აქვს, ფულს საკრედიტო ამხანაგობა მისცემს. ასეთი საჭიროებისათვის დახარჯული ფული ნაყოფიერია, რადგან გლესი, რომელიც გაა-

ფართოვებს თავის მიწისფლობლობას შექნის ახალ ღირებულებას, რაც მას საშუალებას მისცემს აღებული სესხი იოლად დაუბრუნოს ამხანაგობას. საკრედიტო ამხანაგობიდან აღებულ სესხს მაშინ აქვს მნიშვნელობა რე მაშინ შეეძლება მსესხებელს დააბრუნოს, როდესაც ფული დაიხარჯება რაიმე წარმოებისათვის, მეურნეობის გაუმჯობესებისთვის. გაუმჯობესებული მეურნეობა ქმნის ახალ ღირებულებას, სესხი ნაყოფს აძლევს მეურნეობას და ნაყოფის შედეგი არის სესხის გადახდის შესაძლებლობა. საკრედიტო ამხანაგობა სესხს უნდა აძლევდეს მხოლოდ მეურნეობის საჭიროებისათვის. ხშირად სესხს ითხოვენ ქორწინების, დღესასწაულების ხარჯების დასაფარავად. ასეთი სესხი ყოველათ უნაყოფო არის, რადგან ის იხარჯება, ჰქრება რე სამაგიეროთ არაფერ ღირებულებას არ ქმნის. ეს არის უნაყოფო ხარჯი და მსესხებლისათვის შეუძლებელი იქნება მისი გადახდა, რადგან დახარჯული ფული სამაგიერო ღირებულებას არ ქმნის და არ არის წყარო სესხის დასაფარავი. საკრედიტო ამხანაგობა ასეთ სესხს ვერ გასცემს.

სესხი არის **მოკლე ვადიანი რე გრძელ ვადიანი** ანუ სესხის დაბრუნება დიდი ვადით ან მოკლე ვადით არის განსაზღვრული. გრძელ ვადიანი ან მოკლე ვადიანი სესხი გაიცემა იმის მიხედვით, თუ რა საჭიროებისთვის არის გაცემული სესხი. სესხი გაცემული

რაიმე მეურნეობის საჭიროებისთვის მოკლე ვადაში ვერ გადატრიალდება, მაგალითად, სესხი აღებული არის ვენახის გასაშენებლათ, ან ჭაობიანი ადგილის დასაშრობათ. აღებული სესხის ნაყოფიერება, მისი შედეგი მეურნეობაში გამოჩნდება რამდენიმე ხნის შემდეგ. გრძელ ვადიანი სესხი არის ისეთი დახმარება მეურნეობისათვის, რომელიც ანაზღაურებული იქნება რამდენიმე ხნის შემდეგ. გრძელ ვადიანი სესხათ საკრედიტო კოოპერაციაში შეგვიძლია ჩავთვალოთ— ხუთი წელიწადი, მოკლე ვადიანი—ერთი წელი.

რა იმედი აქვს საკრედიტო ამხანაგობას, რომ გაცემული თანხები დროზედ დაუბრუნდება? თითოეული წევრი ამხანაგობისა პასუხის მგებელია ყველა იმ ვალდებულებისა, რომელიც აქვს ამხანაგობას. სესხის ასე ვთქვათ გირაოთ ითვლება ქონება იმ პირისა, რომელიც იღებს სესხს. თუ ამხანაგობიდან გატანილი თანხა დროზედ არ იქნა დაბრუნებული, მაშინ მამულზედ, ან ქონებაზედ იქნება ანაზღაურებული გაცემული სესხი. მამული, ქონება აგებს სესხის პასუხს. სესხი მიეცემა თავდებობის ქვეშ, თავდებათ მიიღება ისეთი პირი, რომელსაც აქვს შემძლება, მამული იქნება სესხის პასუხის მგებელი. ან და სესხის გაცემას ამყარებს ამხანაგობა პირად ნდობაზედ იმ პირისადმი ვისაც სესხი ეძლევა.

საკრედიტო კოოპერატივები ეხმარებიან მეურნეობას **საშუამავლო ოპერაციების** წარმოებით.

ოჯახში, სოფლის მეურნეობაში ან ხელოვნის მეურნეობაში საჭირო არის სამეურნეო იარაღები, მანქანები, ვენახის წამლები, მოწყობილობა წარმოებისა, თითოეული მეურნე თუ შეუდგა საჭირო ნივთების შეძენას ცალ-ცალკე, უეჭველათ მიმართავს. შუამავლებს, ჩარჩებს, იძულებული იქნება ზედ-მეტი ხარჯი გასწიოს, უფრო ძვირათ დაუჯდება შეძენილი საქონელი, იძულებული იქნება ის იყიდოს რასაც მიაწოდებენ. საკრედიტო ამხანაგობა გამოდის შუამავლათ ბაზარსა და კოოპერატივის წევრებს შორის. ამხანაგობა შეიძენს თავისი წევრების საჭიროებისათვის ნივთებს და საქონელს ნარდათ, ბლომათ, მას საშუალება აქვს პირდაპირ ქარხანას მიმართოს, მას არ დასჭირდება შუამავლები, მაშასადამე საქონელი უფრო იაფად იქნება შეძენილი, უფრო კარგი ხარისხისა, ვიდრე, როდესაც მყიდველად გამოდის ცალკე მეურნე.

საშუამავლო ოპერაციებით საკრედიტო ამხანაგობა ეხმარება წევრებს არა მარტო საჭირო ნივთების შეძენაში, არამედ წევრების ნაწარმოების გასაღებაშიაც. საკრედიტო ამხანაგობა მიიღებს წვრილ-წვრილ ნაწილებს წევრების ნაწარმოებისას (პური, სიმინდი, თხილი), დააგროვებს, დაანაწილებს ხარისხებათ, რე დიდ პარტიობით გაასაღებს. ასეთ პირობებში საქონელს მიეცემა ისეთი სახე, რომელიც უფრო გაადვილებს გასაღებას კარგ ფასებში.

ხშირად ასეთი ოპერაციებისათვის თითოეულ მეურნეს არც შესაფერისი ცოდნა აქვს, არც უნარი და არც სახსარი. საკრედიტო ამხანაგობას არ სჭირდება შუამავლები, კარგ პირობებში ასაღებს სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებს რე მეტს მოგებას აძლევს ამხანაგებს. საკრედიტო ამხანაგობა მიღებულ საქონელს ასაღებს იმის მიხედვით, თუ რა ფასები არის ბაზარზედ: როდესაც კარგი პირობები არ არის, უცდის შესაფერ პირობებს. ამას კი დრო უნდა. მხოლოდ საქონლის პატრონს დაუყონებლივ სჭირდება ფული, იგი ვერ მოუცდის იმ დროს, როდესაც კარგი ფასები შეიქნება ბაზარზედ და ჩქარობს საქონელი გაასაღოს. აი ამიტომ ხშირათ საქონლის პატრონი უხერხულ დროს ყიდის მას და ბევრსაც აგებს. ეს უხერხულება რომ ააცდინოს თავიდან საქონლის პატრონს, რომ მან უდროოდ საქონელი არ გაყიდოს და არ ჩაუგდოს ჩარჩებს, ამხანაგობა მიბარებს საქონელს წევრებისაგან, საქონლის პატრონს აძლევს ნაწილს: ნახევარს, ორ მესამედს ღირებულებისას და საქონელი რჩება **გირათ** ამხანაგობას. ამხანაგობის წევრი აღებული ფულით ხელს მოიმართავს, დაიკმაყოფილებს მოთხოვნილებას. შემდეგ, როდესაც ამხანაგობა შეარჩევს შესაფერ დროს, წევრებისაგან მიბარებულ საქონელს ასაღებს რე უსწორდება წევრებს. ესე იგი გასაღებული საქონლის ფასიდან გამოირიცხება ის თანხა, რომელიც წევრს აქვს წაღებული, ამხანაგობისაგან გაწეული ხარჯები

საქმის წარმოების დროს და მცირე გასამრჯელო-  
ამ ოპერაციების საშუალებით თითოეული წევრი არ  
გამოდის ბაზარზედ, მისი სახელით გამოდის ამხანა-  
გობა და აწარმოებს როგორც ამხანაგობის წევ-  
რებისათვის საჭირო ნივთების ზ საქონლის შესყიდ-  
ვის ოპერაციებს, აგრეთვე ოპერაციებს წევრების  
ნაწარმოების განაღდების და გასაღების.

**6. მოგება საკრედიტო ამხანაგობაში.** მოგება,  
რომელიც რჩება საკრედიტო ამხანაგობას სხვა და  
სხვა ოპერაციების წარმოების შემდეგ, არ ურიგდება  
წევრებს. ამ მოგებას აქვს განსაზღვრული დანიშნუ-  
ლება; ნაწილი მოგებისა გადაიდება ამხანაგობის კაპი-  
ტალების გასაძლიერებლათ, ან და გროვდება გან-  
საკუთრებული კაპიტალები: სკოლების, სახალხო  
სახლების ასაგებათ; გროვდება კაპიტალი საშუამავლო  
ოპერაციების წარმოებისათვის. მოგებას თვით ამხა-  
ნაგობის წევრები ანაწილებენ და აძლევენ განსაზ-  
ღვრულ დანიშნულებას. საჭიროა მხოლოდ, რომ  
საკრედიტო ამხანაგობის მოგება მოხმარდეს ან წევ-  
რების მეურნეობას, ან მათი სწავლა-განათლებას.

## ნ ა წ ი ლ ი V

### კოოპერატივების კავშირები.

**1. პირველი საფეხურის კოოპერატივები.** მომხმარებელი საზოგადოება, საკრედიტო კოოპერატივი, მწარმოებელთა ამხანაგობა, რომლებიც აკავშირებენ წევრებს სოფელში, ქალაქში, შედარებით მცირე საზღვრებში—არიან პირველი საფეხურის კოოპერატივები.

პირველი საფეხურის კოოპერატივები აკავშირებენ შედარებით წევრების მცირე რიცხვს, იმათ დიდი კაპიტალებიც არა აქვთ. თავისი ძალებით და შედეგებით ამ საფეხურის კოოპერატივები დასახულ მიზანს ვერ მიაღწევენ. ამიტომ პირველი საფეხურის კოოპერატივები ერთდებიან და ადგენენ უფრო რთულ ამხანაგობებს — კავშირს.

**2. უმაღლესი საფეხურის კოოპერატივები.** პირველი საფეხურის კოოპერატივები აარსებენ კავშირებს; კავშირები არის კოოპერატივები მეორე საფეხურის. მეორე საფეხურის კოოპერატივებში, კავშირების წევრებათ არიან კოოპერატივები რომელიმე განსაზღვრული გეოგრაფიული ნაწილისა, მაგალითად მაზრის კოოპერატივები შეადგენენ კავშირს. მაზრის კოოპერატივების კავშირები შეადგენენ უფრო დიდ კავშირს კოოპერატივებისას—გუბერნიის, ოლქის. ბოლოს ყველა კოოპერატივები მთელი

სახელმწიფოს შეადგენენ ერთ რთულ კავშირს, რომელშიაც შედიან ყველა კოოპერატივები. ეს იქნება უმაღლესი საფეხური—ცენტრალური კავშირი.

**3. კოოპერატივების მშენებლობის პრინციპები.** კოოპერატივები ისე უნდა მოეწყონ და აწარმოონ მუშაობა, რომ ერთი მეორეს მეტოქეობა არ გაუწიონ. მაგალითად, თუ სოფელში არის მომხმარებელი ამხანაგობა, მეორე მომხმარებელი კოოპერატივის დაარსება ყოვლად შეუძლებელი არის. თუ ერთსა და იმავე სოფელში ორი ერთი და იმავე ჯგუფის კოოპერატივი დაარსდა, მაშინ თითოეული მათგანი იქნება სუსტი; ორივეს მცირე კაპიტალები ექნება და ხეირიანათ საქმეს ვერ აწარმოებენ. არცისარ ის მისაღები, რომ კოოპერატივი დიდ რაიონს ემსახურებოდეს; მაშინ ამ კოოპერატივით ვერ ისარგებლებს მცხოვრებლების ნაწილი.

კოოპერატივების ქსელის მოწყობა ერთ აუცილებელ პრინციპს უნდა მისდევდეს: **ადგილობრივ პატარა, პირველი საფეხურის კოოპერატივები და ზევით უმაღლესი საფეხურის, ჯერ უნდა დაარსდეს ადგილობრივი კოოპერატივები პირველი საფეხურისა და შემდეგ კოოპერატივებს კავშირები.** უმაღლესი საფეხურის კავშირებში უნდა შედიოდეს პირველი ხარისხის კოოპერატივები არა პირდაპირ, არამედ ადგილობრივი კოოპერატივების კავშირის შემწეობით.

საქართველოში მომხმარებელ კოოპერაციას აერთიანებს—**ცენტრალური კავშირი მომხმარებელ კოოპერატივებისა**. ეს არის უმაღლესი საფეხურის კოოპერატივი. საკრედიტო კოოპერაციასა აქვს თავისი უმაღლესი საფეხურის კოოპერატივი—**კახეთის საკრედიტო კავშირი**, რომელიც აერთიანებს მთელი კახეთის საკრედიტო კოოპერაციას. დასავლეთ საქართველოს კოოპერაციას აერთიანებს—**დასავლეთ საქართველოს საკრედიტო კოოპერაციის კავშირი**.

**4. რა მნიშვნელობა აქვს კოოპერატივების კავშირს.** კოოპერატივი, რომელიც აკავშირებს მცირე გეოგრაფიული ნაწილის მცხოვრებლებს, არის მარტივი დაწესებულება. მას არ აქვს დიდი თანხები, მისი წევრების მოთხოვნილებაც მცირე არის. როდესაც კოოპერატივები ერთდებიან კავშირის საშუალებით, მაშინ ამრავლებენ თავის თანხებს, მათ მეტი ძალა შესწევთ, რომ დიდი ოპერაციები აწარმოონ, რადგან აკავშირებენ უფრო მეტ რიცხვს წევრებისას.

ცალკე კოოპერატივს, რაც უნდა დიდი იყოს იგი, არ შეუძლია თავისი წარმოება შექმნას, მას არ შეუძლია მსხვილ ჩარჩებს შეებრძოლოს. კავშირებს კი დიდი თანხები აქვთ, დიდი ძალა და მეტი შეძლება. კოოპერაციის ძალა ერთობაშია. რაც უფრო მეტი ერთობა და ამხანაგობა იქნება, იმდენათ მეტია ძალაც. კოოპერაციის ძალა კავშირებშია. რაც უფრო დიდია კავშირი, მით უფრო მეტი შეძლება და აღმშენებლობითი ძალა აქვს მას.

5. **კოოპერატივების დიფერენციაცია.** თითოეულ კოოპერატივს აქვს განსაზღვრული მიზანი, სხვა და სხვა ჯგუფის კოოპერატივები არ უნდა ერეოდეს ერთი მეორის მუშაობაში, არ უნდა აწარმოოს ისეთი მუშაობა, რომელიც მას არც შეეფერება და არც ეხერხება. მომხმარებელი საზოგადოების დანიშნულება არის წარმოება, შექმნა და განაწილება სხვადასხვა გვარი საქონლისა და ნივთებისა. თუ ამ საქმეების წარმოებას შეუდგება საკრედიტო ამხანაგობა, მაშინ მათ შორის შეიქნება მეტოქეობა. ერთი და იმავე მუშაობის წარმოება ორი სხვადასხვა სახის კოოპერატივისა გამოიწვევს ზედმეტ ხარჯებს, ზედმეტ შრომას.

ასეთი შეტაკება რომ არ მოხდეს, რომ კოოპერატივების შორის საფუძვლიანათ მოხდეს მუშაობის დანაწილება, აუცილებელათ საჭიროა კოოპერატივების **დიფერენციაცია**. თითოეულმა კოოპერატივმა ისეთი დარგი უნდა აწარმოოს, რომელიც მას შეეფერება. ამავე დროს კოოპერატივების შორის უნდა იყოს მჭიდრო დამოკიდებულება და კავშირი. დაახლოვებით დიფერენციაცია ამნაირად უნდა მოეწყოს: მწარმოებელი კოოპერაცია უნდა აწარმოებდეს სამეურნეო და სხვა საქონელს ანუ ნივთებს, მომხმარებელი კოოპერაცია უნდა ანაწილებდეს ნივთებს და საქონელს, საკრედიტო კი უნდა აძლევდეს კოოპერაციას საჭირო თანხებს. ეს არის ზოგა-

დი გეგმა, ცხოვრების მოთხოვნებისამებრ შესაძლებელია ამ გეგმაში ცვლილების შეტანა. მხოლოდ აუცილებელია ამ გეგმისათვის ერთი რამ; კოოპერატივებს შორის უნდა იქნეს დანაწილებული მუშაობა, თითოეული კოოპერატივი უნდა აწარმოებდეს იმ საქმეს და მუშაობას, რომელიც მის დანიშნულებას შეადგენს და ამასთანავე კოოპერატივებს შორის განუწყვეტელი კავშირი, დამოკიდებულება და ურთიერთობა უნდა იყოს. ეს ურთიერთობა იმაში გამოიხატება, რომ ერთი ჯგუფი კოოპერატივებისა უნდა იქნეს წევრებათ კოოპერატივების კავშირისა. მაგალითად, მომხმარებელი ან საწარმოო კოოპერატივები უნდა ირიცხებოდეს საკრედიტო კოოპერატივების წევრებათ.

---

## ნ ა წ ი ლ ი VI

### კოოპერატიული კანონი

1. კოოპერატიული კანონის ისტორია. რუსეთში 1917 წლამდის კოოპერაციას არ ჰქონდა კანონი. კოოპერატიული ამხანაგობანი და საზოგადოებანი სხვადასხვა სამინისტროებს ემორჩილებოდენ: საკრედიტო კოოპერაცია ემორჩილებოდა ფინანსთა

სამინისტროს, მომხმარებელი კოოპერაცია— შინაგან საქმეთა სამინისტროს; სასოფლო სამეურნეო ანუ მწარმოებელთა კოოპერაცია— მიწად-მოქმედების სამინისტროს. არ იყო საერთო კანონი; კოოპერაცია არ იყო დაცული საერთო კოოპერატიული კანონმდებლობით.

კოოპერატივების რწმუნებულთა ყრილობებზედ მოსკოვში 1908 წ., პეტერბურგში— 1912 წ., კიევში— 1913 წ. აღიძრა საკითხი კოოპერატიული კანონის გამოცემის შესახებ. კოოპერაცია იმდენათ გაიზარდა, იმდენი საყურადღებო საკითხები და მოთხოვნები გაუჩნდა მას, რომ კოოპერატიული კანონი აუცილებლათ საჭირო შეიქნა. კიევის ყრილობაზედ დამუშავებულ იქნა ძირითადი დებულებანი კოოპერატიული კანონისა. შემდეგ ყრილობამ საგანგებო კომისია აირჩია. კომისიამ შეიმუშავა პროექტი კოოპერატიული კანონისა. პროექტი წარდგენილი იყო სახელმწიფო სათათბიროში. სათათბირომ პროექტი მიიღო 1916 წ. 24 მარტს. პროექტში შეტანილი იყო წვრილმანი ცვლილებანი. სახელმწიფო სათათბირომ მიღებული კანონი გადასცა სახელმწიფო საბჭოს. საბჭომ ისეთი ცვლილებანი შეიტანა, რომ სრულიად შესცვალა და დაამახინჯა კანონი, მაგრამ საბჭომ საბოლოოდ კანონის მიღება ვერ მოასწრო. რევოლიუციის შემდეგ 1917 წ. 20 მარტს რუსეთის დროებით მთავრობამ გამოსცა კანონი კოოპერატიულ ამხანაგობების და მათ კავშირების შესახებ.

დროებითი მთავრობის კანონი არის კანონი შემუშავებული კოოპერატივების რწმუნებულთა ყრილობაზედ. კანონში წვრილმანი შესწორებანი არის.

**2. ძირითადი დებულებანი კანონისა.** კოოპერატიული კანონი შეიცავს კოოპერატიული ამხანაგობის განმარტებას. კოოპერატიული ამხანაგობა არის ისეთი ამხანაგობა, რომელსაც აქვს განუსაზღვრელი, ცვალებადი რიცხვი წევრებისა, მას აქვს აგრეთვე განუსაზღვრელი და ცვალებადი კაპიტალები. კოოპერატიული ამხანაგობის მიზანი და დანიშნულებაა ნივთიერი და სულიერი დახმარება აღმოუჩინოს ამხანაგობის წევრებს. ასეთი დახმარება აღმოეჩინება წევრებს საერთო, ამხანაგური მოქმედებით და მოღვაწეობით. თითოეულ წევრს ამხანაგობისას აქვს მხოლოდ ერთი ხმა. ამხანაგობის დაარსებისათვის არ არის საჭირო მთავრობის ნებართვა. ამხანაგობის დამაარსებელნი ვალდებულნი არიან წარუდგინონ წესდება ოლქის სასამართლოს ადმინისტრაციულ განყოფილებას. თუ წესდება არ ეწინააღმდეგება კოოპერატიულ კანონს, სასამართლო ვალდებული არის ერთი თვის განმავლობაში შეიტანოს ამხანაგობა საგანგებო სიაში. კოოპერატიული კანონი შეიცავს ზოგად დებულებებს. კოოპერატივის მოქმედების ფარგლები თანახმად კანონის ძირითადი დებულებისა უნდა იქნეს შემუშავებული ამხანაგობის წესდებაში.

კოოპერატიული კანონი რევოლუციის შემდეგ გავრცელებული იყო საქართველოზედაც. 1919 წ. 23 მაისს ამიერ კავკასიის მომხმარებელ კოოპერატივთა წარმომადგენლების ყრილობაზედ 1917 წ. 26 მარტის კოოპერატიული კანონი რუსეთის დროებითი მთავრობისა იყო გადამუშავებული ადგილობრივი პირობების მიხედვით. ძირითადი დებულებანი კანონისა არ იყო შეცვლილი და სრულიად მიღებულ იქნა. წერილობანი შესწორებანი ზე დამატებანი ყრილობის მიერ კანონის ძირითად დებულებას არ ცვლის. კანონის პროექტი ჯერ დამტკიცებული არ არის. იგი უნდა იქნეს დამტკიცებული კანონმდებლობითი წესით — დამფუძნებელი კრების მიერ. საქართველოში ჯერ მოქმედებს 1917 წ. 20 მარტის კანონი.

**3. კანონი კოოპერატივების რწმუნებულთა ყრილობების შესახებ.** 1917 წლ. 1 მარიაშობისთვის დროებითი მთავრობის მიერ გამოქვეყნებული იყო კანონი კოოპერატივების რწმუნებულთა ყრილობების შესახებ. ამ ყრილობების ვალდებულება არის: 1) დაცვა და წარმომადგენლობა კოოპერატივებისა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში; 2) კოოპერატივების რწმუნებულთა ყრილობას ევალება ყოველგვარი ხელმძღვანელობა კოოპერატივებისა, 3) კოოპერატიული ინსტიტუტების, სკოლების, წინგთ-საცავების, მუხეუმების, გამოფენების, ლექციების მოწყობა, წიგნების და ჟურნა-

ლების გამოცემა, კოოპერაციის შესახებ სტატისტიკური ცნობების შეკრეფა და დამუშავება. ყრილობები ირჩევს საბჭოს, რომელიც არის მუდმივი დაწესებულება, რომელსაც ევალება ზემო აღნიშნული საქმეების მოწყობა, ხელის შეწყობა, კოოპერატივების კულტურულ-განმანათლებელი მოღვაწეობის განვითარება.

1919 წ. 13—15 ენკენისთვის ამიერ კავკასიის კოოპერატივების რწმუნებულთა ყრილობამ გადაათვალიერა 1917 წ. კანონი და ძირითადი დებულებანი უცვლელად მიიღო შესწორება და დამატებანი შეეხება მხოლოდ ზოგიერთ მუხლებს; შესწორებანი და დამატებანი გამოწვეული არიან ადგილობრივი პირობებით. ყრილობამ აირჩია საბჭო, რომელიც იმყოფება თფილისში.

კოოპერატიული კანონი აღიარებს, რომ კოოპერაცია შეადგენს თვალსაჩინო ნაწილს ხალხის მეურნეობისას. კოოპერაცია განთავისუფლებული არის განსაკუთრებული ზედამხედველობისაგან. კოოპერაცია დამორჩილებული არის კანონს და ამ კანონით განისაზღვრება მთავრობის ზედამხედველობა და მეთვალყურეობა.

---

## ნაწილი VII.

### კოოპერაციის ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა.

1. კოოპერაციის ისტორიიდან. მომხმარებელი კოოპერატივები პირველად გაჩნდნენ ინგლისში. პირველი მომხმარებელი საძოგადოება დაარსდა 1844 წ. ჩრდილო ინგლისის პატარა ქალაქში როჩდელში. საზოგადოების დამფუძნებელნი იყვნენ საქსოვ ქარხნების მუშები.

საკრედიტო კოოპერაცია დაიბადა გერმანიაში. კოოპერაციის სათავეში იდგნენ ვ. ვ. რაიფეიზენი (დაიბადა 1818 წ.) და რ. ვ. შულცე-დელიჩი (დაიბადა 1808 წ.). რაიფეიზენი მოღვაწეობდა გერმანიის ჩრდილო და დასავლეთ ნაწილში. მან დაარსა საკრედიტო კოოპერატივები. შულცე-დელიჩი მოღვაწეობდა დასავლეთ გერმანიაში გერმანიის ხელოსანთა შორის. მან შექმნა შემნახველ-გამსესხებელი კოოპერატივები, რაიფეიზენი იმ აზრისა იყო, რომ კოოპერატივებში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს წევრების საპაიო გადასახადებს; საკრედიტო კოოპერატივების ძლიერების საფუძველი არის ის უძრავი ქონება, განსაკუთრებით მიწები, რომელიც ეკუთვნის კოოპერატივების წევრებს. მისი აზრით, კოოპერაცია უნდა დაეხმაროს მშრომელ ხალხს და ხელი შეუწყოს მისი მეურნეო-

ბის გაუმჯობესებას, წინმსვლელობას. შულცე-დელიჩი კი ფიქრობდა, რომ წევრების პაიებს აქვს უდიდესი მნიშვნელობა კოოპერატივებში. კოოპერაცია უნდა დაეხმაროს და გააძლიეროს მშრომელი ხალხის მეურნეობა. ამ საკითხში იგი ეთანხმება რაიფეიზენს, მხოლოდ შულცე-დელიჩი ამტკიცებს, რომ კოოპერაციას აღმზღველობითი მნიშვნელობაც აქვს.

**2. კოოპერაცია რუსეთში.** კოოპერაცია რუსეთში დაიწყო ბატონ-ყობის გაუქმების შემდეგ, კოოპერაციის სათავეში დადგა რუსეთის ინტელიგენცია. 1865 წ. 22 ოქტომბერს დამტკიცებული იქნა წესდება პირველი შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობისა. პირველი საკრედიტო ამხანაგობა დაარსებული იყო ძმები ს. ფ. (1838—1866 წ.) და ვ. ფ. ლუგინინების (1834—1911 წ.) მიერ.

პირველი მოღვაწენი რუსეთში მომხმარებელ კოოპერაციაში იყვნენ: ნ. პ. ბალინი და ვ. ს. კოზლოვი.

პირველი მოძღვარნი კოოპერაციისა და მუშაკნი რუსეთში: ა. ი. ვასილჩიკოვი, ა. ვ. იაკოვლევნი, ნ. პ. კოლიუპანოვი, პ. ა. სოკოლოვსკი.

**3. კოოპერაციის განვითარება რუსეთში.** 1905 წლ. კოოპერაცია რუსეთში იყო ძლიერ სუსტი და თითქმის არავითარი გავლენა ხალხის მეურ-

ნეობაზედ მას არა ქონდა. ხალხს არ ესმოდა კოლოპერაციის მნიშვნელობა. კოლოპერაციის მოღვაწენი იყვნენ ინტელიგენციის წარმომადგენელი, 1905 წ. იაპონიასთან ომში დამარცხების შემდეგ, როდესაც გამოიჩინა რუსეთის მთავრობის უსუსურობა, რუსეთში დაიწყო დიდი მოძრაობა, მოხდა პირველი რევოლუცია. ხალხმა გამოიღვიძა, შეიგნო თავისი მდგომარეობა. მთავრობის იმედები გაცრუებულ იქნა, და ხალხმა მოისურვა თავისი შემოქმედებით ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. ხალხი მიიმართა თვით მოქმედებისაკენ და კოლოპერაცია ცნობილ იქნა ისეთი ძალად, რომელსაც შეეძლო ხალხის მეურნეობის აღორძინება. მთავრობამაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საკრედიტო კოლოპერაციას. 1904 წლის 7 ივანობისთვის გამოვიდა კანონი წვრილ კრედიტის შესახებ. მთავრობა ნივთიერ დახმარებას უჩინს საკრედიტო კოლოპერაციას. მთავრობის აზრი იყო საკრედიტო კოლოპერაციის საშუალებით შეექმნა და გაეძლიერებია გლეხების მეურნეობა, რათა სოფლად შექმნილი ყოფილიყო ნივთიერად ძლიერი გლეხობა. ასეთ ნივთიერად ძლიერ გლეხობას დაეყრდნობოდა მთავრობა, ვინაიდან მთავრობის აზრით შეძლებული გლეხობა წინააღმდეგი იქნებოდა რევოლუციისაკენ ყოველგვარ მოწოდების და დაიცავდა სახელმწიფოში წეს-რიგს და მყუდროებას.

მთავრობა მთავრობას უწევდა საკრედიტო კოოპერატივებს, მხოლოდ კოოპერატივების კავშირების დაარსებას ეწინააღმდეგებოდა, რადგან ეწინააღმდეგებოდა, რომ შეერთებული, შეჯგუფებული კოოპერატივები, როგორც ძლიერი დაწესებულებანი, არ გადაქცეულიყვნენ მთავრობის მოწინააღმდეგეთ. რუსეთის მთავრობა თავის თავს ეწინააღმდეგებოდა. საკრედიტო კოოპერაციას დახმარებას უწევდა, მაგრამ კავშირების, რომლებსაც კოოპერაციის ძლიერება უნდა განემტკიცებია, ეწინააღმდეგებოდა და იმათ დაარსებას ძლიერ აძნელებდა.

მომხმარებელ კოოპერაციას რუსეთის მთავრობა სრულებით არ სწყალობდა. მომხმარებელი კოოპერაცია აერთიანებდა განსაკუთრებით მშრომელ ხალხს, მუშას ქალაქათ, გლეხს სოფლათ. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მთავრობამ ქალაქის მომხმარებელ კოოპერაციას. მთავრობას ეწინააღმდეგებოდა, რომ მომხმარებელი კოოპერაცია შეაერთებს მუშებს, შეერთებული მშრომელი კი ძალას წარმოადგენდა და წინააღმდეგობას გაუწევდა. ერთში მართალი იყო მთავრობა, რომ კოოპერაცია საერთოდ და მომხმარებელი კოოპერაცია კერძოდ ვადიქცა ძალათ, რომელიც თავს უყრიდა გაფანტულ მშრომელთ. კოოპერაცია იყო ერთად ერთი დაწესებულება, სადაც შესაძლებელი იყო დაუმალავად მუშაობა და

ორგანიზაცია. კოოპერატივების რიცხვი შემდეგი იყო რუსეთში:

წლები	საკრედი- ტო კოო- პერატი- ვები	მომხმარე- ბელი კოო- პერატი- ვები	სასოფლო სამეურნეო ამხანაგო- ბანი	სასოფლო სამეურნეო საზოგა- დოებანი	ს უ ლ
1871	12	61	—	21	94
1906	1.629	1172	83	584	3.468
1914	13.031	10.080	1379	4.707	29.197
1915	14.500	11.000	1800	5.000	32.306

კაპიტალები, რომლებიც კოოპერატივებში ტრი-  
ალებდა 1914 წ. 1 იანვრამდე ერთ მილიარდ მანეთს  
აღემატებოდა. ეს თანხები იყო განსაკუთრებით  
მშრომელი ხალხის ფულები შეგროვებული კოოპე-  
რატივებში.

ომიანობამ კოოპერატიული მოძრაობა გააძლი-  
ერა. ცხოვრების გაძვირებამ, ეკონომიური წეს-წყო-  
ბილების არევ-დარევამ მიიზიდა ხალხი კოოპერა-  
ტივებში; ხალხი, განსაკუთრებით მშრომელი, თავ-  
შესაფარს კოოპერატივებში ეძებს. კოოპერაციამ  
იტვირთა არეული წეს-წყობილების მოწესრიგება და  
დიდი მუშაობაც დასდო ამ დარგში და თვალსაჩი-  
ნოთ შეამცირა ცხოვრების პირობები.

ამ მიზეზების გამო ომიანობის დროს კოოპე-  
რაცია რუსეთში ძლიერ გაიზარდა. 1915 წლის 15

იანვარს ირიცხებოდა სულ 35,200 კოოპერატივი, 1918 წ. 1 იანვარს—54,400 კოოპერატივი. კოოპერატივების რიცხვს მიემატა—19,200 ანუ 55<sup>0</sup>/<sub>0</sub>. განსაკუთრებით დიდი ზრდა ეტყობა მომხმარებელ კოოპერატივებს. 1915 წლ. 1 იანვრიდან 1918 წლ. 1 იანვრამდე მოემატა 14.100 კოოპერატივი რაც შეადგენს 130,0<sup>0</sup>/<sub>0</sub>.

1918 წლ. 1 იანვარს მომხმარებელი კოოპერატივები ემსახურებოდა, 50 მილიონ მცხოვრებლებს, ე. ი. ბითქმის  $\frac{1}{3}$  მთელი რუსეთის მცხოვრებლებისა შემოკრებილი იყო კოოპერატივებში. მომხმარებელ კოოპერატივებში და მათი კავშირებში დატრიალებული იყო 6 მილიარდ მანეთზედ მეტი.

რუსეთში მომხმარებელი კოოპერატივის სათავეში იდგა რუსეთის მომხმარებელ კოოპერატივთა ცენტრალური კავშირი დაარსებული 1896—1898 წ.წ. პირველ ხანებში კავშირის წევრათ ირიცხებოდა 18 საზოგადოება 1918 წლ. 1 იანვარს 3317 საზოგადოება. 1899 წ. კავშირმა მიყიდა მოკავშირე საზოგადოებებს 31,3 ათასი მანეთის ღირებულების საქონელი, მხოლოდ 1917 წ.—210,571 ათასი მანეთის ღირებულების. კავშირმა მოაწყო მრავალგვარი საკუთარი წარმოება.

საკრედიტო კოოპერაციის სათავეში იდგა „სრულად რუსეთის ცენტრალური კოოპერატიული ბანკი“ ბანკის მოქმედება დაიწყო 1912 წ. 15

ივლის 1912 წ. ბანკის ძირითადი თანხა შეადგენდა 35 მილიონ მანეთს. 1917 წ. პირველ იანვარს ბანკის ბალანსი უდრიდა 321 მილიონ მანეთს, 1918 წლ. 1 ნოემბერს 1,283,000 მანეთს. ბალანსი სამჯერ გაიზარდა.

4. **კოოპერაცია ამიერ-კავკასიაში.** მომხმარებელი კოოპერაციის განვითარება ამიერ-კავკასიაში ძლიერ სუსტი იყო. ომის დაწყებამდე მომხმარებელი კოოპერატივები ცოტა იყო და თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ ქონდა ხალხის ცხოვრებაში. უფრო ძლიერი იყო საკრედიტო კოოპერაციის განვითარება 1905 წლის შემდეგ, როდესაც ხალხის ცხოვრება ძირიანად შეიცვალა, პირველი რევოლუცია დამარცხდა, ხალხი სასტიკათ იყო დასჯილი, ცეცხლითა და მახვილით გაანადგურეს რუსეთის სარდლებმა ამიერ-კავკასიის სოფლები და ქალაქები. ხალხი თითქოს მიჩუმდა, მხოლოდ შეიგნო, რომ მთავრობა არ არის ხალხის ბედზე მზრუნველი, ამიტომ თითონ უნდა შეუდგეს თავის ბედ-იღბალის შენებას. ხალხის შეგნებამ გადატანილი ქარტახილის შემდეგ ძლიერ წაიწია წინ. ამ შეგნების გაღვიძებამ გამოიწვია კოოპერატივების, განსაკუთრებით საკრედიტო კოოპერატივების მშენებლობა. ამიერ-კავკასიაში სოფელი დვთის ბნაბარათ იყო დატოვებული. არ იყო ერობა, არ იყო ხალხის მეურნეობასთან დაახლოვებული ხელმძღვანელი დაწესებულება. რუ-

სეთის მთავრობის მიერ დაგზავნილ მოხელეებმა, რომლებმაც არ იცოდენ ენა იმ ხალხისა, რომელსაც თითქოს ემსახურებოდენ, ვერ შეიგნეს ხალხის მოთხოვნილება. ხალხსა და ამ მოხელეთა შორის მუდმივი უთანხმოება და გაუგებრობა იყო. მოხელენი იყვნენ უცხოელნი, მოსულნი და ხალხის სულის კვეთება მათთვის სრულიად გაუგებარი იყო. ხალხს არც საკმარისი განათლება ჰქონდა. ხალხის განათლებაზედ დიდი მზრუნველობა რუსეთის მთავრობამ არ გამოიჩინა. კოოპერაციის განვითარებას ასეთი პირობები ხელს უშლიდენ. ხალხი თითონ ჩაება თავის ბედის შენებაში. განსაკუთრებულ გაჭირებაში იყო სოფლის მეურნე, მიტოვებული, დავიწყებული. საკრედიტო კოოპერაციამ დიდი ნადაგი მოიპოვა სოფლად და მას განვითარების საფუძველიც დაედო. მომხმარებელი კოოპერაცია ძლიერ სუსტი იყო. 1912 წ. მომხმარებელი საზოგადოების რიცხვი ძლიერ მცირე იყო. ბაქოს გუბერნიაში ითვლებოდა—9 საზოგადოება, თფილისის—6, დანარჩენ ნაწილებში ამიერ-კავკასიისა—ორ-ორი საზოგადოება.

საკრედიტო კოოპერაცია უფრო გაძლიერებული იყო. ის გაძლიერდა 1905 წლიდან. საკრედიტო კოოპერატივების ზრდის მაჩვენებელი არის შემდეგი ცხრილი:

თითველ კოოპერატივზედ მოდიოდა:

ელიზავეტპოლის გუბერნიაში.	879	ათასი სული
თფილისის	242	„ „
სოხუმის ოლქში	106	„ „
ბაქოს გობერნიაში	102	„ „
ერევნის	55	„ „
ბათუმის	37	„ „
ქუთაისის	22	„ „

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ ქუთაისის და თფილისის გუბერნიაში უფრო კარგად იყო მოწყობილი საკრედიტო კოოპერატივები.

### 5. კოოპერაციის დასაწყისი საქართველოში

საქართველოში პირველი კოოპერატივები გაჩნდა 70-წლებში. სოფლის ინტელიგენცია ჩაუდგა სათავეში კოოპერაციას. პირველი კოოპერატივები დაარსებული იყო ქუთაისის გუბერნიაში. ეს იყო შემნახველ-გამასესხებელი კოოპერატივები: 1. გოჩა-ჯიხაიშის (1876 წ.), 2. ოზურგეთის (1878 წ.) 3. ბახვის (1880 წ.), 4. ახალ-სენაკის (1881 წ.), 5. კუხის და გუბის (1884 წ.), 6. დიდი ჯიხაიშის (1881 წ.). დანარჩენი საკრედიტო-კოოპერატივებზე დაარსებული იყო 1896 წლის შემდეგ, უდიდესი ნაწილი კოოპერატივებისა დაარსებული იყვნენ 1905 წლის შემდეგ, როდესაც გაძლიერდა კოოპერატიული მოძრაობა რუსეთში და საქართველოში, როგორც მაშინდელ რუსეთის ნაწილში.

ყველა ის პირველი კოოპერატივები დღემდე მოქმედებენ ქუთაისის გუბერნიაში. თფილისის გუბერნიაში არ გადარჩა არც ერთი კოოპერატივი, დაარსებული მე 70 და 80 წლებში.

კოოპერატივებთან ერთად მე 70 წლებში გასული საუკუნის ადგილობრივი ინტელიგენცია შეუდგა სოფლის ბანკების დაარსებას თფილისის და ქუთაისის გუბერნიაში. არც ერთი სოფლის ბანკი არ გადარჩა და დიდი ხანია რაც მათი მოქმედება შეწყვეტილი არის. კოოპერატიული მოძრაობა საქართველოში ძლიერდება 1905 წლის შემდეგ. კოოპერატივების რიცხვი ნელ-ნელ იზრდება. უმთავრესათ ეს იყო მოძრაობა საკრედიტო კოოპერაციაში, კოოპერატივების გამრავლებას ხელს უწყობდა ორი უმთავრესი მიზეზი, რომლებმაც თავი იჩინა იმ დიდ მოძრაობის შემდეგ, რომელიც დაიწყო რუსეთში და საქართველოში მე 20-ე საუკუნის დასაწყისში და განსაკუთრებით 1905 წლის შემდეგ. რომიანობამდე უმთავრესათ ფეხი მოიკიდა საკრედიტო კოოპერაციაში. მთავრობა ერთგვარ დახმარებას უწევდა საკრედიტო კოოპერაციას. ინსპექცია წვრილი კრედიტისა თანახმად 1904 წ. 7 ივნისის კანონისა ხელმძღვანელობას უწევდა საკრედიტო კოოპერატივების დაარსებას. მთავრობა ნივთიერ დახმარებას აძლევდა კ—ებს სამაგიეროთ ის შეთვალყურეობასაც ეწეოდა ინსპექციის საშუალებით. ამიტომ თავისუფალი და დამო-

უკიდებელი განვითარება საკრედიტო კოოპერაციის გაძნელებული იყო. მიუხედავად ამისა საკრედიტო კოოპერაციას განვითარება ეტყობა.

ომიანობამდე საკრედიტო კოოპერაციის განვითარება ნელა მიმდინარეობდა: საკრედიტო კოოპერაციის განვითარების მაჩვენებელი არის შემდეგი ცხრილი:

გუბერნიები \ წლები	1905	1907	1909	1911	1914	1915	1917	სულ
ქუთაისის . . . . .	22	16	16	13	110	135	172	513
თბილისის . . . . .	—	2	5	22	11	—	150	161
ბათუმის . . . . .	—	—	2	3	11	11	—	27
სოხუმის . . . . .	—	—	1	6	24	28	46	115
სულ . . . . .	22	18	24	44	156	184	368	816

საკრედიტო კოოპერაციას 1905—1917 წლ. დიდი ზრდა ეტყობა. საკრედიტო კოოპერაციის ზრდას თუ პროცენტებში გამოვხატავთ, შემდეგს მივიღებთ:

ქუთაისის გეუბერნია	+491 = 2231,8%
თბილისის „	+159 = 7950,0%
ბათუმის „	+25 = 1250%
სოხუმის „	+114 = 11400,0%

ამიერ-კავკასიაში +794 = 3609%

6. საკრედიტო კოოპერაცია. საკრედიტო კოოპერაცია განსაკუთრებით ომიანობამ გააძლიერა.

ომიანობამ ძირიანათ შეარყია არსებული ეკონომიური წესწყობილება. ცხოვრების გაძვირება, სპეკულიაცია, ომის მიერ გამოწვეული აუტანელი ცხოვრების პირობები უმთავრესათ დააწვა მშრომელ ხალხს, რომელიც თავშესაფარს ეძებს კოლოპერაციაში. ხალხმა დაჰკარგა ყოველგვარი იმედები, მას არ სჯეროდა მთავრობის, ხსნას ელოდა ამხანაგობაში, ურთიერთშორის დახმარებაში და მიმართავდა კოლოპერატივებს. ამიერ-კავკასიაში დიდ-ძალი კოლოპერატივები იყო დაარსებული ომიანობის დროს. 1915 წელს ირიცხებოდა 184 კოლოპერატივი, 1917 წ. 816, მომატება შეადგენს—632 კოლოპერატ., ანუ 343,4<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ს.

საკრედიტო კოლოპერატივების მუშაობა რევოლიუციის შემდეგ ძლიერ შეფერხდა. რევოლიუციამ და მის შემდეგ ცხოვრების არევ-დარევამ დიდი გავლენა იქონია საკრედიტო კოლოპერაციაზედ. კოლოპერაცია დარჩა ფითქმის უპატრონოდ. ხელმძღვანელები მას ჩამოშორდა, ნივთიერი დახმარება მოაკლდა, საკრედიტო კოლოპერატივების მოქმედება შეჩერდა. საკრედიტო კოლოპერატივების მუშაობას გავეცნობით, თუ გადავათვალიერებთ 94 ამხანაგობის ბალანსს 1917 წ. 94 ამხანაგობაში ტრიალებდა 3,414,321 მ. საკუთარი თანხები შეადგენდა 177,282 მ. ანუ 5,2<sup>0</sup>/<sub>0</sub>. მთელი თანხებისას; სესხი—1,023,720 მ. ანუ 29,4<sup>0</sup>/<sub>0</sub>; მიბარებული თანხები (ანაბარი), 1,742,624—51,0<sup>0</sup>/<sub>0</sub>; გაცემული სესხი—2,377,931 მან.—69,3<sup>0</sup>/<sub>0</sub>. თუ

წინანდელ წლებს შევადარებთ, ვნახავთ: 1905 წ. სესხი თითო ამხანაგობაზედ მოდიოდა 460 მან. ანუ 63,1<sup>0</sup>/<sub>0</sub> მთელი ბალანსისა, ანუ იმ თანხებისა, რომელიც ამხანაგობებში ტრიალებდა; 1915 წ. — 4500 მან. — 59,6<sup>0</sup>/<sub>0</sub>; 1917 წ. — 1089 მან. — 29,9<sup>0</sup>/<sub>0</sub>. ეს იმას ნიშნავს, რომ საკრედიტო ამხანაგობანი ნელ-ნელა განთავისუფლდენ დავალიანებისაგან და ცდილობდენ საქმის წარმოებას მიბარებული თანხებით, რომლებიც თანდათან იზრდებოდნენ. ომის დაწყებამდე ამხანაგობანი კარგათ მოღონიერდენ, და იმდენი მოთხოვნილება აღარ ჰქონდათ ნასესხებ ფულებში. საკრედიტო ამხანაგობების განვითარება სხვათა შორის გამოიხატება მიმდინარე ანგარიშების გაზრდაში; 1917 წ. მიმდინარე ანგარიშებზედ ინახებოდა 51,0<sup>0</sup>/<sub>0</sub> მთელი თანხებისა. საკრედიტო კოოპერაციამ დიდწილობა მოიხვეჭა ხალხში. თავისუფალი თანხები ხალხს თამამად შეჰქონდა საკრედიტო ამხანაგობებში. ამ თანხებს ამხანაგობები იმავე ხალხს ახმარებდა, გაცემული სესხი შეადგენს 69,3<sup>0</sup>/<sub>0</sub>. უმთავრესი ნაწილი თანხებისა გაცემული იყო და მოხმარდა მშრომელთა შეურნეობას. საკუთარი თანხები ძლიერ მცირე ნაწილს შეადგენს მთელი ბალანსისას, 5,2<sup>0</sup>/<sub>0</sub>. საკრედიტო ამხანაგობების მოქმედება რევოლუციის შემდეგ შეჩერდა. არ არის არც შესაფერი ზედამხედველობა, არც ნივთიერი დახმარება. ერთიც ზმეორეც ძლიერ საჭიროა ეხლა, როდესაც საქართველოს დემოკრა-

ტიული რესპუბლიკა შეუდგა თავის სახელმწიფოს შენებას. ეხლა ძლიერ დიდი სამოქმედო ასპარეზი არის. საქართველო უხვათ არის დაჯილდოვებული ბუნებით. მხოლოდ საქართველოში არ არის მრეწველობა და მეურნეობა განვითარებული. ხალხის ცხოვრების ნივთიერი განმტკიცებისათვის აუცილებელი საჭიროებაა მრეწველობის შექმნა და განვითარება. განსაკუთრებული მნიშვნელობა კი აქვს სახალხო მეურნეობას, რადგან მრეწველობის დაფუძნებას დასჭირდება დიდი დრო და თანხები. ამისათვის აუცილებელი მოთხოვნილება არის საკრედიტო კოოპერაციის აღორძინება. ამიტომ საჭიროა ნივთიერი დახმარება და ხელმძღვანელობა. ნივთიერ დახმარებას ოდნავ ხელმძღვანელობას უწევს აღმოსავლეთ საქართველოში საკრედიტო ამხანაგობებს კახეთის საკრედიტო ამხანაგობების კავშირი, დასავლეთ საქართველოში — დასავლეთ საქართველოს საკრედიტო ამხანაგობების კავშირი, დაარსებული 1919 წ. ორივე კავშირი ეხმარება და აერთებს საქართველოს საკრედიტო კოოპერაციას. მხოლოდ კავშირებიც ნივთიერათ ძლიერნი არ არიან და სათანადო დახმარებას ვერ უწევენ საკრედიტო კოოპერაციას, რომ მან ხელი შეუწყოს მშრომელ ხალხის მეურნეობის გაუმჯობესებას, რომელიც ჯერ-ჯერობით ერთადერთი საფუძველი არის საქართველოს რესპუბლიკის ძლიერებისა და ნივთიერი სიმტკიცისა.

7. მომხმარებელი კოოპერაცია. მომხმარებელი კოოპერაციის განვითარება ძლიერ ჩამორჩება საკრედიტო კოოპერაციის განვითარებას. ასეთი მდგომარეობა იყო ომიანობამდე. მომხმარებელი კოოპერაციის განვითარებას ხელს უშლიდა სხვათა შორის მთავრობის პოლიტიკა. მთავრობა ხელს უწყობდა საკრედიტო კოოპერაციას. მთავრობის აზრი იყო დახმარება აღმოეჩინა სოფლის მეურნეების ნივთიერთ ძლიერი ნაწილისათვის. წვრილი კრედიტით სარგებლობა შეეძლო მხოლოდ იმ ნაწილს სოფლის მეურნეებისას, რომელსაც რაიმე ნივთიერი შეძლება ჰქონდა. უმიწა-წყლო, ან მცირე მიწა-წყლიან გლეხობას საშუალება არ ჰქონდა კრედიტით ესარგებლა. საქართველოშიც მთავრობა ზრუნავდა სოფლის მეურნეების ძლიერი ნაწილების გაძლიერებაზედ, რათა მათზედ დაყრდნობოდა. მომხმარებელი კოოპერაცია აკავშირებს მშრომელთა ღარიბ ნაწილს, ეხმარება სოფლის და ქალაქის მუშას განურჩევლად მისი ნივთიერი მდგომარეობისა. რუსეთის მთავრობას შიში ჰქონდა მომხმარებელი საზოგადოებისა, რომელიც თავს შეუყრიდა, შეაკავშირებდა მუშებს. განსაკუთრებული ყურადღება მთავრობისა მიქცეული იყო ქალაქების მომხმარებელ საზოგადოებებზე. მთავრობა დიდ ზედამხედველობას ღ თვალყურს ადევნებდა მათ და მათ მოქმედებას ძლიერ აფერხებდა. გარდა ამისა ცხოვრების პირობები

ისეთი იყო, ხალხი იმდენად არ იყო შეგნებული, რომ მომხმარებელ კოოპერაციას საქართველოში ფეხი მოეკიდა.

სრულიად შეიცვალა მდგომარეობა ომის დაწყების შემდეგ: ომიანობამ ძირიანად შესცვალა ცხოვრების პირობები. არსებული წეს-წყობილება შეირყა. რუსეთის ეკონომიური აგებულება ისეთი უსუსური გამოდგა, რომ ვერ აიტანა საშინელი შეტაკება და დაინგრა. შიმშილი, სიცივე, აუტანელი სიძვირე, სპეკულიაცია მთელი თავისი სიმძიმით დაატყდა მშრომელ ხალხს. რუსეთის მთავრობა იმდენათ მოუმზადებელი შეიქნა, იმდენად უსუსური გამოდგა, რომ ვერ სძლია რთულ საკითხებს, ვერ მოაწყო სურსათის და უსაჭიროესი ნივთების ხალხისათვის მიწოდება. ხალხს გული გაუტყდა, ყოველგვარი იმედები მას გაუცრუვდა. ხალხი გამოსავალს ელის თვით მოქმედებაში, ამხანაგურ შეკავშირებაში, და თავშესაფარს ეძებს კოოპერატივებში. მთავრობამ იგრძნო ოდნავ თავისი სისუსტე და მაინცა და მაინც ხელს არ უშლიდა მომხმარებელი კოოპერატივების დაარსებას. საყურადღებო არის შემდეგი მოვლენა: რამდენათაც გრძელდებოდა ომიანობა, იმდენათ ინგრეოდა ეკონომიური წეს-წყობილება, იმდენათ აუტანელი შეიქნა ცხოვრება, და იმდენათ იზრდებოდა კოოპერატივების რიცხვი, იმდენათ მეტი ხალხი მიეშურებოდა კოოპერატივებისაკენ.

ომიანობამდე ირიცხებოდა რამოდენიმე მომხმარებელი კოოპერატივი; 1917 წ. თფილისის და ქუთაისის გუბერნიაში უკვე მოქმედებდა 515 კოოპერატივი, ერთი წლის განმავლობაში კოოპერატივების რიცხვის ზრდა შეადგენს 33,5% \*)

1918 წ. 1 იანვრისთვის კოოპერატივები აკავშირებდნენ 260.612 ოჯახს; თითოეულ ოჯახში თუ მივიღებთ საშუალოდ ოთხ სულს, კოოპერატივები აკავშირებდა დაახლოვებით 1.042.448 სულს, ანუ ქუთაისის და თფილისის გუბერნიებში საერთო მცხოვრებლების 41,9%/. ეს ცნობები იმის მაჩვენებელია, რომ მომხმარებელმა კოოპერაციამ მტკიცე ნიადაგი მოიპოვა, ხალხს დაუახლოვდა და გარშემო შემოიკრიბა. თითოეული ამხანაგობის წევრთა რიცხვი ერთნაირი არ არის. უმცირესი რიცხვი წევრებისა 66 ირიცხებოდა ატანის კოოპერატივში (ბორჩალოს მაზ.), უმრავლესი — 10685 თფილისის „აღორძინებაში“. საერთოდ ორივე გუბერნიაში საშუალოდ კოოპერატივში ითვლებოდა 506 წევრი. თფილისის გუბერნიის კოოპერატივებში საშუალოდ 656 წევრი ითვლება, ქუთაისის 396. კოოპერატივების და მათი წევრთა რიცხვი წლიდან წლამდე მა-

---

\*) მომხმარებელი კოოპერატივების სტატისტიკა არ იყო საქართველოში. ზემო მოყვანილი ცნობები შეეხება იმ კოოპერატივებს, რომლებიც შედიოდნენ წევრებათ ამიერ კავკასიის მომხმარებელ კოოპერატივთა კავშირში. ამ კავშირში ბრეტქმის ყველა კოოპერატივი ირიცხებოდა. მაშასადამე ეს ცნობები თითქმის მთელი საქართველოს მომხმარებელ კოოპერაციას ახასიათებს.

ტულობს, მაშასადამე მომხმარებელი კოოპერაცია წლი-  
დან წლამდე იზრდება ახალ ახალ ფესვებს ჰყრის ხალხის  
ცხოვრებაში. მომხმარებელმა კოოპერაციამ დიდი გავ-  
ლენა მოიპოვა კოოპერატივების რიცხვი ისე არ  
იზრდება როგორც ომის დროს. ეს მოვლენა იმით  
აიხსნება, რომ უკვე დიდი ქსელი კოოპერატივებისა  
არის გაბმული, კოოპერატივებმა შეკრიბა პირველ  
ხანებში უმრავლესობა. მომხმარებელი კოოპერაციის  
განვითარებაში ორი საფეხური არის. პირველ ხანებში  
ხალხი მიაწყდა კოოპერაციას, ეხლა კი კოოპერატი-  
ვების რიცხვი და რიცხვი წევრებისა კოოპერატივებში  
უფრო წყნარათ იზრდება, უფრო ნელა და მწყობ-  
რათ. ქსელი კოოპერატივების თითქმის დამთავ-  
რებული არის და კოოპერატივების განვითარება  
უფრო წყობრად მიდის. ეხლა საჭიროა ხელის  
შეწყობა, შესწორება ამ ქსელისა, რათა კოოპე-  
რატივები მოეფინოს სახელმწიფოს მწყობრად და  
თანაბრად. ნივთიერი მდგომარეობა კოოპერატივე-  
ბისა 1918 წლ. 1 იანვრისათვის იყო ასეთი. სულ  
კოოპერატივებში ტრიალებდა 6.716.141 მან. ამ  
თანხიდან საპაიო თანხა იყო 1.767.601 მან. ანუ  
26,3<sup>0</sup>/<sub>0</sub>, საწევრო და სათადარიგო 369.437 მან.  
ანუ 5,5<sup>0</sup>/<sub>0</sub>; ვალი, მიბარებული და სხვა თანხები  
2.960.698 მან.—ანუ 41,1<sup>0</sup>/<sub>0</sub>. ამ თანხების შედა-  
რება ძირიერ საყურადღებო არის. ჯერ-ჯერობით  
მომხმარებელი კოოპერატივები ნივთიერათ ვერ არიან

მოლონიერებულნი: საკუთარი თანხები შეადგენს მთელი ბალანსის  $31,8\%$ ; ნასესხი თანხები, ვალები  $44,1\%$ . ეს ნიშნავს იმას, რომ მომხმარებელი კოოპერატივები განსაკუთრებით ნასესხი ფულით მუშაობენ, საკუთარი თანხები კი შედარებით მცირე არის. ასეთი მდგომარეობა აძნელებს კოოპერატივების მუშაობას, ისინი დამოკიდებულნი არიან ნასესხი ფულიდან, და მისი ტრიალი ვერ სწარმოებს თავისუფლად. მომხმარებელი კოოპერატივები ჯერ-ჯერობით ახალგაზრდა და წესებულეზანი არიან. მოკლე ხანში კი ვერ მოასწრეს საკუთარი თანხების გაძლიერება. მომავალში. მთელი ყურადღება უნდა იქნეს მიმართული საკუთარი თანხების გაძლიერებისაკენ. მცირე არის აგრეთვე კოოპერატივების უძრავი და მოძრავი ქონება. მთელ-ბალანსთან შედარებით ქონების ღირებულება მცირეა—  $255.855$  მან., ანუ  $3,8\%$ . უდიდეს ნაწილს ბალანსისას შეადგენს კოოპერატივებში დაგროვებული საქონლის ღირებულება  $3.952.837$  მან. ანუ  $58,8\%$ . საქართველოს მომხმარებელი კოოპერაცია ახალგაზრდა არის, მისი ნივთიერი მდგომარეობა მხოლოდ ეხლა ეწყობა. აღსანიშნავია ის, რომ არსებული კოოპერატივები საღ ნიადაგზედ არიან და აუცილებელი საჭიროება არის ხელმძღვანელობა, ხელის მომართვა და ნივთიერი გაძლიერება.

**8. სარაიონო კოოპერატიული კავშირები.**  
თითოეული მომხმარებელი საზოგადოება ძლიერ სუსტი

იყო ნივთიერათ და მუშაობა შეზღუდული იყო იმ  
ძალებით და თანხებით, რომელიც თითოეულს ჰქონდა.  
გათანტული მომხმარებელი კოოპერატივები შეიკ-  
რიბა კავშირებში. რამდენიმე კოოპერატივები ერთი  
და იმავე რაიონისა შეერთდნენ, შექმნეს კავშირი.  
კოოპერატივები რაიონებათ დაკავშირდნენ, რადგან  
ამ დაკავშირებას ხელს უწყობდა ის, რომ ერთი და  
იმავე რაიონის ამხანაგობანი დაახლოვებით ერთნაირ  
პირობებში მოქმედებდნენ, ახლო იყვნენ ერთი მეო-  
რესთან. კავშირების შექმნამ გააძლიერა გათანტული  
ამხანაგობანი. ისინი შეიკრიბნენ, ნივთიერათ გაძ-  
ლიერდნენ, დაუახლოვდნენ ერთი მეორეს, შეიმუშა-  
ვეს კავშირების შემწეობით ერთნაირი გეგმა მოქმე-  
დებისა, და თვით მოქმედებას მიეცა გარკვეული  
ხასიათი.

სარაიონო კავშირების რიცხვი იყო 1919 წლ.  
1 იანვრისათვის ქუთაისის გუბერნიაში 11, თფი-  
ლისის—4, სულ 15, 7 ამ კავშირებისაგან დარსე-  
ბული იყო 1917 წ., 8—კი 1918 წ. სარაიონო  
კავშირები ჯერ ძლიერ ახალგაზდა დაწესებულებანი  
არიან, ჯერ ძნელია სავსებით დაფასება მათი მოქმე-  
დებისა და მნიშვნელობისა საქართველოს კოოპერაციის  
განვითარებისათვის. ამ სარაიონო კოოპერატივების  
ბალანსი 1919 წლ. 1 იანვრისათვის 13.216.600 მან.  
სარაიონო კავშირების საპაიო თანხა შეადგენდა  
297.894 მან.—2,2<sup>0</sup>/<sub>0</sub>, საწევრო, სათადარიგო და

სხვა თანხები 300 ათას მან.— $2,2\%$ ; სულ საკუთარი თანხები არ აღემატება— $4,5\%$ , ვალი, მიბარებული და სხვა ამგვარი თანხები 10.779.975-მდე— $81,5\%$ . სარაიონო კოოპერატივები ძლიერ სუსტნი არიან. საკუთარი თანხები მცირეა. მუშაობა სწარმოებს ნასესხები ფულებით. საკუთარი თანხებსა და ნასესხებ თანხებს შორის ძლიერ სუსტი დამოკიდებულება არის. ასეთი მდგომარეობა არ არის სასურველი. სარაიონო კავშირები მხოლოდ მაშინ იქნებიან მძლავრნი, როდესაც საკუთარი თანხების რაოდენობას გააძლიერებენ. სარაიონო კავშირები ჯერ იმდენათ ახალგაზდანი არიან, რომ საკუთარი თანხები ვერ დააგროვეს და აქით უნდა იქნეს მიმართული მთელი მათი ყურადღება. აღსანიშნავი არის მხოლოდ ის, რომ დაწყებისთანავე ვალებით და სხვისი ფულებით დაიწყეს მოქმედება. სარაიონო კოოპერატივებს არ აქვს გამაგრებული ზურგი, ამ მოკლე ხანში, რაც ისინი მოქმედებენ ეს არც იყო შესაძლებელი. კავშირების მოქმედების რაიონებში შეიცავენ 897 სოფელს. უმცირესი რაიონი მოქმედებისა არის 10 სოფელი—წყალტუბოს კავშირი, ქუთაისის მაზრაში და უმძლავრესი 437 დუშეთის, თფილისის მაზრაში. საშუალოთ თითოეულ კავშირის მოქმედების რაიონი არის 59 სოფელი. კავშირების მოქმედების რაიონი, რომლებიც შედის კავშირში, შესდგება 184.787 კომლისაგან, თითო კომლი რომ ვიანგარი-

შოთ ოთხი სულისაგან, კავშირის მოქმედების რაიონის მცხოვრებლების რიცხვი იქნება 739.948 სულისაგან. თითოეული კავშირი ემსახურება საშუალოთ 12319 კომლს ანუ 50.276 სულს. 15 სარაიონო კავშირში ჩაწერილიყო და წევრათ ირიცხებოდა 421 კოოპერატივი, თითოეულ კავშირში იყო წევრად 28 კოოპერატივი. თითოეული კავშირში წევრების რიცხვი იყო 8513.

სარაიონო კავშირებმა გაბნეული კოოპერატივები შეაგროვა, დაუახლოვა ერთმანეთს. სარაიონო კავშირების მნიშვნელობა უმთავრესათ იმაში გამოიხატება, რომ მათი შემწეობით შესაძლებელი შეიქნა მომხმარებელ კოოპერატივების ქსელის გაბმა წინასწარ შემუშავებული გეგმით. ადგილობრივ კოოპერატივებს მეთაური და ხელმძღვანელობაც აღმოუჩნდა.

**9. ამიერ-კავკასიის მომხმარებელ კოოპერატივების კავშირი.** თითოეული კოოპერატივი, განცალკევებული, ვერ მიაღწევს თავის მიზანს. თითოეულ კოოპერატივს არც საკმარისი თანხები აქვს, არც იმდენი გავლენა და ძალა, რომ ებრძოდოს გარეშე პირობებს. თითოეული განცალკევებული კოოპერატივი იმდენათ სუსტია და უძლიურია, რომ ვერ დაახწევს თავს უკიდურეს დამოკიდებულებას კერძო ვაჭრობისაგან და ვერ მოახდენს გავლენას ბაზარზედ.

კოოპერატივების ძლიერება არის ერთობაში, კავშირში. ეს მდგომარეობა შეიგნო ამიერ-კავკასიის მომხმარებელ კოოპერატივებმა. ომიანობის მიერ გამოწვეული გაჭივრებული პირობები ცხოვრებისა, ცხოვრების გაძვირება, როგორც შედეგი ეკონომიური წეს-წყობილების დანგრევისა, სპეკულიაცია, როგორც მისი შედეგი—გადაიქცა საერთო უბედურებათ. თითოეულმა კოოპერატივმა შეიგნო თავისი უძლურება და დაინახა, რომ ის გაფანტული და გაბნეული ვერას მიაღწევს, შეიგნო რომ ძალა არის ერთობაში, კავშირში. 1915 წ. კოოპერატივების მეთაურნი შეუდგენ სამზადისს კოოპერატივების კავშირის შექნისას. 1916 წ. 8 თებერვალს იყო დამტკიცებული წესდება „ამიერ-კავკასიის მომხმარებელ კოოპერატივთა კავშირის“. 14 მაისს 1916 წ. ქ. თფილისში გაიხსნა პირველი ყრილობა ამ კავშირის წევრების, ამიერ-კავკასიის მომხმარებელ კოოპერატივთა რწმუნებულებისა. ყრილობაზედ წარმოდგენილი იყო 120 კოოპერატივი. 11 ადმინისტრაციული ერთეულის: თფილისის, ერევნის, ქუთაისის, განჯის, შავი ზღვის პირის გუბერნიების, დაღესტნის, ყარსის, ბათუმის ზაქათალის და სოხუმის ოლქის მომხმარებელი კოოპერატივები შეადგენდენ ამიერ კავკასიის კავშირს. კოოპერატივები შემდეგი სახით იყვნენ წარმოდგენილნი:

ქუთაისის გუბერნია	76	წარმომადგენელი	63,4%
თფილისის	29	„	24,2%
ერევნის	8	„	6,6%
ბათუმის	3	„	2,6%
განჯის	2	„	1,6%
ყარსის	1	„	0,6%
ბაქოს	1	„	0,84%
	<b>120</b>		<b>100%</b>

ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის დაარსება იმის მაჩვენებელი იყო, რომ კოოპერაცია სწორ გზას დაადგა, რომ კოოპერაცია არის ჩვეულებრივი მოვლენა ხალხის ცხოვრებაში, აუცილებელი ნაწილი ხალხის მეურნეობისა.

**10. კოოპერაციის შენება.** საყურადღებო ის არის, რომ კოოპერატიული შენება ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში არ სწარმოებდა იმ სახით, რა სახით ეს საჭირო იყო. კოოპერატიული აღმშენებლობითი მუშაობა ზევდან დაიწყო. ჯერ უმაღლესი კავშირი მთელი კოოპერაციისა და შემდეგ ადგილობრივი კავშირები, სარაიონო კავშირები. ასეთი, ცოტა არ იყოს, უკუღმა მშენებლობა არ იყო და არ არის მისაღები. კოოპერატიული მშენებლობა ქვემოდან ზევით უნდა სწარმოებდეს. ეს იმიტომ კი არ მოხდა, რომ კოოპერატიული მოღვაწეობის ხელმძღვანელთ არ ესმოდათ, თუ რა გზით უნდა წასულიყო კოოპერატივების დაკავშირება. მიზეზი

რთული იყო და ამ მიზეზების შეცვლა არ შეეძლო კოოპერაციის ხელმძღვანელთ. რუსეთის მთავრობა მუდმივ წინააღმდეგი იყო კოოპერატივების კავშირების და განსაკუთრებით მომხმარებელ კოოპერატივებისა. ადგილობრივი სარაიონო კავშირები, დაახლოვებული მშრომელ ხალხთან, არ იყო მისაღები რუსეთის მთავრობისათვის. მთავრობას ეშინოდა, რომ ასეთი კავშირები გადიქცეოდა ბუდეთ, სადაც თავს მოიყრიდა დემოკრატიის წარმომადგენელი. ეს ასეც იყო. კოოპერატივები სწორეთ ისეთი საჭირო დაწესებულებანი იყვნენ, სადაც შესაძლებელი იყო მუშაობა ხალხში, ხალხთან დაახლოვება. ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რომელიც ხელს უშლიდა ქვემოდან კოოპერატივების შენებას. როდესაც დაარსდა ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირი და შეიცვალა პოლიტიკური პირობები, შესაძლებელი შეიქმნა სწორი გეგმით მოქმედება. ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის საშუალებით ორი წლის განმავლობაში გაიბა ადგილობრივი კოოპერატივების ქსელი და კოოპერატიული აღმშენებლობითი მუშაობა სწორ გზაზე დაადგა. სარაიონო კავშირები ადგილობრივ თავს უყრიან გაფანტულ კოოპერატივებს. ამ ადგილობრივ, პატარა კოოპერატივებსა და ამიერ-კავკასიის კავშირის შორის უკუამავალნი არიან სარაიონო კავშირები.

ამიერ-კავკასიის მომხმარებელ კოოპერატივთა

კავშირი შეიქმნა ხელმძღვანელი მთელი კოოპერაციისა ამიერ-კავკასიაში, მისი წარმომადგენელი და დამცველი. ამიერ-კავკასიის მომხმარებელ კოოპერატივთა კავშირი არის მძლავრი დაწესებულება გამომხატველი კოოპერაციის მისწრაფებისა. ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირი შეუდგა საკუთარი წარმოების მოწყობას. კავშირს აქვს საკუთარი სტამბა, ძეხვების ქარხანა, გორში კონსერვების ქარხანა, საპნის ქარხანა, წიგნების გამომცემლობა.

კავშირს ჰყავს ინსტრუქტორები, რომლებიც ყოველგვარ დახმარებას და ხელმძღვანელობას უწევენ კოოპერატივებს.

**11. საქართველოს მომხმარებელ კოოპერატივთა კავშირი.** საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ამიერ-კავკასიის მომხმარებელ კოოპერატივების კავშირის მოქმედების ხასიათი შეიცვალა. როდესაც ამიერ-კავკასია წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ერთეულს, ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის მოღვაწეობას ჰქონდა განსაზღვრული ხასიათი. ამიერ-კავკასიის პოლიტიკურად დაყოფის შემდეგ, როდესაც გამოიყო საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი და დამოუკიდებელ სახელმწიფოთაც გადიქცენ, მას შემდეგ, როდესაც თფილისი შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სატახტო ქალაქათ, ამიერ-კავკასია, როგორც ადმინისტრაციული ერთეული, აღარ არსებობს. ამ ცვლი-

ლებამ გამოიწვია ამიერ-კავკასიის მომხმარებელ კოოპერატივთა კავშირის დაშლა. 1919 წ. ოქტომბერს ამიერ-კავკასიის მომხმარებელ კოოპერატივების რწმუნებულთა ყრილობაზედ საქართველოს კოოპერატივების წარმომადგენლები გამოიყვენ და ამიერ-კავკასიის მომხმარებელ კოოპერატივთა კავშირის სამაგიეროთ შეიქნა „ცენტრალური კავშირი საქართველოს მომხმარებელ კოოპერატივთა“, რომელიც შესდგება საქართველოს კოოპერატივებისაგინ. ეს კავშირი არის უმაღლესი წარმომადგენელი საქართველოს კოოპერატივებისა. ეს არის კავშირი, სადაც თავს იყრიან მთელი საქართველოს მომხმარებელი კოოპერატივები. ამიერ-კავკასიის კავშირი დაიშალა, გამოიყვენ საქართველოს კოოპერატივები, მაგრამ არ დაშლილა დამოკიდებულება და თანამშრომლობა საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის კოოპერატივებთა შორის.

**12. საკრედიტო კოოპერატივების კავშირი.**  
მომხმარებელ კოოპერატივების სათავეში საქართველოში სდგას „ცენტრალური კავშირი საქართველოს-მომხმარებელ კოოპერატივებისა“. მომხმარებელი კოოპერატივები შეერთებულნი არიან, მათ ჰყავთ ხელმძღვანელნი. არის დაწესებულება, რომელიც ფულით და საქონელით დახმარებას უწევს. საკრედიტო კოოპერატივები არ არიან გაერთიანებულნი და მათ ჯერ არა აქვთ საქართველოში საერთო კავშირი, საკრედიტო.

კოოპერატივები არიან შეერთებულნი დასავლეთ საქართველოში „დასავლეთ საქართველოს საკრედიტო კავშირში“, აღმოსავლეთის — „კახეთის საკრედიტო კავშირში“. მხოლოდ ეს კოოპერატივები და მათი კავშირები არ არიან ჯერჯერობით ერთად თავმოყრილნი. საკრედიტო კოოპერაციის შენება არ არის დამთავრებული, ეს არის გამოწვეული საკრედიტო კოოპერაციის მდგომარეობით. საკრედიტო კოოპერაცია საერთოდ მოკლებული არის მზრუნველობას, მიგდებული არის.

**13. მწარმოებელთა კოოპერაცია.** მწარმოებელთა კოოპერაცია ეხლა ეწყობა. აქამდის მწარმოებელთა კოოპერაცია უყურადღებოდ იყო დატოვებული. ცხოვრების სიძვირემ და განსაკუთრებით უსაჭიროესი საქონლის, მრეწველობის ნაწარმოების უქონლობამ, მიიპყრო ყურადღება მწარმოებელთა კოოპერაციისა. საქართველოს ბუნებრივი პირობები იმდენათ უხვი და მდიდარი არის, რომ მწარმოებელთა კოოპერაციის დამყარებას აქვს ძლიერ მოწყობილი ნიადაგი. საქართველო არის სოფლის მეურნეობის ქვეყანა. სოფლის მეურნეობის მრეწველობა კი ძლიერ დაქვეითებულია. საქართველოში არის ყოველგვარი ნედლი მასალა. მრეწველობა კი ჯერ არ არის. მწარმოებელთა კოოპერაციას განუსაზღვრელი ასპარეზი აქვს მოქმედებისა და ძლიერ დიდი ბრწყინვალე მომავალი. საჭიროა მხოლოდ ხელმძღვა-

ნელობა, საქმის დაწყება. მწარმოებელთა კოოპერაცია მხოლოდ ეხლა იწყება.

**14. კოოპერატიული ბანკი.** კოოპერაციას სჭირდება დიდძალი თანხები. თანხების დაგროვება აუცილებელი საჭიროება არის. კოოპერაცია ძლიერი მაშინ არის, როდესაც იგი შემოკრებს დიდ თანხებს. კოოპერატივები ვალდებულნი არიან შემოიკრიბონ თანხები თავიანთი წევრებისაგან. კოოპერაცია ებრძვის კაპიტალიზმს. მაგრამ რადგან კოოპერაციაში ჯერ საკუთარი თანხები არ არის, იგი იძულებულია კერძო ბანკებს, კერძო კაპიტალს მიმართოს. კოოპერაციის ნივთიერი გაჭირვებით სარგებლობს კერძო კაპიტალი და ისეთ პირობებს უდებს კოოპერაციას, რომ იგი იძულებული არის დაემორჩილოს კერძო კაპიტალს. საქართველოს კოოპერატივებში გაითვალისწინეს ასეთი მდგომარეობა, 1919 წ. 23 მაისის კოოპერატივების რწმუნებულთა ყრილობაზედ მიიღეს დადგენილება „**საქართველოს კოოპერატიული ბანკის**“ დაარსების შესახებ. კოოპერატიული ბანკი უკვე დაარსდა; ძირითადი თანხა ბანკისა განზრახული არის 20 მილიონი მან. ეს თანხა იქნება შეგროვებული კოოპერატივების მიერ. ძირითადი თანხა დაგროვებული უნდა იქნეს კოოპერატივთა შორის აქციების განაწილებით. აქციების შეძენის უფლება აქვთ მხოლოდ კოოპერატივებს, რათა ბანკის მართვა-გამგეობაში მონაწი-

ლეობა ექნეს მხოლოდ კოოპერაციას. ეს არის ძირითადი საფუძველი ბანკის მუშაობისა კოოპერატივების სასარგებლოთ. კოოპერატიული ბანკის დანიშნულება არის ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს ყოველგვარ კოოპერატივებს. კოოპერატიული ბანკის ვალდებულება არის კოოპერატივებში დაგროვებული ფულების შეკრება. ბანკი აგრეთვე ეცდება გარდა კოოპერატიული თანხებისა შემოკრიბოს ფულები კერძო პირებისაგანაც, ამ მიზანს მიაღწევს ბანკი მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ნდობას მოიპოვებს. კოოპერატიული ბანკი არა მარტო კოოპერატიულ თანხებს დააგროვებს, არამედ მისი უპირველესი დანიშნულება არის დაგროვებული თანხები გაანაწილოს კოოპერატივებთა შორის, დროზედ გაუწიოს მათ ნივთიერი დახმარება. კოოპერატიული ბანკის უმთავრესი დანიშნულება, მაშასადამე, არის გაუძღვეს კოოპერაციაში ფულის ტრიალს, მისცეს მას სათანადო მიმართულება. კოოპერატიული ბანკი მხოლოდ მაშინ შეუწყობს ხელს ფულის ტრიალს კოოპერაციაში, როდესაც იგი შექმნის კავშირს და დამოკიდებულებას სხვა და სხვა დარგის კოოპერატივებთა შორის. კოოპერატიული ბანკი არის უმაღლესი კოოპერატიული საკრედიტო დაწესებულება, რომელიც მხოლოდ მაშინ მიაღწევს თავის მიზანს, როდესაც გააბამს ქსელს კოოპერატივთა შორის, დაუახლოვებს ერთი მეორეს, ამოიღებს ფულებს

კოოპერატივებისაგან და კოოპერატივებსვე მოახმარს. კოოპერატიული ბანკი თავს უყრის კოოპერატივების თანხებს, თუ კოოპერაცია ხელს არ გაუმართავს თავის ბანკს, მაშინ თავისუფალი თანხები კოოპერატივებისა გადავა კერძო ბანკებში, გააძლიერებს კერძო კაპიტალს, იმ კაპიტალს, რომელსაც კოოპერაცია ებრძვის.

---

## ნ ა წ ი ლ ი VIII.

### კოოპერატივების საერთაშორისო კავშირი.

**კოოპერაცია-ერთობაა.** კოოპერატივები, გაბნეულნი სხვა და სხვა სახელმწიფოთა შორის, რომელთაც აქვთ საკუთარი ასპარეზი მოღვაწეობისა, არ არიან სრულიად დაშორებულნი და განცალკევებულნი. კოოპერაციის ძალა, მისი შეძლება ერთობაშია. მთელი მსოფლიოს კოოპერაცია არის დაკავშირებული, შეერთებული და ადგენს „**საერთაშორისო კავშირს კოოპერატივებისას**“. საერთაშორისო კავშირის წარმომადგენელი და მისი მისწრაფებათა გამომხატველი არის საერთაშორისო ყრილობანი სხვა და სხვა სახელმწიფოების კოოპე-

რატივთა რწმუნებულების, რომელიც დრო გამო-  
შვებით იკრიბებიან ევროპის ქალაქებში. მუდმივი  
დაწესებულება, რომელიც ხელს უწყობს ამ კავშირს  
არის საერთაშორისო საბჭო, არჩეული ყრილობებზედ.

კოოპერატივების საერთაშორისო კავშირის დედა-  
აზრი არის: 1) სხვადასხვა ქვეყნების კოოპერაციის  
დაახლოვება, 2) კოოპერაციის მთავარი საკითხების  
გადაწყვეტა და ცხოვრებაში გატარება 3) საერთა-  
შორისო კოოპერატიული მოძრაობის ხელმძღ-  
ვანელობა. საერთაშორისო კავშირი არის უმაღ-  
ლესი წარმომადგენელი კოოპერაციისა და კოოპე-  
რაციის უზენაესი მისწრაფებათა გამომხატველი  
და მატარებელი. კავშირის მნიშვნელობა იმაში  
გამოიხატება, რომ იგი აერთიანებს სხვადასხვა  
სახელმწიფოს და ერების კოოპერაციას. კოოპერა-  
ციისათვის არ არსებობს ეროვნული დაცალკევება,  
დაქსაქსვა. საერთაშორისო კავშირი ამტკიცებს  
და ამაგრებს საერთაშორისო ძმობას, უბრძვის ნაციო-  
ნალურ განცალკევებას, მეტოქეობას. კოოპერაციას  
აქვს დასახული ერთად ერთი იდეალი: მშრომელთა  
განთავისუფლება კაპიტალის მონობისაგან. კაპიტალი  
არის **ინტერნაციონალური** ძალა და კაპიტალის  
საზოგადო ხასიათი იმაშია, რომ იგი, მიუხედავად  
ეროვნული წარმოებისა, არის ძალა, რომელიც  
იმორჩილებს მშრომელს. კოოპერაციაც არის **ინტერ-  
ნაციონალური** მოძრაობა, რომელიც ებრძვის ამ

**ინტერნაციონალურ** ძალას მონობისას—კაპიტალს. კოოპერაცია არღვევს ერთა შორის ისტორიულათ აშენებულ ზღუდეებს, რომლებმაც ერები დააშორა ერთი მეორეს და მათ შორის მტრობა და შუღლი შექმნა და სამაგიეროთ ამყარებს ძმობას და სიყვარულს.

საქართველოს კოოპერაციას აქამდე არ ჰქონდა ადგილი საერთაშორისო კავშირში. ეხლა საქართველოს კოოპერაცია უკვე შედის საერთაშორისო კავშირში, როგორც თანაბარი და თანასწორი წევრი.

---

## ნ ა წ ი ლ ი IX.

**კოოპერაცია, სახელმწიფო და ქალაქების და ერობების თვითმართველობანი.**

1. **კოოპერაცია და სახელმწიფო.** კოოპერატიული კანონის გამოცემის შემდეგ კოოპერაცია განთავისუფლებული არის სახელმწიფოს წვრილმანი ზედამხედველობისაგან. კოოპერაციის შენება არის თავისუფალი და დამოუკიდებელი, დამოკიდებული მხოლოდ მისი მოთხოვნებისაგან მისი უზენაესი მისწრაფებისაგან. სახელმწიფოში შეუძლებელი არის არსებობა ისეთი დაწესებულებებისა, რომელიც გან-

თავისუფლებული იქნეს სახელმწიფოს უზენაეს ზედამხედველობისაგან. კოოპერაცია თავისუფალი და დამოუკიდებელი არის იმ დრომდის, ვიდრე ის ასრულებს კანონს. თუ კოოპერაცია არღვევს და არ დემორჩილება საზოგადო კანონებს, სახელმწიფო ვალდებული არის დაიმორჩილოს ის.

სანამ კოოპერაცია ასრულებს კანონს, იგი თავისუფალი და დამოუკიდებელი არის თავის მოქმედებაში. მაგრამ დემოკრატიული სახელმწიფოსი და კოოპერაციის უზენაესი მისწრაფება არის მშრომელი ხალხის დაცვა და განთავისუფლება კაპიტალის მონობისაგან. მაშასადამე სახელმწიფოს ევალება დახმარება, განსაკუთრებით ნივთიერი დახმარება და ხელის შეწყობა კოოპერაციისა, ვინაიდან სოციალისტური მთავრობას და კოოპერაციას ერთი და იგივე მიზანი აქვთ დასახული და ამიტომ ისინი მოკავშირენი არიან და ვალდებულნი ხელი-ხელ ჩაკიდული იმოქმედონ.

**2. ქალაქების და ერობების თვითმართველობანი და კოოპერაცია.** კოოპერაციის უმთავრესი ასპარეზი მოქმედებისა არის ხალხის მეურნეობა: ხალხის მეურნეობის გაუმჯობესება, წინ-წაწევა, წარმოების მოწყობა, ნაწარმოების განაწილება. კოოპერაციას აქვს მოწყობილი და გაჩარხული საქმე. ერობების და ქალაქების თვითმართველობანი აგრეთვე ზრუნავენ ხალხის მეურნეობის გაუმჯობესებაზედ და წინსვლაზედ. რათა არ მოხდეს შეჯიბრება და ნაყო-

ფიერათ იქნეს განაწილებული მოქმედება კოოპერაციასა და ქალაქების და ერობების თვითმართველობათა შორის, აუცილებელი საჭიროება არის წინასწარი გამოჯვნა მოქმედების ასპარეზისა. ქალაქების და ერობების თვითმართველობანი არიან ხალხის წარმომადგენელნი, დემოკრატიული დაწესებულებანი, დაახლოვებული მშრომელ ხალხთან. კოოპერაცია არის ღვიძლი შვილი დემოკრატიისა, მაშასადამე, ქალაქების და ერობების თვითმართველობანი ვალდებულნი არიან დაუახლოვდნ და მოიხმარონ კოოპერაციის გამოცდილება და უნარი, კოოპერაციის აპარატი. ამ ორ დემოკრატიულ დაწესებულებების მოქმედება უნდა მოხდეს შეთანხმებით. კოოპერაციის უმთავრესი მიზანი არის მოაწყოს წარმოება, წვრილი კრედიტი, ნაწარმოების განაწილება. ამ საქმის სათავეში სდგას კოოპერაცია და მეტი არავინ არ უნდა ჩაერიოს ამ საქმეში, თორემ მოხდება ძალების გაფლანგვა, შეჯიბრება, რომლის ცუდი შედეგები ხალხს დაატყდება თავზე. კოოპერაცია არის იარაღი, რომელიც უნდა გამოიყენოს ქალაქების და ერობების თვითმართველობამ. და ისინი ვალდებულნი არიან ყოველგვარი ნივთიერი და ზნეობრივი დახმარება და შემწეობა გაუწიონ კოოპერაციას ხალხის მეურნეობის მოწყობაში, სრულიად დაეყრდნონ კოოპერაციას.

---

## დასკვნა.

ომიანობამ ძირიანად შესცვალა ღ შეარყია არსებული ეკონომიური წეს-წყობილება. კოოპერაციას ეკონომიური წეს-წყობილების ნგრევამ წაუყენა რთული საკითხები. კოოპერაციამ პირნათლად შეასრულა ძლიერ დიდი და რთული საქმე: მან შეაჩერა და შემოიკრიბა მშრომელი ხალხი, თავი მოუყარა მშრომელთა მეურნეობას ღ შეასუსტა ომის ზედ გავლენა. ომიანობამ გამოიწვია შიმშილი, ხალხი შიშველი და ტიტველი დარჩა, ოს კოოპერაციას მიეშურა, კოოპერატივების რიცხვი ძლიერ გამრავლდა. მხოლოდ კოოპერატივების რიცხვი არ არის სავსებით მაჩვენებელი კოოპერატიული შეგნების გაძლიერებისა. კოოპერატიული შეგნება ისეთი სისწრაფით არ იზრდებოდა, რა სისწრაფით მრავლდებოდა კოოპერატივები.

ომიანობამ ძლიერ დიდი გავლენა იქონია კოოპერატიულ შეგნებაზედ, ომის დაწყებამდე გაძლიერებული იყო საკრედიტო კოოპერაცია. საკრედიტო კოოპერატივს ქონდა რთული ქსელი. ომის და რევოლიუციის დროს საკრედიტო კოოპერაციის განვითარება შეჩერდა, საკრედიტო კოოპერაცია დიდ განსაცდელში ჩავარდა ღ საშიში მდგომარეობა შეიქნა. შესაძლებელი არის მას ისეთი ზიანი დაატყდეს, რომ გამოკეთება გაჭირდება. სურსათ-სანოვაგეს ძიებამ

ხელი შეუწყო მომხმარებელ კოოპერატივის გაძლიერებას და ხალხის ყურადღება მიმართა მწარმოებელთა კოოპერაციისაკენ. ომიანობამდე საკრედიტო კოოპერაციის განვითარებამ მიიღო მწყობრი, დალაგებული ხასიათი. საკრედიტო კოოპერაციას ყოველგვარ დახმარებას უწევდენ. უკვე ომიანობამდე იყო მოწყობილი საკრედიტო კოოპერატივები. ომისა და რევოლუციის შემდეგ საკრედიტო კოოპერაცია დარჩა განცალკევებული, ხელმძღვანელნი ჩამოშორდენ.

ომიანობის მიერ გამოწვეული არევ-დარევა და სრულიად დანგრეული ეკონომიური წეს-წყობილება უკარნახებს კოოპერაციას რა გზას უნდა დაადგეს ის. კოოპერაციამ უნდა ჩაერიოს და უახლოესი მონაწილეობა მიიღოს ხალხის მეურნეობის აღორძინებაში, ახალ ნიადაგზედ აშენებაში. კოოპერაციას ძლიერ პასუხ-საგები საქმე შეეჩნა. ამ დიდ საქმეს ის მხოლოდ მაშინ მოაგვარებს, როდესაც შეიქნება მძლავრი და ძლიერი დაწესებულება. მართალია, კოოპერატივთა რიცხვი ძლიერ გამრავლდა, რთული ქსელი კოოპერატივებისა უკვე გაბმული არის, მაგრამ ჯერ-ჯერობით კოოპერაცია არ არის საფესებით ძლიერი ან არა აქვს სრულიად მტკიცე ნიადაგი.

კოოპერაციას მრავალი ნაკლი აქვს. ამ ნაკლის შესწორება და კოოპერაციის აგებულობის შეკეთება აუცილებელი არის.

კოოპერაცია დაადგა ამშენებლობითი მუშაობას, ნიადაგის განმტკიცებას, საფუძველი ჩაყრილი არის უკვე დაწყებული არის კოოპერაციის **ცენტრალიზაცია**, კოოპერაცია ნელ-ნელა იკრიფება კავშირებში. პატარა კოოპერატივები სარაიონო კავშირებში, სარაიონო კავშირები სრულიად საქართველოს კავშირში. კოოპერაციის შენება ქვევიდან იწყება. მხოლოდ ასეთი მუშაობა კოოპერაციის ერთ დარგში არის: ეწყობა მომხმარებელი კოოპერაცია. საკრედიტო კოოპერაცია ჯერ-ჯერობით დავიწყებული არის. მწარმოებელთა კოოპერაცია მხოლოდ ეხლა იჩენს თავს.

კოოპერაციის ძლიერება არის კავშირებში. კოოპერაცია მაშინ არის ძლიერი, როდესაც იგი ქვევიდან გამაგრდება, თუ საძირკველი ექნება გამაგრებული, თითოეული დარგი კოოპერაციისა უნდა განმტკიცდეს და შემდეგ უნდა ერთად შემოიკრიბონ და შეკავშირდნ. ამ გზას უკვე დაადგა საქართველოში კოოპერაცია. მომხმარებელი კოოპერაცია არის თავმოყრილი, საკრედიტო კოოპერაცია თითქოს იკრიბება, მწარმოებელთა კოოპერაციას საფუძველი ედება, კოოპერაციის აღმშენებლობით. მოღვაწეობას დააგვირგვინებს სრულიად საქართველოს კოოპერატიული ბანკი. თუ დღემდე საქართველოში კოოპერაციის შენებაში არ იყო გეგმა, ეს აიხსნება ძლიერი ისტორიული პირობებით: შებოჭილმა, დამონებულმა

საქართველომ დაახწია თავი მონობას, მოიპოვა თავისუფლება. საქართველოს სახელმწიფოს აგება ხდებოდა საშინელი პირობებში: გარშემო ინგრობოდა და ილუპებოდა მძლავრი და დიდებული სახელმწიფოები; საშინელი მსოფლიო ქარტეხილში იწყებოდა საქართველოს დამოუკიდებელი წეს-წყობილების აგება და ამ მძიმე და საშინელ მუშაობის დროს შეფერხდა კოოპერაციის შენება. ამ ჟამათ პირობები შეიცვალა: იწყობა დიდი საქმიანობა, კოოპერაციის უკვე დადგა სწორ გზაზე. მხოლოდ კიდევ ძლიერ რთული და აუტანელი პირობები არის გარშემო. ამ პირობების გადალახვას, იმედია, შეძლებს საქართველოს კოოპერაცია.

საქართველოს კოოპერაციამ დიდი გამოცდილება შეიძინა. კოოპერატიული შენებლობის გეგმა არის. კოოპერაციის წინ გადაშლილი არის განუსაზღვრელი ასპარეზი მოქმედებისა — მშრომელი ხალხის მეურნეობის აღორძინებისა.



# დ ა მ ა ტ ე ბ ა.

სია წიგნებისა.

სახელმძღვანელოში მხოლოდ ძირითადი დებულებანი არის პოლიტიკური ეკონომიისა, სოციალიზმის, კოოპერაციის. ვინც უფრო ღრმად დაეწაფება ამ საკითხებს, უნდა მიმართონ აქ დართულ სიას.

## I. ეკონომიური წეს-წყობილების განვითარება უძველესი დროებიდან.

Андреевъ Н. Изъ исторіи труда и капитала изд. Павленкова, С.П.Б. 1908.

Кауфманъ А.—Формы хозяйства въ ихъ историческомъ развитіи, изд. Сытина, М. 1910

Бюхеръ К. Возникновеніе народнаго хозяйства въ Зап. Европѣ, пер. подъ род. Г. Кулишера, изд. 6-е С.П.Б. 1912 г.

Ковалевскій М. Развѣтіе народнаго хозяйства въ Западн. Европѣ. Публичныя лекціи, читанныя въ Вольномъ Брюссельскомъ университетѣ, С.П.Б. 1899 г.

Кенингемъ В.—Западная цивилизація съ экономической точки зрѣнія, пер. П. Канчаловскаго.

## II

**Зомбартъ В.** Современный Капитализмъ. Т. I—Генезисъ капитализма, т. II—Теорія капиталистическаго развитія пер. съ нѣм. подъ ред. В. Базарова. II—Степанова, М. 1905

### II. პოლიტიკური ეკონომია.

- Бахъ А.** Экономическіе очерки (царь-голодь).  
**Свидерскій Б.**—Трудъ и капиталъ, пер. съ польск. Изд. „Донск. Р“. 1903  
**Карышевъ Н.** Экономическія бесѣды, изд. И. Сытина.  
**Соболевъ М.**—Элементарный учебникъ политической экономіи для коммерческихъ училищъ и самообразованія С.П.Б. 1912 г.  
**Богдановъ А.**—Краткій курсъ экономической науки. Изд. 10-е. (არის ქართული თარგმანი).  
**Кулишеръ I.** Политическая экономія. Популярный курсъ, изд. т-ва „Просвѣщеніе“  
**Желѣзновъ В.** Очерки политической экономіи. Изд. 7-е  
**Чупровъ А.**—Курсъ политической экономіи. М. 1906  
**Туганъ-Барановскій М.**—Основы политической экономіи изд. 7-е  
**Жидъ Ш.**—Основы политической экономіи (არის ქართული თარგმანი ი. გაბილაიასი).

### III მუშათა საკითხი და მუშათა მოძრაობა.

- Мижевъ А.**—Восьмичасовой рабочий день. Изд. Г. Львовича. С.П.Б. 1907  
**Хейсинъ М.**—Профессиональные рабочіе союзы.

### III

- Пажитновъ Е.—Положеніе рабочаго класса въ Россіи.  
С.П.Б. 1908
- Святловскій В.—Профессіональное движеніе въ Рос-  
сіи. М. 1907.
- Геркнеръ Г.—Рабочій трудъ въ 3-Европѣ, пер-  
съ нѣм. изд. за 1913
- Зомбартъ В.—Организація труда и трудящихся.  
Промышленный трудъ и его организація.  
Профессіональныя организаціи рабочихъ  
С.П.Б. 1901.
- Кулеманъ І.—Профессіональное движеніе. Очеркъ  
профессіональныхъ организацій рабочихъ  
и предпринимателей во всѣхъ странахъ.  
С.П.Б. 1901.
- Тотоміанць В.—Формы рабочаго движенія СШБ. 1906.

### IV კოოპერაცია.

- კ. კახელაკი — კოოპერაცია.
- ჯუღელი ვ. — კოოპერატიზმი.
- Прокоповичъ С. Кооперативное движеніе въ Россіи.  
Его теорія и практика. М. 1912.
- ჟიდ შ. — კოოპერაცია, 1920 წ. ი. გაბილაიას თარგმ.
- Туганъ-Барановскій М.—Соціальные основы коопера-  
ціи. М. 1918 г.
- Курсы по коопераціи, изд. подъ ред. А. Мануйлова,  
т. I. М. 1912 г. т. II. 1913.
- გიბნერი პ. — კოოპერაციის სისტემა.
- 1) მომხმარებელი კოოპერაცია.
- Хейсинъ М. Что такое общество потребителей и какая  
отъ него польза. (არის ქართული თარგმანი).
- Суздальцевъ К.—Колейка рубль бережетъ.

Жидь Ш.—Общество потребителей ч. I, II. (არის ქართული თარგმანი).

Тотоміанць В.—Потребительскія общества. Исторія, теорія и практика изд, 2-е.

2) საკრედიტო კოოპერაცია.

Суздальцевъ Н.—Кредитная кооперация и ея польза. (хозяйство безъ рубля, что корабль безъ руля). 2-е изд.

Глѣбовъ А. (Меркуловъ)—Кредитное товарищество.

Анцыферовъ П.—Очерки по кооперации.

3) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია.  
(მწარმოებელთა კოოპერაცია).

Глѣбовъ А. (Меркуловъ)—Сельско-хозяйственныя общества 4-е изд. Сельско-хозяйственное товарищество 3-е изд. Маслодѣльныя артели 3-е изд. М. 1918.

Кулыжный А.—Деревенская кооперация. 3-е изд. 1918.

Тотоміанць В.—Сельско-хозяйственная кооперация. Очерки съ приложеніемъ уставовъ В. I изд. 3-е.

4) კოოპერაციის ისტორია.

Меркуловъ А.—Историческій обзоръ потребительской кооперации въ Россіи 2-е изд.

Хейсинъ М.—50 л. потребительской кооперации въ Россіи СПб. 1915 (არის ქართული თარგმანი).

Хейсинъ М.—Кредитная кооперация въ Россіи (историческій очеркъ и современное положеніе) съ иллюстраціями 1917.

5) კოოპერატიული კანონმდებლობა.

Исаевъ А. — Новое кооперативное законодательство.  
Петр. 1918.

6) კოოპერაცია დასავლეთ ევროპაში.

Холіюкъ Д.—Исторія Рочдельскихъ піонеровъ.

Холіюкъ Д. — Современное кооперативное движеніе.  
М. 1916 г.

Ленскій З. — По кооперативной Европѣ изд. 2-е. (არის  
ქართული თარგმანი. არის ასეთივე შინაარ-  
სის წიგნი ნ. ე—ნიასი.

Анцыферовъ А. — Кооперация въ сельскомъ хозяйствѣ  
Германіи и Франціи 1909.

Вигодзинскій Г. — Кооперация въ Германіи 1917.

Каратыгинъ Е. — Въ странѣ крестьянскихъ коопера-  
тивныхъ товариществъ. Очеркъ разви-  
тія товарищескаго начала въ сельскомъ  
хозяйствѣ Даніи 1909.

Бицоцero А. — 13 лѣтъ сельско-хозяйственной коопе-  
раціи. 1913.

Фей — Кооперация въ Западной Европѣ. 1912.

სია წიგნებისა რუსულ ენაზედ შეიცავს ნაწერებს,  
რომლების შესწავლა აუცილებელია. წიგნები თან და  
თან უნდა იქნეს შესწავლილი. თუ რომელიმე წიგნი არ  
მოიძებნება, შეიძლება შეცვლა მეორე წიგნით, რადგან  
ერთ და იმავე საკითხისათვის აღნიშნულია რამდენიმე  
წიგნი.

ვისაც რუსული ენაზედ დაწერილი წიგნები არ ემა-  
რჯეება, იმათთვის აღვნიშნავ წიგნებს ქართულ ენაზედ.  
ქართულ ენაზედ ჯერ-ჯერობით ეკონომიური ლიტერა-  
ტურა მცირეა. უმთავრესი წიგნები, რომლებიც ქართულ  
ენაზედ არის, წარმოადგენს თარგმანებს.

## VI

გარდა წიგნებისა აუცილებელი საჭიროება არის კოოპერატიული ჟურნალების თვალყურის დევნა. ქართულ ენაზედ გამოდის: „კავშირი“, ჟურნალი საქართველოს ცენტრალური კოოპერატიულ კავშირისა. „კოოპერაცია“ ი. გაბილაიას რედაქტორობით.

## ს ა რ ჩ ე ვ ი.

წინასიტყვაობა . . . . . გვ. 3—4

### ნაწილი I.

ძირითადი დებულებანი პოლიტიკური ეკონომიისა . . . . . 5—37

თანამედროვე ეკონომიური წეს-წყობილების თვისებანი. 1, ადამიანის სულიერი და ხორციელი მოთხოვნილებანი. 5—6 2) რა არის სამეურნეო ღირებულებანი—6. 3) მეურნეობა—6. 4) ოჯახური მეურნეობა—6—9. 5) ფული—9—12. 6) შრომა 12—14. 7) ფასი და ღირებულება ნივთისა—14—16 8) საზოგადოებრივი მეურნეობა—16—20 9) წარმოების იარაღი—20—21. 10) კაპიტალი—21. 11) დამატებითი ღირებულება—21—22. 12) მანქანები—22—23. 13) მუშის ხელფასი—23—26 14) მსხვილი წარმოება—26—28. 15) სინდიკატი 28—29. 16) ტრესტი—29—36. 17) სოციალიზმი 36—37.

### ნაწილი II

კოოპერაცია . . . . . გვ. 38—56

1) თავისუფალი კავშირი—38—39. 2) კოოპერატივი არის სამეურნეო წარმოება—39—42 3) მოგება—42—44. 4) კოოპერატივი არის პიროვნებათა კავშირი—44—45, 5) კოოპერაცია და დაქირავებული მუშა—45—47, 6)

- კოოპერატივის ძალა და მნიშვნელობა—47—48. 7) რა არის კოოპერატივი—48—49. 8) კოოპერატივი და არსებული ეკონომიური წეს-წყობილების გარდაქმნა—49—50. 9) კოოპერაცია დემოკრატიის წარმონაშობია—50. 10) კოოპერაცია გარდაქმნის კაპიტალისტურ წეს-წყობილებას—50—51. 11) კოოპერაცია და პოლიტიკური პარტიები—51. 12) კოოპერაცია და პროფესიონალური მოძრაობა—51—52. 13) კოოპერაცია და სოციალიზმი—52—56.

### ნაწილი III

კოოპერატივის ჯგუფები და მათი მისწრაფებანი . . . . . გვ. 56—58

- 1) კოოპერატივების დანაწილება—56—57

### ნაწილი IV

კოოპერატივების ჯგუფები—გვ. 58—84

I) მომხმარებელი ამხანაგობა—58—66 ა) მომხმარებელი საზოგადოების უპირატესობანი 60—61 ბ) საპაიო კაპიტალი—61—63. გ) მოგების განაწილება—63—64. დ) მომხმარებელ საზოგადოებაში წევრების თანასწორობა—64—65. ე) მომხმარებელი საზოგადოება ზრუნავს წევრების ჯანმრთელობაზედ 65. ვ) ნაღდი ვაჭრობა—65—66. ზ) მომხმარებელი საზოგადოება—დემოკრატიული დაწესებულება—66—67. 4) მომხმარებელი კოოპერაციის იდეალი—67—69.

II მწარმოებელი კოოპერაცია. 1) რა არის მწარმოებელი კოოპერაცია—69—73. 2) მწარმოებელი კოოპერაციის უპირატესობა—73. 3) სხვა და სხვა დარგები მწარმოებელი კოოპერაციისა 73—74. 4) მომავალი მწარმოებელი კოოპერაციისა. 74.

**III საკრედიტო კოოპერაცია.** 1) კრედიტის მნიშვნელობა კოოპერაციაში—74—76. 2) საკრედიტო კოოპერაცია—76. 3) საკრედიტო კოოპერატივების ჯგუფები—76—76. 4) საკრედიტო კოოპერატივების კაპიტალები—77—79. 5) საკრედიტო კოოპერატივების ოპერაციები—79—84 6) მოგება საკრედიტო ამხამაგობაში.—84.

### ნაწილი V

**კოოპერატივების კავშირები გვ. 85 — 89**

1) პირველი საფეხურის კოოპერატივები.—85. 2) უმაღლესი საფეხურის კოოპერატივები—85—86. 3) კოოპერატივების მშენებლობის პრინციპები—86—87. 4) რა მნიშვნელობა აქვს კოოპერატივების კავშირს.—87—88 5) კოოპერატივების დიფერენციაცია.—88.

### ნაწილი VI

**კოოპერატიული კანონი . . . გვ. 89—93**

1) კოოპერატიულ კანონის ისტორია—89—91. 2) ძირითადი დებულებანი კანონისა—91—92. 3) კანონი კოოპერატივების რწმუნებულთა ყრილობების შესახებ—92—93.

### ნაწილი VII

**კოოპერაციის ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა . . . . . გვ. 94 — 124**

1) კოოპერაციის ისტორიიდან—94—95. 2) კოოპერაცია რუსეთში—95. 3) კოოპერაციის განვითარება რუსეთში—95—100. 4) კოოპერაცია ამიერ კავკასიაში—101—102. 5) კოოპერაციის დასაწყისი საქართველოში—102—104. 6) საკრედიტო კოოპერაცია—104—108. 7)

მომხმარებელი კოოპერაცია—108—112. 8) სარაიონო კოოპერატიული კავშირები—112—115 9) ამიერ კავკასიის მომხმარებელ კოოპერატივების კავშირი—115—119 10) კოოპერაციის შენება—117—119 11) საქართველოს მომხმარებელ კოოპერატივთა კავშირი—119—120. 12) საკრედიტო კოოპერატივების კავშირი—120—121. 13) მწარმოებელი კოოპერაცია—122. 14) კოოპერატიული ბანკი—122—124

### ნაწილი VIII

კოოპერატივების საერთაშორისო კავშირები . . . . . გვ. 124—126

### ნაწილი IX

კოოპერაცია, სახელმწიფო, ქალაქების და ერობების თვითმართველობანი გვ. 126—128

დასკვნა . . . . . გვ. 129—132.

დამატება. სია წიგნებისა კოოპერაციის შესახებ . . . . . გვ. 133.





ფანი 70 მანეთი.